



With the support of the
Erasmus+ Programme
of the European Union



მეტი ევროპა
საქართველოში



საპარლამენტო კვლევითი ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS



პოლიტიკის დოკუმენტების კრებული

**ჰოლიციკის
ემკუთმეცხეობის
კრებულნი**

ნოემბერი 2020



With the support of the
Erasmus+ Programme
of the European Union



საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.

„პუბლიკაცია მომზადებულია ევროკომისიის მხარდაჭერით. მასში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს. ევროკომისია და საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი პასუხისმგებლები არ არიან მასალის შინაარსზე“.

“The European Commission support for the production of this publication does not constitute endorsement of the contents which reflects the views only of the authors, and the Commission cannot be held responsible for any use which may be made of the information contained therein.”

© Georgian Institute of Politics, 2020
13 Aleksandr Pushkin St, 0107 Tbilisi, Georgia
Tel: +995 599 99 02 12
Email: info@gip.ge
For more information, please visit
www.gip.ge

ავტორები: ლევან კახიშვილი
სალომე მინესაშვილი
ნინო სამხარაძე
სალომე კანდელაკი

გამომცემლობა: გრიფონი
ISBN 978-9941-480-81-2

წინასიტყვაობა

გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოდან საქართველო მტკიცედ ადგას ევროპასთან მჭიდრო კავშირის გზას, ისწრაფვის „ევროპულ ოჯახში დაბრუნებისკენ“, სადაც, რეალურად, არის მისი ადგილი. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ევროპეიზაციის გზაზე საქართველოს ჰქონდა, როგორც წარმატებები, ასევე წარუმატებლობები; ამ პროცესში ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯები იყო: პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების (PCA) ხელმოწერა 1996 წელს; ევროპულ სამეზობლო პოლიტიკასა (ENP) და აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივაში (EaP) ჩართვა 2009 წელს; ასოცირების შეთანხმების (AA) ხელმოწერა 2014 წელს, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ჩათვლით. ასოცირების შეთანხმების ხელმოწერას მოჰყვა ევროკავშირის ქვეყნებთან უვიზო რეჟიმის შემოღება 2016 წლიდან, რითაც ისარგებლა საქართველოს ათასობით მოქალაქემ.

მართალია, ეს მოვლენები შთამბეჭდავია, მაგრამ საქართველოს ჯერ კიდევ არ აქვს ყველაზე მთავარი „ჯილდო“ – ნევრობა. მსჯელობენ იმაზე, უნდა მიმართოს თუ არა საქართველომ ევროკავშირს განაცხადით ნევრობაზე, რადგან ევროკავშირის პირობითობის პოლიტიკა გაცილებით ეფექტური იქნება იმ შემთხვევაში, თუ განეწინაინების „ჯილდოს“ მოპოვება შესაძლებელი. ეს საკითხი მნიშვნელოვანია საქართველოს სხვადასხვა მთავრობების მიერ განეწინაინების პირობების ზოგჯერ საეჭვოდ შესრულების კონტექსტში. თუმცა, პირობათა საჭვეოდ შესრულება, გარკვეულწილად, გასაგებიცაა, რადგან საზოგადოება ზოგჯერ ნეგატიურად რეაგირებს რეფორმებზე, მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება. ამის ფონზე უფრო მეტად მნიშვნელოვანია ქართული საზოგა-

დობის ერთიანობა ევროპისკენ სწრაფვის იდეისადმი. ამისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია ის მატერიალური თუ არამატერიალური სარგებელი, რომელიც ევროპეიზაციის პროცესმა საზოგადოების ქვედა ფენებს შეიძლება მოუტანოს.

ის, თუ როგორ აღიქვამს საზოგადოება ევროპეიზაციის პროცესს, არის მთავრობის მიერ მიღებული სამოქმედო კურსის ლეგიტიმურობის განმსაზღვრელი ფაქტორი. მართალია, ხშირად ამტკიცებენ, რომ გვაქვს საზოგადოების შეთანხმებული აზრი ევროკავშირთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობაზე, თუმცა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები მიუთითებს გარკვეულწილად საწინააღმდეგო სურათზე. ჯერ კიდევ არსებობს საზოგადოების ჯგუფები, რომელთაც, ჩვეულებრივ, არ იციან საქართველოს ევროპეიზაციის დღის წესრიგის შესახებ და/ან ამას აღიქვამენ საზოგადოების უმეტესი ნაწილისგან განსხვავებულად. რა თქმა უნდა, პრაქტიკულად შეუძლებელია ის, რომ ნებისმიერი პოლიტიკური პროცესი თანაბრად სასარგებლო და სიკეთის მომტანი იყოს საზოგადოების ყველა წევრისათვის, მაგრამ მთავარია, საზოგადოების დიდი ნაწილი არ დარჩეს საქართველოსთვის ამ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პროცესისგან მოწყვეტილი.

როგორც ამას არაერთხელ ჩატარებული კვლევები გვიჩვენებს, ეთნიკური უმცირესობები საქართველოში საზოგადოების უმრავლესობისაგან განსხვავებულად წარმოიდგენენ ევროპეიზაციას. შესაბამისად, იმის გაგება, თუ რას ფიქრობს საქართველოს ევროპეიზაციის შესახებ საქართველოში ეთნიკური უმცირესობების ორი უმთავრესი ჯგუფი – ეთნიკური სომხები და აზერბაიჯანელები, არის მნიშვნელოვანი საკითხი. სამოქალაქო საზოგადოების ორგა-

ნიზაციებს, განსაკუთრებით, ანალიტიკურ ორგანიზაციებს, ამ საკითხის კვლევითა და ანალიზით შეუძლიათ წვლილი შეიტანონ საქართველოს ევროპისაკენ სწრაფვის პროცესში.

სწორედ ამას ემსახურება წინამდებარე კრებული. პოლიტიკის ოთხი ნარკვევი ეფუძნება ექვსთვიან კვლევას. ჩვენ ვეცადეთ ჩავწვდომოდით საქართველოში ეთნიკური უმცირესობების მიერ ევროპეიზაციის აღქმას. იმის გათვალისწინებით, რომ არსებობს სხვადასხვა კვლევებით მიღებული, უაღრესად ფასეული რაოდენობრივი მონაცემები, უმცირესობების დამოკიდებულების შესასწავლად გამოვიყენეთ თვისებრივი მიდგომა. იმისათვის, რომ გაგვეთვალისწინებინა უმცირესობებათა რაც შეიძლება ფართო სპექტრი და გაგვეგო განსხვავებული მოსაზრებანი, ჩავატარეთ ფოკუს-ჯგუფური დისკუსიები ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში. თითოეულ რეგიონში ჩატარდა სამი დისკუსია და მონაწილეთა შერჩევის კრიტერიუმებად გამოყენებულ იქნა სქესი, ასაკი და განათლების დონე. სამიდან ორი დისკუსია იყო ჰომოგენური სქესთან მიმართებით და ჰეტეროგენული – ასაკისა და განათლების დონის გათვალისწინებით. ხოლო მესამე დისკუსია 30 წლის ან უმცროსი ასაკის მონაწილეებთან გაიმართა და იყო შერეული ტიპის განათლების დონისა და სქესის მიხედვით. ამ სტრატეგიით ჩატარდა სულ ექვსი დისკუსია და მთლიანობაში ორივე რეგიონში მონაწილეთა რაოდენობამ შეადგინა 40 ადამიანი.

მონაცემების მრავალფეროვნების უზრუნველსაყოფად გარდა ფოკუს-ჯგუფური დისკუსიებისა, ჩავატარეთ 12 სიღრმისეული ინტერვიუ სხვადასხვა პროფილის რესპონდენტებთან, მათ შორის, ცენტრალური და ადგილობრივი დონის სახელმწიფო დაწესებულებების წარმომადგენლებთან, უმცირესობების საკითხებზე მომუშავე

ექსპერტებთან და ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წევრებთან მედია-სააგენტოების ჩათვლით. ინტერვიუებით მიღებული მონაცემებით კვლევითი ჯგუფი შეეცადა დაბალანსებული მიდგომის შემუშავებასა და იმ ადამიანების გამოცდილების გათვალისწინებას, რომლებიც აქტიურად მუშაობენ უმცირესობებთან და მათთან დაკავშირებულ საკითხებზე.

მთელი ამ ძალისხმევის შედეგად საშუალება მოგვეცა დაგვეყო ჩვენი შედეგები ოთხ ძირითად მიმართულებად, რათა მოგვემზადებინა ოთხი ინდივიდუალური, მაგრამ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული პოლიტიკის ნარკვევი, შესაბამისი დაინტერესებული მხარეებისთვის განკუთვნილი სათანადო რეკომენდაციების პაკეტებთან ერთად. ოთხიდან რიგით პირველი (მაგრამ არცერთ შემთხვევაში მნიშვნელობის მიხედვით) დოკუმენტის ავტორია ლევან კახიშვილი. ნაშრომში დასმულია შეკითხვა: სარგებლობენ თუ არა ეთნიკური უმცირესობები საქართველოს ევროპეიზაციასთან დაკავშირებული სიკეთეებით? ამ დოკუმენტში გამოკვლეულია, თუ როგორ აღიქვამენ ეთნიკური უმცირესობები ევროპეიზაციას და მასთან დაკავშირებულ მატერიალურ თუ არამატერიალურ სარგებელს და შემდეგ განხილულია ის ბარიერები, რომლებსაც ეთნიკური უმცირესობები აწყდებიან აღნიშნული სიკეთეებით სრულად სარგებლობასთან დაკავშირებით.

მომდევნო დოკუმენტში სალომე მინესაშვილი განიხილავს ინფორმაციულ ნაკადს და ამომწურავ პასუხს სცემს კითხვას იმის შესახებ, თუ როგორ გავუმკლავდეთ ევროპეიზაციის კონტექსტში დეზინფორმაციასა და დესტრუქციულ კომუნიკაციას, რომელიც გათვლილია ეთნიკურ უმცირესობებსა და ქართული საზოგადოების სხვა მონაცვლად სეგმენტებზე. მიუხედავად იმისა, რომ სი-

ტყვა „დეზინფორმაცია“ უარყოფით ასოციაციებს აღძრავს, სალომე მინესაშვილი ასკვნის, რომ სინამდვილეში უმცირესობების ჯგუფებს არ გააჩნიათ მკვეთრად ჩამოყალიბებული უარყოფითი აზრი ევროკავშირის შესახებ. ეს კი, მისი აზრით, შეიძლება, გამოყენებული იქნას, როგორც შესაძლებლობა. სათანადო მიდგომით საქართველოს შეუძლია ინფორმაციული ვაკუუმის შევსება და, ამგვარად, დეზინფორმაციის მცდელობებთან და/ან დესტრუქციულ კომუნიკაციასთან გამკლავება.

შემდეგ დოკუმენტში ნინო სამხარაძე განიხილავს ევროპეიზაციასთან დაკავშირებით უმცირესობების თემებში არსებული სკეპტიციზმის საკითხს. საქართველოში უმცირესობების თემების ინტეგრაციის პრობლემების გათვალისწინებით, სკეპტიციზმის საკითხმა შეიძლება გაამწვავოს ევროპეიზაციის პროცესი და საზოგადოებრივი კონსენსუსის მიღწევა. დოკუმენტში ნაჩვენებია, რომ უმცირესობების წევრები ევროპას აღიქვამენ უფრო პოზიტიურად, ვიდრე ნეგატიურად, თუმცა მათ სკეპტიკურ დამოკიდებულებაზე იმასთან დაკავშირებით, თუ რისი მიღწევა შეუძლია საქართველოს ევროპეიზაციის საშუალებით, მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს ფაქტი, რომ უმცირესობები ხშირად იზოლირებულნი არიან დანარჩენი საზოგადოებისგან. ნინო სამხარაძე გამოყოფს ცალკეულ ტენდენციებს უმცირესობების თემებში ასაკის, სქესის და დასახლების ტიპის მიხედვით და გასცემს რეკომენდაციებს კონკრეტული სამიზნე აუდიტორიის სკეპტიციზმის პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებით.

ბოლო, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი დოკუმენტია სალომე კანდელაკის ნაშრომი, რომელშიც ავტორი განიხილავს ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური ჩართულობის ბარიერებს. იმის გათვალისწინებით, რომ

პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობაზე მოქმედებს რიგი სხვადასხვა ფაქტორები, იქნება ეს სტრუქტურული თუ კულტურული, სალომე კანდელაკმა შეადგინა პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობის ხელისშემშლელი ბარიერების საკმაოდ ვრცელი ჩამონათვალი, მათ შორის, პოლიტიკური პარტიების უმცირესობათა თემების მიმართ დამოკიდებულება, გადანყვეტილებების მიღების ცენტრალიზების მაღალი ხარისხი, ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურებში ნეპოტიზმი და ა.შ. ყველა სხვა ავტორის მსგავსად, სალომე კანდელაკმაც შეიმუშავა განხილულ პრობლემასთან დაკავშირებული რეკომენდაციები.

წინამდებარე კრებულის შექმნა შეუძლებელი იქნებოდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერის გარეშე, რომელიც Erasmus+ Jean Monnet-ის პროექტის „ნახალისე და იმოქმედე ევროპისთვის“ ფარგლებში განხორციელდა. ასევე გვსურს მადლიერება გამოვხატოთ კვლევის ასისტენტების – ნორიკ გასპარიანისა და ელნურ ალისოის მიმართ, კვლევის მონაწილეების შერჩევა-სა და ფოკუსჯგუფების ადგილობრივ ენაზე ჩატარებაში შეტანილი ფასდაუდებელი წვლილისათვის. ასევე, დიდ მადლობას ვუხდით იმ სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მედია-სააგენტოებს, რომლებიც აგრძელებენ ჩვენი საქმიანობის მხარდაჭერას საქართველოში ევროპეიზაციის პროცესის გაძლიერების მიმართულებით და ყოველთვის მზად არიან გაავრცელონ ჩვენი კვლევის შედეგები.

ლევან კახიშვილი

პოლიტიკის ანალიტიკოსი და პროექტის აკადემიური კოორდინატორი საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP)

**სარბებლობენ თუ არა ეთნიკური
უმცირესობები საქართველოს
ეპროპეიზაციასთან დაკავშირებული
სიკეთეებით?**

ლევან კახიუვილი¹

მოკლე შინაარსი

ევროპეიზაციამ საქართველოში საზოგადოებას არაერთი, როგორც მატერიალური, ასევე არამატერიალური სარგებელი მოუტანა. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ეთნიკური უმცირესობები არ არიან სათანადოდ ინტეგრირებულნი საქართველოს პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში, მნიშვნელოვანია შევისწავლოთ, რამდენად შეძლებენ ისინი ამ შესაძლებლობათა გამოყენებას. წინამდებარე ნაშრომში განხილულია ევროპეიზაცია, როგორც პირობითობის პოლიტიკის მეშვეობით ფორმალური წესების გადაცემა და მიღებული შედეგების აღქმა უმცირესობების მიერ. კვლევა ეფუძნება ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში 6 ფოკუს-ჯგუფთან დისკუსიას და 12 სიღრმისეულ ინტერვიუს ოფიციალურ პირებთან, უმცირესობების საკითხებზე მომუშავე ექსპერტებთან და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან. მონაცემები მოწმობს, რომ უმ-

ცირესობების თემის წევრებს შორის არსებობს განსხვავებული აზრი ევროპეიზაციის სარგებლის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. ზოგი მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანი სარგებელია სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაცია, ასევე პოზიტიური ცვლილებები პოლიტიკასა და მმართველობაში, ეკონომიკისა და დასაქმების, განათლებისა და სოციალურ სფეროებში. თუმცა კვლევის სხვა მონაწილეების მტკიცებით, შეუძლებელია ამ უპირატესობების მიღება ინფორმაციის არარსებობის, ენობრივი ბარიერის გამო ან უბრალოდ მათ არ სჯერათ, რომ მთელი ეს სარგებელი განკუთვნილია მათნაირი ადამიანებისთვის. წინამდებარე ნაშრომში ეს საკითხებია განხილული და წარმოდგენილია რეკომენდაციები საქართველოს მთავრობისთვის, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის, ევროკავშირის წარმომადგენლებისთვის და საერთაშორისო საზოგადოებისთვის.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, ევროპეიზაცია, ეთნიკური უმცირესობები, წესების ფორმალური გადაცემა.

შესავალი

ევროპეიზაცია წინამდებარე ნაშრომში გულისხმობს წესების ფორმალურ გადაცემას, კანონმდებლობის ფორმალურ ჰარმონიზაციას იმ ქვეყნისთვის, რომელსაც სურს ევროკავშირთან უფრო მჭიდრო ურთიერთობების დამყარება და, საბოლოოდ, შესაძლო წევრობაც.

ფართოდ არის გავრცელებული აზრი, რომ კანონმდებლობის ამგვარი ჰარმონიზაცია

მომგებიანია მესამე ქვეყნებისთვის, როგორც მატერიალური, ასევე არამატერიალური თვალსაზრისით. თუმცა ქვეყნები ხშირად იღებენ ნორმებს და წესებს მხოლოდ ფორმალურად და არ აინტერესებთ, თუ როგორ სრულდება ეს წესები ან იღებენ თუ არა მათით სარგებელს რიგითი მოქალაქეები. ამ მოსაზრებების გათვალისწინებით, წინამდებარე ნაშრომში განხილულია საქართველოს ევროპეიზაცია და ის, თუ რამდე-

¹ ლევან კახიშვილი, ბამბერგის უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა სკოლის (BAGSS) დოქტორანტი და საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის (GIP) ანალიტიკოსი.

ნად სარგებლობენ ეთნიკური უმცირესობები მასთან დაკავშირებული მიღწევებით და რა წინააღმდეგობები ხვდებათ მათ ამ პროცესში. ეთნიკური უმცირესობები საქართველოში, განსაკუთრებით, ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონის კომპაქტურ დასახლებებში, ჯერ კიდევ აწყდებიან ინტეგრაციასთან დაკავშირებულ, მაგალითად, სოციალურ და ეკონომიკურ (Bogishvili and Osepashvili 2017), ასევე, პოლიტიკაში მონაწილეობის (Kakhishvili 2018) და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის (Bogishvili and Tsiklauri 2017) პრობლემებს. აქედან გამომდინარე, ეთნიკური უმცირესობები საქართველოში მოწყვლადნი არიან რიგი პრობლემების მიმართ, რის გამოც მნიშვნელოვანია ევროპეიზაციის სარგებელზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

არსებობს ევროპეიზაციის, როგორც პოლიტიკური მოვლენის გააზრების სამი ძირითადი ასპექტი: I. ევროპეიზაცია შეიძლება დაიყოს ორ ეტაპად: განწვერიანების ეტაპი და განწვერიანების შემდგომი ეტაპი; II. ევროპეიზაცია შეიძლება გავიგოთ, როგორც პროცესი ზემოდან ქვემოთ ან ქვემოთ ზემოდან. ზემოდან ქვემოთ პროცესში მოიზრება ის, თუ რა ხდება მაშინ, როდესაც ევროკავშირი იყენებს პირობითობას, როგორც მესამე ქვეყნის თავსებადობის უზრუნველყოფის ინსტრუმენტს. მეორე მხრივ, ევროპეიზაცია, როგორც ქვემოთ ზემოდან პროცესი გულისხმობს იმას, თუ როგორ ცდილობენ პოლიტიკური მოთამაშეები საკუთარი მიზნების ევროპულ დონეზე ან, საქართველოს შემთხვევაში, ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობების დღის წესრიგში „დაყენებას“; III. ევროპეიზაციის მასტიმულირებელი შეიძლება იყოს ფაქტორების ორი სხვადასხვა ნაკრები: მთავრობის მიერ ხარჯ-სარგებლიანობის შეფასება და პოლიტიკური მოთამაშეების ნორმებისა და ინტერესების ორმხრივი (ხელახალი) ფორმირების პრო-

ცესი. უმცირესობების საკითხები, შესაძლოა, ევროპეიზაციის ნებისმიერი ამ ასპექტისთვის იყოს მნიშვნელოვანი. ხარჯების ეფექტურობის რაციონალურმა შეფასებამ შეიძლება იმოქმედოს მთავრობის გადანყვეტილებაზე, მიიღონ აუცილებელი საკანონმდებლო ცვლილებები, მაგრამ ეს რეალურად არ ნიშნავს იმას, რომ ქვეყანამ წარმატებით გაითავისა ევროპული ნორმები (Sasse 2008). მთავრობა ხშირად ფორმალურად ასრულებს ევროკავშირის მიერ წაყენებულ პირობებს, თუმცა სრულდება თუ არა რეალურად, სადავოა (Minesashvili and Kakhishvili 2015). მთლიანობაში, იმისათვის, რომ ნორმების გათავისება გაიზარდოს და ეთნიკურ უმცირესობებს გაუჩნდეთ ევროპეიზაციის დღის წესრიგის შედგენაში თანამონაწილეობის განცდა, საქართველოს მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს უმცირესობების თემების ამ პროცესში ჩართულობას.

წინამდებარე ნაშრომი ეფუძნება პირველად მონაცემებს, რომლებიც მიღებულია უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში – ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში, ჩატარებული ექვსი ფოკუს-ჯგუფის დისკუსიით, ასევე ექსპერტებთან და ოფიციალურ პირებთან ჩანერილი 12 სიღრმისეული ინტერვიუთი. მონაცემების ანალიზით ჩანს, რომ ეთნიკური უმცირესობების წინაშე არსებული გამოწვევები ეხება არა მხოლოდ ევროპეიზაციასთან დაკავშირებული სარგებლის მიღებას, არამედ იმასაც, რომ უმცირესობების თემის წევრები ხშირად აწყდებიან პრობლემებს ელემენტარული საჯარო მომსახურებების მიღების დროსაც. ამას არაერთი მიზეზი აქვს და ეს მიზეზები განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რა კონკრეტული მომსახურებაა მხედველობაში. ამავდროულად, გამომდინარე იქიდან, რომ მონაცემები იკრიბება რეგიონებში იმ პირების მონაწილეობით, რომლებიც მიეკუთვნებიან ეთნიკურ უმცირესობებს, რთულია

იმის განსაზღვრა, ევროპეიზაციასთან დაკავშირებული სარგებლის მიღება მხოლოდ ეთნიკური უმცირესობებისთვისაა პრობლემური თუ საქართველოს სხვა რეგიონებში მცხოვრები ადამიანებიც აწყდებიან მსგავს გამონევენებს. მთლიანობაში, კვლევა გვიჩვენებს, რომ უმცირესობების თემებს, განსაკუთრებით სოფლებში, პრობლემები აქვთ ენობრივ ბარიერსა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. ხშირად მათთვის დაუჯერებელია, რომ ევ-

როპეიზაციას ისეთი სარგებელი შეიძლება ჰქონდეს, როგორც მათთვისაც ხელმისაწვდომი იქნებოდა. ამასთან, კვლევის მიხედვით, შეუძლებელია ეთნიკური უმცირესობებისთვის ევროპეიზაციის სარგებელზე წვდომის სათანადოდ უზრუნველყოფა იმის გათვალისწინებით, რომ საჯარო ინსტიტუტუციები მათთვის არ არის ისევე ხელმისაწვდომი, როგორც ეთნიკურად ქართველი მოსახლეობისთვის.

ევროპეიზაციის სარგებელი და ეთნიკური უმცირესობები საქართველოში

ფოკუს-ჯგუფის დისკუსიებისას მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ აღენიშნათ ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობებთან დაკავშირებული რაიმე სარგებელი და ეთქვათ, თუ რამდენად შეძლეს პირადად მათ ან მათმა ნაცნობებმა ამ სარგებლის გამოყენება. აზრი ორად გაიყო: მონაწილეების ნაწილმა შეძლო ასეთი ხელმისაწვდომი სარგებლის დასახელება, ხოლო მეორე ნაწილი ამტკიცებდა, რომ უმცირესობებისთვის შეუძლებელია ამ სარგებლის გამოყენება. ქვემოთ განხილულია, თუ როგორ აღიქვამენ უმცირესობები ამ სარგებელს და რატომ მიიჩნევენ ზოგიერთი, რომ არანაირი სარგებელი არ არსებობს.

ფოკუს-ჯგუფის დისკუსიების მონაწილეებმა ჩამოთვალეს რიგი პოტენციურად სასარგებლო ცვლილებები, რომლებიც ევროპეიზაციის შედეგად გაჩნდა. ეს ცვლილებები შეიძლება დაიყოს ოთხ ზოგად კატეგორიად: ა) სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაცია, ბ) პოლიტიკა და მმართველობა, გ) ეკონომიკა და დასაქმება და დ) განათლება და სოციალური საკითხები.

სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაცია

სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაცია ერთ-ერთი ყველაზე ხშირად დასახელებული მიღწევა იყო, რომელიც, კვლევის მონაწილეების აზრით, არის ის, რითაც საქართველოს მოსახლეობას შეუძლია სარგებლობა. ეს არც არის გასაკვირი, რადგან უვიზო მიმოსვლის რეჟიმის ამოქმედებიდან პირველივე 16 თვეში 255 429 მოქალაქემ უვიზოდ იმოგზაურა ევროკავშირში (ნეტგაზეთი 2018), ხოლო 2019 წლის ივნისისთვის ამ მაჩვენებელმა 450 000-ს მიაღწია (დოლიძე 2019). ეს არის საქართველოს მოსახლეობის საერთო რაოდენობის 12%-ზე მეტი. შესაბამისად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ვინმეს ჯერ კიდევ არ გამოუყენებია ეს შესაძლებლობა, არსებობს მაღალი ალბათობა, რომ ისინი იცნობენ სხვას, ვინც უვიზო მიმოსვლით ისარგებლა. თუმცა, სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციას ერთი პრობლემა უკავშირდება: იგი ხშირად გამოიყენება ან აღიქმება ევროკავშირში არალეგალური დასაქმების გზად. როგორც ერთმა 20 წლის მამრობითი სქესის მონაწილემ აღნიშნა ახალციხეში (22.05.2020):

ახლა ადამიანებს უკვე შეუძლიათ ევროპაში უფიზოდ გამგზავრება და იქ, მართალია, არალეგალურად, მაგრამ მაინც მუშაობის დაწყება. ასევე მარტივია მუშაობის ნებართვის მიღებაც. მე ვიცნობ ბევრს, ვინც გაემგზავრა საფრანგეთში, გერმანიასა და პოლონეთში და უპრობლემოდ მუშაობენ იქ. ძალიან ბევრი სამუშაოა იქ.

შესაბამისად, „უფიზო მიმოსვლა“ ერთ-ერთი ყველაზე ხშირი პასუხი იყო დისკუსიებისას და იგი აღიქმება, როგორც მნიშვნელოვანი მიღწევა, რომლითაც საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ სარგებლობა.

პოლიტიკა და მმართველობა

დადებითი ცვლილებები პოლიტიკასა და მმართველობაში საქართველოს ევროპეიზაციის ერთ-ერთ მიღწევად დასახელდა. როგორც წესი, ეს გულისხმობს გაუმჯობესებულ მმართველობასა და ადამიანის, განსაკუთრებით, უმცირესობების უფლებების უკეთესად დაცვას. როგორც ჩანს, ევროკავშირთან საქართველოს ურთიერთობის შედეგად გატარებული რეფორმები დადებითად აღიქმება, რამაც „ქვეყანა [საქართველო] აიძულა გაეუმჯობესებინა საჯარო მომსახურებები, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ეს პრობლემატურად იქნებოდა აღქმული ევროკავშირთან ინტეგრაციის თვალსაზრისით“ (მამაკაცი, 31 წლის, დმანისი, 27.06.2020). კიდევ ერთმა მონაწილემ ნინოწმინდიდან (17.03.2020) ასევე დადებითად შეაფასა რეფორმები, მაგრამ აღნიშნა, რომ შედეგების სრულად მიღება შესაძლებელი იქნება 10-20 წლის შემდეგ.

რაც შეეხება გაუმჯობესებული მმართველობის ქრილში ადამიანთა უფლებებს, ერთმა მონაწილემ გარდაბანში (ქალი, 35 წლის, 22.06.2020) ხაზი გაუსვა შემდეგს:

იმისათვის, რომ საქართველო გახდეს ევ-

როკავშირის წევრი, აუცილებელია ზოგიერთი პირობის დაკმაყოფილება. ერთ-ერთი მოთხოვნაა ეთნიკური უმცირესობების დაცვა, აზერბაიჯანელების და სომხების ჩათვლით. უნდა მოხდეს უმცირესობების საზოგადოებაში ინტეგრაცია ასიმილაციის გარეშე. მათი უფლებები უნდა იყოს დაცული, მათი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, მათი მშობლიური ენა, [და] კულტურული ფასეულობები [უნდა იყოს დაცული] – ეს არის ერთ-ერთი მოთხოვნა.

ეს თემა ასევე აქტუალური იყო ახალქალაქში, მარნეულსა და ნინოწმინდაში. მაგალითად, ერთმა მონაწილემ ნინოწმინდიდან ადამიანის უფლებებისადმი ევროპული მიდგომა რუსეთის მიდგომას შეადარა. მან გაიხსენა 2006 წელს რუსეთიდან ქართველების დეპორტაცია, ასევე ადამიანთა უფლებების ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც რუსეთს დაზარალებულებისთვის კომპენსაციის გადახდას ავალდებულებდა (იხილეთ *Georgia v Russia 2009*). ასევე 28 წლის მონაწილე ქალმა მარნეულიდან განაცხადა, რომ მას სურვილი აქვს, საქართველოში მოქმედებდეს ადამიანის უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტები. ეს მიუთითებს იმაზე, რომ უმცირესობების თემების წევრების ნაწილს კარგად ესმის, რომ უმცირესობების ჩათვლით, ადამიანთა უფლებების დაცვა არის საქართველოს ევროპეიზაციის დღის წესრიგის ნაწილი.

ეკონომიკა და დასაქმება

საქართველოს ევროპეიზაციის კიდევ ერთი სარგებელი უკავშირდება ეკონომიკასა და დასაქმებას. მიუხედავად იმისა, რომ ეს არის ფართო და საკმაოდ კომპლექსური სფერო, მონაწილეებს კარგად ესმით მისი მნიშვნელობა. მაგალითად, ასოცირების შეთანხმება და ევროკავშირში ქართული პროდუქციის ექსპორტი დასახელდა, როგორც შესაძლებლობა მთლიანად ქვეყნისთვის.

თუმცა ასევე აღინიშნა, რომ საქართველო სრულად არ იყენებს ამ შესაძლებლობებს. ზოგიერთმა მონაწილემ აღნიშნა, რომ ფერმერებმა გაიარეს გადამზადება, თუ როგორ უნდა დააკმაყოფილონ ევროპული სტანდარტები სოფლის მეურნეობის პროდუქტებთან დაკავშირებით. დისკუსიები მიუთითებს, რომ ამგვარი ტრენინგები მნიშვნელოვანია და ისინი მომავალშიც უნდა გაგრძელდეს. მონაწილეებმა ასევე ხაზი გაუსვეს იმას, რომ საკვები პროდუქტების ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობა მოგებიანია არა მხოლოდ საქართველოს ევროკავშირთან ურთიერთობისათვის, არამედ ასევე საკვები პროდუქტების შიდა მოხმარების ხარისხის გასაუმჯობესებლადაც.

უმცირესობების ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს დასაქმების შესაძლებლობები და ხშირად მეორედებოდა აზრი, რომ ევროპეიზაციას შეუძლია ხელი შეუწყოს ამ პრობლემის გადაჭრას. კვლევის მონაწილეების აზრით, ეს შეიძლება გადამწყდეს სამი სხვადასხვა გზით. პირველი, ზოგიერთი ადამიანი არსებულ უვიზო რეჟიმს ევროკავშირში სამუშაოს არაღელგალურად მოსაძიებლად იყენებს, თუმცა ამგვარი ქცევა უარყოფითად შეფასდა. მეორე, ევროკავშირის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაცემული გრანტები აქტივიზმსა და ფასეულობებზე დაფუძნებული პოლიტიკური დღის წესრიგის შექმნის ნაცვლად დასაქმების საშუალება გახდა. მესამე, საქართველომ ევროპული ქვეყნების გამოცდილებიდან უნდა ისწავლოს, როგორ შეუწყოს ხელი ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. 23 წლის მონაწილე ქალმა გარდაბნიდან (22.06.2020) აღნიშნა:

თუ მოვინდომებ ჩემი ბიზნესის დანყებას, საქართველოში არის რამდენიმე პროგრამა, რომლებიც გვთავაზობს დახმარებას, მაგრამ რთულია გრანტების მიღება. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ასე-

თი პროგრამები არის ევროპაშიც და ეს პროგრამები ეხმარება ახალგაზრდებს ბიზნესის წამოწყებაში ან ფერმერული პოტენციალის გაზრდასა და თვითრეალიზაციაში. კარგი იქნებოდა, საქართველოშიც რომ იყოს ასე.

შედეგად, გამოცდილების გაზიარება და წარმატების ევროპული მაგალითებიდან გაკვეთილის მიღება მონაწილეების მიერ აღქმული იქნა, როგორც საშუალება საქართველოსთვის, გაუმჯობესდეს შრომის ბაზარი და შეიქმნას ახალი შესაძლებლობები ახალგაზრდებისათვის.

განათლება და სოციალური საკითხები

დაბოლოს, ევროპეიზაციით მიღებული სარგებლის ბოლო სფეროა განათლება და სოციალური საკითხები. ამასთან დაკავშირებით, მონაწილეების უმრავლესობამ ყურადღება გაამახვილა განათლების იმ შესაძლებლობებზე, რომელთაც გვთავაზობს Erasmus+ საქართველოს მოქალაქეებისთვის. 22 წლის მონაწილე მამაკაცმა მარნეულიდან (29.02.2020) აღნიშნა, რომ მისი ძმა სწავლობდა იტალიაში Erasmus+-ის სტიპენდიით, ასევე მანაც გამოიყენა შესაძლებლობა, ესწავლა შვიდი თვის განმავლობაში და ამასთან, მისი ძმა აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა პროექტებში და მოგზაურობს ევროპაში. შესაბამისად, ამკარაა, რომ Erasmus+-ის გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამები არის ძალიან ღირებული მიღწევა, განსაკუთრებით უმცირესობების თემების ახალგაზრდა წევრებისთვის.

გარდა ამისა, ახალგაზრდებისთვის ჩატარებული ტრენინგები და საგანმანათლებლო სტანდარტების განვითარების მხარდაჭერა იყო ის დამატებითი სფეროები, რომლებიც განაცხადებდა საქართველოს მოქალაქეებს, უმცირესობების თემის წევრების ჩათვლით, შეუძლიათ სარგებლის მიღება ევროპეიზაცი-

ის პროცესის შედეგად. ამასთან დაკავშირებით, ერთმა 20 წლის მამაკაცმა ახალციხეში (22.05.2020) აღნიშნა, რომ ევროპაში ქართული უნივერსიტეტების დიპლომების აღიარება არის მნიშვნელოვანი მიღწევა. 21 წლის მონანილე ქალი იმავე ჯგუფიდან დაეთანხმა მას და ხაზი გაუსვა, რომ ევროპაში აღიარებენ ქართული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ გაცემულ დიპლომებსაც. მან ასევე აღნიშნა, რომ საქართველომ უნდა ისწავლოს ევროკავშირისგან, თუ როგორ შეუწყოს ხელი სოციალურ აქტივობებში ახალგაზრდების ჩართულობას. კიდევ ერთმა 18 წლის ქალმა ახალქალაქიდან (06.03.2020) ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ახალგაზრდული ტრენინგების მნიშვნელობაზე გააკეთა აქცენტი:

მე ვმონანილეობდი ევროპის და აშშ-ის მიერ დაფინანსებულ არაერთ ტრენინგში. განათლების განვითარების თვალსაზრისით ეს უდიდესი ხელშეწყობაა. ამის [საქართველოსა და ევროკავშირის შორის

კარგი ურთიერთობის] გარეშე ჩვენ არ გვექნებოდა ასეთი მხარდაჭერა. ჩვენ ვერ შევძლებდით უფასოდ სწავლას. ახლა კი შეგვიძლია მონანილეობა მივიღოთ ევროპის მიერ დაფინანსებულ უამრავ [საგანმანათლებლო] პროექტში.

მთლიანობაში, ფოკუს-ჯგუფის დისკუსიებში მონანილეების მიერ გამოკვეთილ სარგებელს, როგორც ჩანს, უმცირესობების თემები, განსაკუთრებით კი მათი ახალგაზრდა წევრები, მნიშვნელოვან მიღწევად მიიჩნევენ. თუმცა, ეს ყოველივე მაინც ოპტიმისტური თვალსაზრისია იმის თაობაზე, თუ როგორ ხედავენ უმცირესობები საქართველოს ევროპეიზაციას და მასთან დაკავშირებულ სარგებელს. კვლევის ზოგიერთმა მონანილემ აღნიშნა, რომ მათ ან მათი თემის ზოგიერთ წევრს არ გააჩნიათ ამ სარგებლის გამოყენების შესაძლებლობა. ქვემოთ განხილულია სწორედ ის მიზეზები, რომლებიც ამ თვალსაზრისს უდევს საფუძვლად.

რატომ არ შეუძლიათ ეთნიკურ უმცირესობებს ევროპეიზაციიდან სარგებლის მიღება

კვლევის მონანილეებმა დაასახელეს სამი მთავარი მიზეზი, რომლებიც ხელს უშლის უმცირესობებს, განსაკუთრებით, უფროსი თაობის წარმომადგენლებს, სარგებელი მიიღონ ევროპეიზაციის პროცესით. ეს მიზეზებია: ხელმისაწვდომი ინფორმაციის ნაკლებობა, ენობრივი ბარიერი და რწმენა, რომ უმცირესობებს არ შეუძლიათ, რაიმე სარგებელი მიიღონ ევროპეიზაციისგან. ეს უკანასკნელი მიზეზი ნაკლებ ინფორმირებულობაზე მიუთითებს.

ინფორმაციის ნაკლებობა

ექვსივე ქალაქში ფოკუს-ჯგუფების დი-

სკუსიების მონანილეებმა ინფორმაციის ნაკლებობა უმცირესობებისთვის ბარიერად დაასახელეს. თუმცა ეს ასევე მოწმობს უფრო ღრმა პრობლემაზეც. კვლევა აჩვენებს, რომ ინფორმაციულ დეფიციტს განაპირობებს ორი მთავარი ფაქტორი. პირველი ფაქტორი არის საცხოვრებელი ადგილი; უმცირესობების თემის წევრები, რომლებიც ცხოვრობენ თბილისში ან თბილისთან ახლოს, უკეთ არიან ინფორმირებულნი ევროპეიზაციის შესახებ და რეგიონში მცხოვრებლებთან შედარებით აქვთ მეტი შესაძლებლობა, გამოიყენონ საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობით მიღებული სარგებელი. თუმცა, ეს პრობლემა

არ შემოიფარგლება მხოლოდ ცენტრსა და პერიფერიებს შორის არსებული სხვაობით. უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ადამიანებისთვის ნაკლებად ხელმისაწვდომია ინფორმაცია, თუ ისინი ცხოვრობენ სოფლად და არა მუნიციპალურ ცენტრებში. 18 წლის მონაწილე ქალმა ახალქალაქიდან (06.03.2020) აღნიშნა, რომ „თუ ადამიანებისთვის მეტნაკლებად ხელმისაწვდომია ინფორმაცია ქალაქში [ახალქალაქი], სოფლებში საერთოდ არავინ არაფერი იცის.“

ინფორმაციის დეფიციტის გამომწვევი მეორე ფაქტორი უკავშირდება საქართველოს ევროპეიზაციის პროცესში ჩართული სხვადასხვა მხარისგან კომუნიკაციის გაუმჯობესების საჭიროებას. 31 წლის მონაწილე მამაკაცი დმანისიდან (27.06.2020) ამტკიცებდა, რომ უბრალო ადამიანებს რომ გააჩნდეთ უფრო მეტი ინფორმაცია იმ შესაძლებლობების თაობაზე, რომელთაც ევროკავშირი უქმნის საქართველოს მოქალაქეებს, „ევროპისკენ სწრაფვა იქნებოდა არა მხოლოდ ოფიციალური სახელმწიფო პოლიტიკა, არამედ უამრავი ადამიანის ინდივიდუალური სურვილი.“ ეს მიუთითებს იმას, რომ უმცირესობებს აქვთ საქართველოს ევროპეიზაციის პოლიტიკური დღის წესრიგის განსაზღვრაში მონაწილეობის სურვილი. უმცირესობის თემების ადგილობრივ წარმომადგენლებს უნდა გააჩნდეთ შესაძლებლობა, წარმოაჩინონ თავიანთი ინტერესები ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობების პოლიტიკური პრიორიტეტების განსაზღვრის პროცესში. თუ ხელისუფლება და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები მოახერხებენ ევროპეიზაციის ქვემოთ ზემოთ და ზემოთ ქვემოთ მიმართული პროცესების შერწყმას, ეს აამაღლებს საზოგადოების მედეგობასა და კონსოლიდაციის დონეს. სხვა შემთხვევაში ევროპეიზაცია, როგორც განაცხადა ერთმა რესპონდენტმა, ხშირად აღიქმება „როგორც [უმცირესობების თემებისთვის

და არა მარტო] უცხო და გარედან თავსმოხვეული“ პროცესი:

ხშირად დონორების დახმარება ისეთია, რომ ისინი გთავაზობენ პრიორიტეტებს და საჭიროა შენ მოერგო, მაგრამ ევროპული ინტეგრაციის შემთხვევაში, ჩვენ გვაქვს საშუალება შევქმნათ სწორი პოლიტიკა. თუმცა, ყოველთვის ვერ ვხედავთ ამას. ... იდეალურ ვარიანტში, ალბათ, ეთნიკურმა უმცირესობებმაც უნდა შეიტანონ საკუთარი ნვლილი დღის წესრიგის განსაზღვრაში, ხოლო სახელმწიფომ უნდა გამოიჩინოს საკმარისი ძალისხმევა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ეს დღის წესრიგი ნამდვილად ეფუძნებოდეს ევროპულ ფასეულობებს.

თუმცა, მეორე მხრივ, სიღრმისეული ინტერვიუების დროს საჯარო მოხელეები იმ სხვადასხვა მექანიზმების შესახებ საუბრობენ, რომელთაც სახელმწიფო უმცირესობების ინფორმირებულობისათვის იყენებს. მაგალითად, ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენელმა ინტერვიუში აღნიშნა, რომ იგეგმება ცენტრის ვებგვერდის უმცირესობების ენებზე თარგმნა, რის შედეგადაც ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება მათთვის გასაგებ ენაზე.¹ ამასთან, საინფორმაციო კამპანიების ფარგლებში, მოშორებით მდებარე სოფლებშიც კი იმართება შეხვედრები. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენელმა ინტერვიუში განაცხადა, რომ

სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებმა გამართეს შეხვედრები და მიანოდეს ინფორმაცია [უმცირესობების თემებს] სხვადასხვა საკითხების, მათ შორის, კოოპერატივების თაობაზე, რამაც დიდი დაინტერესება გამოიწვია. ასე რომ, მათ იციან, თუ რა შესაძლებლობები არ-

სებობს [ევროკავშირის მიერ შეთავაზებული პროექტების თვალსაზრისით].ⁱⁱ

ზოგადად, არსებობს ორი ურთიერთგამომრიცხავი აზრი კომუნიკაციის ასპექტში მთავრობის ძალისხმევასთან მიმართებით. საჯარო მოხელეები ინტერვიუს დროს ამტკიცებენ, რომ მთავრობა ძალისხმევას არ იშურებს კომუნიკაციისთვის, თუმცა მიუხედავად ამისა, უმცირესობების თემის წევრები ინფორმაციის ხელმისაწვდომობას მაინც მთავარ პრობლემად მიიჩნევენ. ბუნებრივია, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები ვერ მივლენ თითოეულ ადამიანთან პირადად, მაგრამ რჩება შთაბეჭდილება, რომ სამიზნე აუდიტორიასთან კომუნიკაციისთვის მიმართული ძალისხმევა საკმარისი არ არის. შესაბამისად, საჭიროა კომუნიკაციის გაუმჯობესება, რაშიც საქართველოს მთავრობა, მოიკოჭლებდა. ამის ბოლოდროინდელ მაგალითად კორონავირუსის გავრცელების წინააღმდეგ მიღებული ზომებისა და ვირუსის საფრთხის თაობაზე ეთნიკურ უმცირესობებთან არშემდგარი კომუნიკაციის შემთხვევა შეიძლება მოვიყვანოთ.

ენობრივი ბარიერი

ქართული ენის არცოდნა ეთნიკური უმცირესობებისთვის ბარიერს წარმოადგენს სხვადასხვა ასპექტში. ამ მხრივ გამოიკვლია არც ევროპეიზაცია და მასთან დაკავშირებული სარგებლის ხელმისაწვდომობა. თუმცა მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ ხშირად სახელმწიფო ენის ცოდნასთან დაკავშირებული საკითხი კვლევის მონაწილეებს შორის უთანხმოების მიზეზი ხდებოდა. ზოგიერთმა მონაწილემ სახელმწიფო ენის არცოდნა პრობლემად მიიჩნია, მაგრამ ის მონაწილეები, რომლებმაც თქვეს, რომ ქართული იციან, ამტკიცებდნენ, რომ არსებობს ამ პრობლემის მოგვარების მარტივი გზა. 2005 წელს ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა

დაარსდა, რომელიც შეიქმნა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. მათ აქვე შეეძლოთ ქართული ენის შესწავლაც (Zurab Zhvania School of Public Administration 2020a). დღეისათვის სკოლის მიერ შეთავაზებული ქართული ენის კურსები ათ რეგიონულ ცენტრშია ხელმისაწვდომი: მარნეულში, ბოლნისში, დმანისში, გარდაბანში, ნალკაში, ახალქალაქში, ნინოწმინდაში, ლამბალოში, ლაგოდეხსა და ახმეტაში (Zurab Zhvania School of Public Administration 2020b). ამასთან, სკოლას ჰყავს მობილური ჯგუფები, რომლებიც კურსებს ატარებენ აღნიშნული მუნიციპალური ცენტრების ფარგლებს გარეთაც, – სხვადასხვა სოფლებში (Zurab Zhvania School of Public Administration 2020b). ეს უაღრესად მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა უმცირესობების თემის წევრებისთვის, რადგან კურსები სრულიად უფასოა. ამასთან დაკავშირებით, ერთმა, 26 წლის მონაწილემ ქალმა ახალქალაქიდან (06.03.2020) აღნიშნა: „არსებობს ჟვანიას სკოლა და დავდივარ იქ [ქართულის] სასწავლად, ძალიან კმაყოფილი ვარ. ... თუ ადამიანი დაინტერესებულია, ნებისმიერს შეუძლია ამის გაკეთება.“ იგივე გაიმეორა შერიგების სამინისტროს წარმომადგენელმა, რომელმაც საუბრისას აღნიშნა, რომ უმცირესობების თემების წევრი სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი ესწრება კურსებს.ⁱⁱⁱ

ზოგადად, ჟვანიას სკოლა არის იშვიათი შესაძლებლობა ეთნიკური უმცირესობებისთვის საქართველოში სახელმწიფო ენის შესასწავლად. თუმცა ქართული ენის სწავლა-სწავლებასთან დაკავშირებულ კიდევ ერთ პრობლემას წარმოადგენს ის, რომ სკოლის მოსწავლეები ვერ ახერხებენ საჯარო სკოლებში ენის აუცილებელი უნარების შეძენას. სკოლებში სახელმწიფო ენის სწავლების ხარისხი პრობლემად რჩება. თუ საქართვე-

ლოს სურს, რომ მისმა ყველა მოქალაქემ იცოდეს სახელმწიფო ენა, მაშინ აუცილებელია მეტი აქცენტი გაკეთდეს სკოლებში ენის სწავლების ხარისხზე და სახელმწიფო არ დარჩეს მხოლოდ ჟვანიას სკოლისა და ინდივიდის პირადი არჩევანის იმედად, რომ თავად მოძებნოს ენის შესწავლის საშუალება. ყველა დისკუსიისას, კვლევის მონაწილეები მუდმივად ასახელებდნენ პრობლემას, რომელიც უკავშირდება ადამიანური რესურსების დეფიციტის გამო სკოლებში, განსაკუთრებით სოფლად, ქართული ენის სწავლების დაბალ დონეს. ეს ნიშნავს, რომ პირმა, რომელიც ამთავრებს საშუალო სკოლას, დიდი შანსია, სათანადო დონეზე არ იცოდეს სახელმწიფო ენა და მან უნდა ეძიოს გზები ენის შესასწავლად. ამგვარი პოლიტიკა არაეფექტურია და საჯარო სკოლებში ქართული ენის სწავლების ხარისხის გაუმჯობესება უნდა იყოს ენის სწავლების პოლიტიკის უმთავრესი პრიორიტეტი.

სკეპტიციზმი ევროპეიზაციის სარგებელის მიმართ

კვლევის მონაწილეების მიერ განსაზღვრული ბოლო ბარიერი აღქმებს უკავშირდება. უმცირესობების თემების ზოგიერთ წევრს არ სჯერა, რომ ევროპეიზაციას სარგებელი მოაქვს ან, რომ ამ სარგებლის გამოყენება უმცირესობებსაც შეუძლიათ. როგორც 18 ნლის მონაწილე ქალმა ახალქალაქიდან, (06.03.2020) განაცხადა, „ადამიანებს არ სჯერათ [რომ ევროპეიზაციას მოაქვს სარგებელი]. მაშინაც კი, როდესაც მათ ეუბნები, რომ არსებობს ესა და ეს შესაძლებლობები, მათ უბრალოდ არ სჯერათ ... განსაკუთრებით, უფროსი თაობის წარმომადგენლებს.“ ანალოგიურად, სხვები ან არ

აღიარებენ შესაძლებლობებს ან არასწორად აღიქვამენ მათ და უჩნდებათ შიში, როგორც ეს 31 ნლის მონაწილე მამაკაცმა დმანისში (27.06.2020) განაცხადა:

თუ ისინი [ეთნიკური აზერბაიჯანელები] გაიტანენ თავიანთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტს ევროპაში, როგორ მოახერხებენ მის გაყიდვას? მათ ეშინიათ, [და] არ სურთ ამის გაკეთება. შესაბამისად, რუსული ბაზარი მათთვის უფრო მოსახერხებელი და ნაცნობია, რადგან რუსეთს არ აქვს სტანდარტები – ეს უფრო მისაღებია. ასე, რომ ჩვენ ვაზროვნებთ ლოკალურად და არ გვინდა კონკურენციაში ჩაბმა.

კიდევ ერთი მოსაზრება, რომელიც განსაკუთრებით გამოიკვეთა ნინონმინდაში, იმას ეხებოდა, რომ თუნდაც ევროპეიზაციას ჰქონდეს რაიმე სარგებელი, ეს მაინც არ იქნება ხელმისაწვდომი ეთნიკური უმცირესობებისთვის, რადგან აღნიშნული სარგებელი მხოლოდ ეთნიკურად ქართველებისთვის არის ან მათთვის, ვინც თბილისში ცხოვრობს. მონაწილე მამაკაცმა ნინონმინდაში (17.03.2020) განაცხადა, რომ „სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაცია განკუთვნილია [ეთნიკური] ქართველებისთვის. ისინი დადიან ევროპაში; ჩვენ ვერ შევძლებთ ამას“ და „რომ ისინი [ევროკავშირი] ეხმარებიან მხოლოდ ცენტრს [თბილისს]. რაც შეეხება ვიზას, ვერ მიიღებ მისგან სარგებელს თუ სამუშაოდ წასვლა გინდა.“ შესაბამისად, ამგვარი რწმენა და აღქმები ქმნის განწყობას, რაც ეჭვქვეშ აყენებს სახელმწიფო ინსტიტუტებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მხრიდან კომუნიკაციასთან დაკავშირებით გახორციელებული ძალისხმევის ეფექტურობას.

დასკვნა და რეკომენდაციები

ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში კომპაქტურად მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები დიდად არ განსხვავდებიან პატარა ქალაქებსა და სოფლად მცხოვრები ეთნიკური ქართველებისგან. შესაძლოა, მთავარი, რაც განასხვავებს უმცირესობებს არის სახელმწიფო ენის არცოდნა, რის გამოც მათთვის პრობლემას წარმოადგენს შესაბამის ინფორმაციაზე წვდომა ან საჯარო მომსახურებებით იმ დონეზე სარგებლობა, რაც ხელმისაწვდომია ეთნიკურად ქართველებისთვის. სხვა ისეთი ფაქტორები, როგორცაა, მაგალითად, ევროპეიზაციასთან დაკავშირებული სკეპტიციზმი ან არასწორი წარმოდგენები არ არის მხოლოდ ეთნიკური უმცირესობებისთვის დამახასიათებელი. თუ ეთნიკური უმცირესობები მიიჩნევენ, რომ ევროპეიზაციის სარგებელი ხელმისაწვდომია მხოლოდ ეთნიკურად ქართველებისთვის და მათთვის, ვინც ცხოვრობს თბილისში, სოფლად მცხოვრები ეთნიკურად ქართველებისთვისაც ასევე მარტივია იმის თქმა, რომ ეს სარგებელი განკუთვნილია მხოლოდ ქართული საზოგადოების ყველაზე შეძლებული ნაწილისთვის, რომელიც, როგორც წესი დედაქალაქში ცხოვრობს. ეს ნიშნავს, რომ ეთნიკური უმცირესობებისთვის ის, რაც საზოგადოების ნაკლებად პრივილეგირებულ ნაწილსა – როგორც თვითაღქმა – და მეტად პრივილეგირებულ ნაწილს – როგორც „სხვა“ – ერთმანეთისგან განასხვავებს, ეთნიკური იდენტობაა. მეორე მხრივ, ეთნიკურად ქართველებისთვის საზოგადოების ნაკლებ და მეტად პრივილეგირებულ ნაწილებად დაყოფას სოციალურ კლასი განსაზღვრავს. თუმცა აქ მნიშვნელოვანი ის არის, რომ ეთნიკური უმცირესობებიცა და ეთნიკურად ქართველებიც პრინციპულად ერთნაირად აღიქვამენ იმას, რომ ევროპეიზაციისგან სარგებლის მიღება საზოგადოების მხოლოდ

პრივილეგირებულ ნაწილს შეუძლია მიუხედავად იმისა, რომ, ერთი მხრივ, პრივილეგიებს ეთნიკური იდენტობა განსაზღვრავს, ხოლო, მეორე მხრივ, სოციალური კლასი. ამ პრობლემის მოგვარება ერთი და იმავე მეთოდითაა შესაძლებელი სრულიად საქართველოს საზოგადოებისთვის, რაც შესაძლებელია პოლიტიკური დღის წესრიგის განსაზღვრაში მოქალაქეების თანამონაწილეობით – ეს გულისხმობს ევროპეიზაციის ქვემოდან ზემოთ პროცესს ევროპულ ფასეულობებზე დაყრდნობით.

ქვემოთ მოცემულია რეკომენდაციები იმ ბარიერების აღმოფხვრის ხელშესაწყობად, რომლებიც საშუალებას არ აძლევს ეთნიკურ უმცირესობებს ისარგებლონ საქართველოს ევროპეიზაციის პროცესის შედეგად შექმნილი მატერიალური და არამატერიალური სიკეთეებით.

რეკომენდაციები საქართველოს მთავრობისთვის

- აუცილებელია ევროპეიზაციასთან დაკავშირებული პოლიტიკური დღის წესრიგის ფორმირებაში ეთნიკური უმცირესობების (და საქართველოს სხვა რეგიონებიდან ადგილობრივი მოთამაშეების) მონაწილეობის უზრუნველყოფა, რათა ხელი შეეწყოს ქვემოდან ზემოთ პროცესს და გაიზარდოს უმცირესობების თვითაღქმული პასუხისმგებლობა ქვეყნის საგარეო პოლიტიკასთან მიმართებით – მნიშვნელოვანია, რომ ეთნიკური უმცირესობები იყვნენ არა მხოლოდ გარკვეული პროექტებისა და ინიციატივების ბენეფიციარები, არამედ აქტიური მონაწილეები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში განსაზღვრავენ მათთან დაკავშირებული

სხვადასხვა პროცესების განვითარების მიმართულებას. ასეთი მიდგომით ევროპეიზაცია არ იქნება აღქმული, როგორც უცხო და საქართველოსთვის გარედან იძულებით თავსმოხვეული.

- მნიშვნელოვანია კომუნიკაციის გაძლიერება იმასთან დაკავშირებით, რომ ქართული ენის შემსწავლელი კურსები უფასოდაა ხელმისაწვდომი ზურაბ ჟვანიას სახელობის სკოლის მობილური კლასების მეშვეობით, რომელზე დასწრებაც საკუთარ სოფელშიც კი შესაძლებელია – კვლევა გვიჩვენებს, რომ ეთნიკურ უმცირესობებს ესმით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სახელმწიფო ენის ცოდნა, რადგან ხედავენ, რომ ქართული ენის მცოდნეებისგან განსხვავებით მათთვის, ვინც ვერ მეტყველებს ქართულად მარტივი არ არის საჯარო მომსახურებების მიღება, რომ აღარაფერი აღარ ვთქვათ ევროპეიზაციის სარებელზე. თუმცა ყველამ არ იცის ამ შესაძლებლობის თაობაზე.
- საჭიროა საჯარო სკოლებში ქართული ენის სწავლების ხარისხის გაუმჯობესება – ეთნიკურ უმცირესობებს უნდა გააჩნდეთ საჯარო სკოლაში სახელმწიფო ენის სწავლის შესაძლებლობა. მართალია, ზურაბ ჟვანიას სახელობის სკოლები არის მნიშვნელოვანი და ეფექტური ინიციატივა, უმნიშვნელოვანესია იმის უზრუნველყოფაც, რომ ზურაბ ჟვანიას სახელობის სკოლები არ იყოს ძირითადი შესაძლებლობა უმცირესობების თემების იმ წევრებისთვის, რომლებსაც სურთ ქართული ენის შესწავლა. კვლევა გვიჩვენებს, რომ ეთნიკური ქართველების მასწავლებლად გაგზავნის პროგრამა ქართული ენის სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ერთ-ერთი მეთოდი

იყო, თუმცა ასევე აუცილებელია, რომ ამის შედეგად ადგილობრივმა მასწავლებლებმა თავს არ გრძნობდნენ ზედმეტად და არ ეშინოდეთ საკუთარი სამუშაო ადგილის დაკარგვის.

- უნდა გაგრძელდეს და გაძლიერდეს კომუნიკაციაზე მომართული ძალისხმევა, რომელიც ხელს უწყობს საქართველოს ევროპეიზაციის მატერიალური და არამატერიალური სიკეთეების ხელმისაწვდომობაზე ეთნიკური უმცირესობების (და მთლიანობაში სოფლის მოსახლეობის) ინფორმირებულობის ზრდას – კვლევა გვიჩვენებს, რომ საქართველოს მთავრობა უკვე ახორციელებს ინტენსიურ საკომუნიკაციო ღონისძიებებს ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობების შედეგად არსებული შესაძლებლობების თაობაზე. თუმცა ის ფაქტი, რომ ეთნიკური უმცირესობები ამ შესაძლებლობებისა და სიკეთეების თაობაზე ინფორმაციის ნაკლებობას უსვამენ ხაზს, მიუთითებს ძალისხმევის გაძლიერების აუცილებლობაზე. რა თქმა უნდა, რომ დიდი დრო დასჭირდება ადგილობრივი მწარმოებლების რუსეთის ბაზრიდან ევროკავშირის ბაზარზე გადაყვანას, მაგრამ აუცილებელია უფრო ფართო აუდიტორიის მოცვა, განსაკუთრებით, მუნიციპალური ცენტრების ფარგლებს გარეთ, ტერიტორიულად დამორეზულ სოფლებში.

რეკომენდაციები ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის

- მნიშვნელოვანია იმ ახალგაზრდების ჩართვა ცვლილებების განსახორციელებლად, რომლებიც უკვე არიან შედარებით უფრო ინფორმირებულნი – ევროკავშირის დელეგაცია და ნატოსა

და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრი ახორციელებენ ახალგაზრდა ევროპელი ელჩების პროგრამას. ანალოგიური მოდელი შეიძლება გამოვიყენოთ უშუალოდ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში, რათა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ იმ ახალგაზრდა თაობას, რომელიც საუბრობს ქართულ და ინგლისურ ენებზე და აქტიურად არის ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში, საშუალება მიეცეთ საკუთარი წვლილი შეიტანონ უფროსი თაობის ან მათი თანატოლების პოლიტიკურ განათლებაში საქართველოს ევროპეიზაციასთან მიმართებით.

- **საჭიროა ევროპეიზაციის შესახებ პროექტების გახორციელებაში მონაწილეობითი მიდგომის გამოყენება, რათა თავიდან იქნას აცილებული დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების აღქმა, როგორც გარედან თავს მოხვეული პოლიტიკური დღის წესრიგი** – ზოგადად, საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ საზოგადოების ნდობის მაჩვენებელი დაბალია. როდესაც საქმე ეხება ფასეულობების იძულებით თავს მოხვევას, შეიძლება, მოხდეს სამიზნე აუდიტორიის მთლიანად გაუცხოვება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში ტრენინგებისა და სემინარების წინასწარ განსაზღვრული პროგრამებით კი არ მივიდნენ, არამედ საშუალება მისცენ ადგილობრივი საზოგადოების წევრებს, რომ მონაწილეობა მიიღონ და წარმართონ დღის წესრიგის განსაზღვრის პროცესი.

- **აუცილებელია საინფორმაციო კამპანიების ჩატარება ეთნიკური უმ-**

ცირესობებისთვის საინტერესო საკითხებზე – მნიშვნელოვანია, რომ მათ, ვინც გეგმავს საინფორმაციო კამპანიების ჩატარებას, ესმოდეთ თუ რა საკითხები აინტერესებს ეთნიკური უმცირესობების კონკრეტულ თემს, მაგალითად, ქვემო ქართლში, კახეთის ან სამცხე-ჯავახეთისგან განსხვავებით, ან უშუალოდ თითოეულ რეგიონში მუნიციპალიტეტების მიხედვით, შესაძლოა, განსხვავებული ინტერესები არსებობდეს. თითოეული თემი ერთმანეთისგან განსხვავდება საკუთარი საჭიროებებითა და ინტერესებით. შესაბამისად, ასეთი კამპანიები მაქსიმალურად უნდა იყოს აუდიტორიაზე ორიენტირებული სტანდარტული მიდგომების გარეშე.

რეკომენდაციები ევროკავშირის წარმომადგენლებისა და საერთაშორისო თანამეგობრობისთვის

- **აუცილებელია იმის უზრუნველყოფა, რომ წესების გადაცემა და კანონმდებლობის ჰარმონიზაცია იყოს არა მხოლოდ უბრალო ფორმალობა, არამედ ნორმებთან სოციალიზაციის განუყოფელი ნაწილი** – თუ ევროკავშირი დაინტერესებულია საქართველოში კანონმდებლობის წარმატებული ჰარმონიზაციითა და წესების სათანადო გადაცემით, ძირითადი ყურადღება უნდა დაეთმოს იმის თვისებრივ შეფასებას, ხდება თუ არა მიღებული ფორმალური წესების შესრულება.

- **საჭიროა პოლიტიკური დღის წესრიგის განსაზღვრის ქვემოდან ზემოთ პროცესის გაძლიერება ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობების ჩარჩოში** – ადგილობრივი მოთამაშეების, განსაკუთრებით, ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის გაზრდა,

რომლებიც წარმოადგენენ ქართული საზოგადოების ყველაზე ევროსკეპტიკურად განწყობილ წევრებს, გაზრდის თანამონაწილეობის გრძნობას ადგილობრივ თემებს შორის საქართველოს ევროპეიზაციასთან დაკავშირებით. მართალია, პოლიტიკური დღის წესრიგის განსაზღვრა სრულად ქვემოდან

ზემოთ პროცესის მეშვეობით შეუძლებელია და სასურველიც კი არ არის, მაგრამ მნიშვნელოვანია, დამყარდეს დელიკატური ბალანსი, რათა ადგილობრივმა თემებმა ზემოდან ქვემოთ ევროპეიზაციის პროცესი არ აღიქვან, როგორც გარედან თავსმოხვეული.

ⁱ ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრი, პირადი კომუნიკაცია, 2020 წლის 19 მაისი.

ⁱⁱ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, პირადი კომუნიკაცია, 2020 წლის 20 მაისი.

ⁱⁱⁱ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, პირადი კომუნიკაცია, 2020 წლის 20 მაისი.

გამოყენებული ლიტერატურა

- დოლიძე, თათია. 2019. ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის პროგრესის შეფასება: საქართველო პრევენციული სტრატეგიის ძიებაში. თბილისი: საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP). <https://bit.ly/37AqnW3>.
- ნეტგაზეთი. 2018. „ამოქმედებიდან დღემდე, უვიზო რეჟიმით 255 429 ადამიანმა ისარგებლა.“ 2018 წლის 29 ივლისი. <https://netgazeti.ge/news/295691/>.
- Bogishvili, Diana, and Ana Tsiklauri. 2017. “Access to Information for National Minorities in Georgia.” In *Integration of National Minorities in Georgia*, 105-134. Tbilisi: Netherlands Institute for Multiparty Democracy and OSCE High Commissioner on National Minorities. http://eecmd.org/wp-content/uploads/2017/07/Policy_Papers_ENG.pdf.
- Bogishvili, Diana, and Irina Osepashvili. 2017. “Social and Economic Standing of National Minorities in Georgia.” In *Integration of National Minorities in Georgia*, 71-104. Tbilisi: Netherlands Institute for Multiparty Democracy and OSCE High Commissioner on National Minorities. http://eecmd.org/wp-content/uploads/2017/07/Policy_Papers_ENG.pdf.
- Georgia v Russia. [2019]. Application no. 13255/07. June 30, 2009. <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-93425>.
- Kakhishvili, Levan. 2018. *Competing for Votes of Ethnic Minorities in Georgia: The 2017 Local Elections*. Tbilisi: Center for Studies of Ethnicity and Multiculturalism (CSEM). http://csem.ge/wp-content/uploads/2018/06/Competing-for-Votes-of-Ethnic-Minorities_Eng.pdf.
- Minesashvili, Salome, and Levan Kakhishvili. 2015. “Georgia: Foreign Policy Identity in the Domestic Arena as a Subject of Contestation.” *Caucasus Analytical Digest* 77: 14-16. <https://css.ethz.ch/content/dam/ethz/special-interest/gess/cis/center-for-securities-studies/pdfs/CaucasusAnalyticalDigest77.pdf>.
- Sasse, Gwendolyn. 2008. “The Politics of EU Conditionality: The Norm of Minority Protection during and beyond EU Accession.” *Journal of European Public Policy* 15, no. 6: 842-860. DOI: 10.1080/13501760802196580.
- Zurab Zhvania School of Public Administration. 2020a. *School History*. <http://www.zspa.ge/eng/page/16>.
- Zurab Zhvania School of Public Administration. 2020b. *State Language and Integration Program*. <http://www.zspa.ge/eng/page/120>.

დანართი

კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების ჩამონათვალი

1. სახალხო დამცველის ოფისთან არსებული ეთნიკურ უმცირესობათა საბჭო, პირადი კომუნიკაცია, 2020 წლის 19 მაისი
2. ევროპული დელეგაცია საქართველოში, პირადი კომუნიკაცია, 2020 წლის 19 მაისი
3. საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, პირადი კომუნიკაცია, 2020 წლის 19 მაისი
4. სახალხო დამცველის ოფისი, პირადი კომუნიკაცია, 2020 წლის 19 მაისი
5. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, პირადი კომუნიკაცია, 2020 წლის 20 მაისი
6. ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრი, პირადი კომუნიკაცია, 2020 წლის 21 მაისი
7. საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, პირადი კომუნიკაცია, 2020 წლის 22 მაისი
8. ჯავახეთის ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, პირადი კომუნიკაცია, 2020 წლის 9 ივნისი
9. „Ifact“ მედია-წყარო, პირადი კომუნიკაცია, 2020 წლის 20 ივნისი
10. ჯავახეთის ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, პირადი კომუნიკაცია, 2020 წლის 21 ივნისი
11. ქვემო ქართლის ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, პირადი კომუნიკაცია, 2020 წლის 21 ივნისი
12. ჯავახეთის ადგილობრივი ხელისუფლება, პირადი კომუნიკაცია, 2020 წლის 24 ივნისი

კვლევის ფარგლებში ჩატარებული ფოკუს-ჯგუფი დისკუსიების ჩამონათვალი

სამცხე-ჯავახეთი:

1. ახალქალაქი, ქალები, 9 მონაწილე, 2020წ. 6 მარტი
2. ნინოწმინდა, კაცები, 10 მონაწილე, 2020წ. 17 მარტი
3. ახალციხე, შერეული, 6 მონაწილე, 2020წ. 22 მაისი

ქვემო ქართლი:

1. მარნეული, შერეული, 7 მონაწილე, 2020წ. 29 თებერვალი
2. გარდაბანი, ქალები, 4 მონაწილე, 2020წ. 22 ივნისი
3. დმანისი, კაცები, 4 მონაწილე, 2020წ. 27 ივნისი

**ეპროკავშირი და ეთნიკური
უმცირესობები საქართველოში:
ინფორმაციული ვაკუუმი და
დეინფორმაცია**

სალომე მინუსაშვილი¹

მოკლე შინაარსი

მოკლე შინაარსი

მაღალი საზოგადოებრივი მხარდაჭერა ხშირად განიხილება, როგორც საქართველოს საგარეო პოლიტიკის მიმართულებისა და, განსაკუთრებით, ევროკავშირის წევრობისაკენ მისი სწრაფვის საფუძველი. თუმცა საქართველოში ეთნიკური უმცირესობები წარმოადგენს ჯგუფს, რომლის ერთსულოვანი მხარდაჭერაც ქვეყნის საგარეო პოლიტიკას აკლია. საქართველოში ეთნიკური ქართველებისგან განსხვავებით, ეთნიკური

აზერბაიჯანელები და სომხები ნაკლებად უჭერენ მხარს საქართველოს ევროკავშირის პოტენციურ წევრობას. წინამდებარე სტატიაში განხილულია ეთნიკური უმცირესობების ნაკლები მხარდაჭერის შესაძლო მიზეზები და ასევე წარმოდგენილია რეკომენდაციები ამ მხარდაჭერის გაზრდისათვის. სტატიაში ჩამოყალიბებულია კავშირი მათ პოზიცია-სა და ევროკავშირის შესახებ ინფორმაციის დეფიციტსა და დეზინფორმაციას შორის, შემოთავაზებულია უფრო ქმედითი და ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანია.

საკვანძო სიტყვები: ევროინტეგრაცია, ეთნიკური უმცირესობები, ევროსკეპტიციზმი, ყალბი ინფორმაცია, ანტიდასავლური პროპაგანდა.

შესავალი

ქართულ საზოგადოებაში ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაცია ათწლეულების მანძილზე ქვეყნის პრობლემას წარმოადგენს. ამ პრობლემის მოგვარებისკენ მიმართული სახელმწიფო პროგრამების მიუხედავად, საქართველოს ეთნიკური უმცირესობები მაინც იზოლირებული და დისტანცირებულია დანარჩენი საზოგადოებისაგან და ამ მიმართულებით პროგრესი ნელია. საქართველოში ბოლო, 2014 წლის აღწერის მიხედვით, ეთნიკური უმცირესობები მოსახლეობის დაახლოებით 13.2%-ს წარმოადგენს, რომელთაგან უმრავლესობა მიეკუთვნება ორ ჯგუფს: 6.3% – ეთნიკური აზერბაიჯანელები და 4.5% – ეთნიკური სომხები (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2016). აღნიშნული ორი ჯგუფი ძირითადად კომპაქტურად ცხოვრობს საქართველოს სამხრეთ რეგიონებში – ქვემო

ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში. ეთნიკური ქართველებისგან განსხვავებით, ისინი არაერთსულოვანნი არიან ქვეყნის დასავლური საგარეო პოლიტიკური მიმართულების მხარდაჭერის მხრივ. ეთნიკური ქართველების 75%-ისგან განსხვავებით, აზერბაიჯანელთა მხოლოდ 32% და სომეხი მოსახლეობის მხოლოდ 48% უჭერს მხარს ევროკავშირში საქართველოს პოტენციურ განწევრებას (კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრები 2019). ეს პრობლემებს უქმნის ევროპიზაციის პროცესს იმის გათვალისწინებით, რომ ეთნიკური უმცირესობები წარმოადგენენ ყველაზე მოწყვლად სეგმენტს ანტიდასავლური პროპაგანდისადმი, მათ შორის, რუსეთის პროპაგანდის კუთხითაც (ავალიშვილი, ლომთაძე, ქევიშვილი 2016).

¹ სალომე მინესაშვილი არის საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის ანალიტიკოსი და ფლობს ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის დოქტორის ხარისხს.

ჩატარებული გამოკითხვების, ექსპერტებთან საუბრებისა და ეთნიკური უმცირესობების ფოკუსჯგუფებთან დისკუსიების საფუძველზე წინამდებარე სტატიაში განხილულია ნაკლები მხარდაჭერის მიზეზები და წარმოდგენილია რეკომენდაციები სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისათვის აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად. სტატიაში გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ გარკვეული ევროსკეპ-


ტიკური განწყობის მიუხედავად, ეთნიკური უმცირესობების უმეტესობა, რეალურად, არ არის ჩამოყალიბებული ევროკავშირის წევრობის საკითხთან დაკავშირებით და ეს, ძირითადად, გამოწვეულია ევროკავშირის შესახებ ინფორმაციის დეფიციტით. აქედან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია ეფექტური და ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანია.

უმცირესობები და მათი პოზიცია ევროკავშირთან მიმართებით

მართალია, ევროკავშირის წევრობას მხარს უჭერს საქართველოს ეთნიკური სომხების და აზერბაიჯანელების 50%-ზე ნაკლები, მაგრამ, ამავდროულად, მათი უმრავლესობა არ ენინააღმდეგება წევრობას. სომეხი მოსახლეობის მხოლოდ 28% და აზერბაიჯანელების 12% არ დაუჭერდა მხარს ევრო-

კავშირის წევრობას. უფრო ზუსტად, აზერბაიჯანელების უმეტესობა (56%) ან ხმას არ მისცემდა ან არ იცის, დაუჭერდა თუ არა მხარს წევრობას. ეს რიცხვი ეთნიკურ სომხებში 25%-ია. (კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრები 2019ა).

დიაგრამა 1: ეთნიკური ჯგუფების ევროკავშირში განევრიანების მხარდაჭერა (CRRC, 2019)




Knowledge of and attitudes toward the EU in Georgia, 2019
 Retrieved from <http://caucasusbarometer.org/>

ეს მიუთითებს იმაზე, რომ ევროკავშირის წევრობასთან დაკავშირებული მხარდაჭერის არარსებობა ავტომატურად არ ნიშნავს ევროკავშირის მიმართ სრულ ოპოზიციურ დამოკიდებულებას, ამგვარი დამოკიდებულება გამონეუელია უფრო დაბნეულობითა და ყოყმანით. ევროკავშირის მიმართ უმცირესობების განწყობის ანალიზი ასევე ამტკიცებს ამ თვალსაზრისს. ყოველი

მესამე ეთნიკური აზერბაიჯანელი და სომხების მესამედზე მეტი დადებითად აღიქვამს ევროკავშირს, ხოლო ორივე ჯგუფში უმრავლესობა ნეიტრალურ პოზიციას იკავებს (იგივე). ეს შუალედური დამოკიდებულება სახელმწიფო და არასახელმწიფო სუბიექტებს უქმნის საშუალებას, ხელი შეუწყონ ევროკავშირის მიმართ დადებითი აზრის შექმნას.

დიაგრამა 2: ეთნიკური ჯგუფების მიერ ევროკავშირის აღქმა (CRRC, 2019)



Knowledge of and attitudes toward the EU in Georgia, 2019
Retrieved from <http://caucasusbarometer.org/>

ყველაფერი ეს გავარაუდებინებს, რომ ინფორმაციის დეფიციტით იხსნება მათი ძირითადი მდგომარეობა – ყოყმანი და გაუბედაობა. მართალია, მონაცემები ნათლად არ ასახავს იმას, თუ რატომ არის აზერბაიჯან-


ელი და სომეხი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი სკეპტიკურად განწყობილი ევროკავშირის წევრობის მიმართ, თუმცა დეზინფორმაცია შეიძლება იყოს ამის ერთ-ერთი შესაძლო ახსნა.

ინფორმაციის ნაკლებობა

საქართველოს მოსახლეობა, ეთნიკური ქართველების ჩათვლით, ზოგადად, ნაკლებად ინფორმირებულია ევროკავშირის შესახებ, თუმცა ინფორმაციის ფლობის ეს მაჩვენებელი გაცილებით დაბალია ეთნიკურ უმცირესობებში. მაგალითად, ეთნიკური სომხების 18%-სა და ეთნიკური აზერბაიჯანელების 45%-თან შედარებით,

ქართველების 6%-მა არ იცის, არის თუ არა საქართველო ევროკავშირის წევრი მაშინ, როცა ეთნიკური ქართველების 45%-ს აქვს გარკვეული ინფორმაცია ასოცირების შეთანხმების თაობაზე, ხოლო ეთნიკური სომხების მხოლოდ 15%-მა და ეთნიკური აზერბაიჯანელების მხოლოდ 10%-მა იცის ამის თაობაზე (იგივე).

დიაგრამა 3: ეთნიკური ჯგუფების მიერ ევროკავშირში საქართველოს განწევრიანების შესახებ ინფორმაციის ფლობა (CRRC, 2019)




აღნიშნული განსხვავება ეთნიკურ ქართველებს, სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის შეიძლება აიხსნას უმცირესობათა ჯგუფებისათვის ევროკავშირის შესახებ ხელმისაწვდომი ინფორმაციის სიმცირით. ეს გამოწვეულია რამდენიმე ფაქტორით, მათ შორის: ქართული ენის ფლობის პრობლემით, ხარისხიანი ინფორმაციის არარსებობით ეთნიკური უმცირესობების ჯგუფების ენებზე; ასევე აღსანიშნავია ცენტრიდან მონყვეტილობა და დანარჩენი ქართული

საზოგადოებისგან იზოლაცია.

კომპაქტურ დასახლებებში ეთნიკური უმცირესობების აბსოლუტური უმრავლესობა ვერ ლაპარაკობს ქართულად (სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, 2019). კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC) კვლევების მიხედვით, სომეხი მოსახლეობის 49% აღნიშნავს, რომ ისინი არ ფლობენ ქართულ ენას ან აქვთ მხოლოდ საბაზისო ცოდნა; იგივე მდგომარეობაა

აზერბაიჯანელი მოსახლეობის 75%-თან სურსების ცენტრი, 2019ა). მიმართებით (კავკასიის კვლევითი რე-

დიაგრამა 4: ეთნიკური ჯგუფების მიერ ქართული ენის ფლობის დონე (CRRC, 2019)



ინგლისური ენის ცოდნის მაჩვენებელი უფრო დაბალია. მოსახლეობის თითოეულ ჯგუფში 70%-ზე მეტს არ გააჩნია ინგლისური ენის საბაზისო ცოდნა (კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი 2019ა). გამომდინარე იქიდან, რომ ეთნიკური სომხების დიდი ნაწილი ცხოვრობს თბილისში და მათი ქართული და ინგლისური ენების ცოდნის დონე უკეთესია, რეგიონებში (განსაკუთრებით სამცხე-ჯავახეთში) მცხოვრები სომხების ცოდნის დონესთან შედარებით. ქართული ენის არცოდნის გამო, ეთნიკური სომხებისათვის და აზერბაიჯანელებისათვის არ არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია ევროკავშირის ან ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობის შესახებ, რომელიც ქართულ მედიაში ვრცელდება.ⁱⁱ მათ ასევე არ გააჩნიათ ინტერნეტში ალტერნატიულ ინგლისურენოვან წყაროებზე წვდომის საშუალება. მეორე მხრივ, ქართულ მედიაში თითქმის არ ვრცელდება ახალი ამბები სომხურ ან აზერ-

ბაიჯანულ ენებზე. გამონაკლისის სახით საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი თარგმნის ახალი ამბების პროგრამებს ეთნიკური უმცირესობების ენებზე, თუმცა ეს ინფორმაცია შეზღუდულია.ⁱⁱⁱ სომხურ და აზერბაიჯანულენოვანი გადაცემების წილი ძალიან მცირეა (მიქაშავიძე, 2016). ასევე შეზღუდულია მათ ენებზე ადგილობრივი მასობრივი საინფორმაციო საშუალებების, მათ შორის, რადიო-პროგრამებისა^{iv} და ბეჭდური მედიასაშუალებების რაოდენობაც (ფირანიშვილი 2019).

ევროკავშირის შესახებ ინფორმაციის დეფიციტი აისახება ეთნიკური უმცირესობების დანარჩენი ქართული საზოგადოებისგან იზოლაციაში, ერთგვარად, „ავტონომოურად“ ცხოვრებაში (სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი 2019). ისინი საქართველოს პოლიტიკურ და სამოქალაქო ცხოვრებაში ნაკლებად მონაწილეობენ და

არც ქართული პოლიტიკური პარტიები არ არიან დაინტერესებულნი მათი ჩართვით (იგივე). რამდენიმე სახელმწიფო პროგრამის მიუხედავად, რომლებიც ხელს უწყობს, განსაკუთრებით, განათლების სფეროში ჩართულობის გაზრდას, წლებია, პრობლემები პრობლემებად რჩება.^v ამასთან, ეთნიკური უმცირესობების დასახლებების უმეტესობა, განსაკუთრებით, სამცხე-ჯავახეთის რეგიონი, ტერიტორიულად საკმაოდ დაშორებულია დედაქალაქისგან, რაც, ზოგადად, ნიშნავს ნაკლებ აქტივობებსა და შესაძლებლობებს, მათ შორის, ევროკავშირთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან დაკავშირებულს.^{vi}

ენის ფლობასთან დაკავშირებული პრობლემები და ქვეყანაში მიმდინარე ძირითადი მოვლენებისგან სიმორე ეთნიკურ უმცირესობებს ინფორმაციულ ვაკუუმში აქცევს, რითიც შეიძლება აიხსნას ევროკავშირის შესახებ მათი ნაკლები ინფორმირებულობა და, შესაბამისად, ევროკავშირის წევრობისადმი მათი მხარდაჭერის არარსებობა. როგორც აღნიშნა ეთნიკური უმცირესობების საკითხზე მომუშავე „Ifact“ მედიანაყაროს ჟურნალისტმა, „ევროკავშირის შესახებ ცოდნის დონე იმდენად დაბალია, რომ ძალიან რთულია გქონდეს რაიმე აზრი ევროკავშირის შესახებ“.^{vii} ქვემო ქართლის ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ „რეგიონებში ადამიანებმა იციან, რომ საქართველოს აქვს ევროინტეგრაციის მიზანი, მაგრამ მათ არ იციან, თუ რატომ ისწრაფვის საქართველო ევროკავშირის წევრობისკენ და რა დადებითი შედეგები შეიძლება მივიღოთ ამ წევრობისგან“.^{viii}

ამით ასევე აიხსნება, თუ რატომ აქვს ეთნიკური სომხებისა და აზერბაიჯანელების უმრავლესობას ნეიტრალური დამოკიდებულება ევროკავშირის მიმართ. სომეხი მოსახლეობის მხოლოდ 12% და აზერბაიჯან-

ელების 8% გამოხატავს უარყოფით აზრს. ჩვენმა რესპონდენტებმა ასევე აღნიშნეს, რომ ევროკავშირი, ზოგადად, დადებითად აღიქმება.^{ix} ეს მოსაზრება დაადასტურა ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში ფოკუსჯგუფებში გამართულმა დისკუსიებმა. მონაწილეთა წარმოდგენა ევროკავშირის შესახებ უმეტესწილად დადებითია. ამ დადებით მხარეებს შორის მათ ჩამოთვალეს: დემოკრატია, განვითარება, სამოქალაქო თანასწორობა, განათლების მაღალი დონე, სიტყვის თავისუფლება, გენდერული თანასწორობა, სოლიდარობა, ეკონომიკური განვითარება, ტოლერანტობა, კარგი ცხოვრება და სამუშაო, კანონის უზენაესობა და ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვა.

აღნიშნული დადებითი დამოკიდებულების მიუხედავად, ამ ჯგუფებში ფართოდ არის გავრცელებული აზრი, რომ ევროკავშირი ან მისი სარგებელი მიუწვდომელია არამხოლოდ საქართველოსთვის, არამედ განსაკუთრებით მათთვის, -უმცირესობებისთვის. როგორც აღნიშნა ჯავახეთის არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელმა, „ადამიანებს არ სჯერათ, რომ ჩვენ შეგვიძლია გავხდეთ წევრები, ისინი თვლიან, რომ ეს არარეალურია საქართველოში არსებული პირობების გამო“. ამავდროულად, ევროკავშირის წევრობისგან უპირატესობა ასევე განიხილება ხელმისაწვდომად მხოლოდ მცირე ჯგუფებისთვის და არა ჩვეულებრივი, მათი მსგავსი ფერმერებისთვის. ეს აიხსნება იმით, რომ უმცირესობები თვლიან, რომ წევრობა არის უშუალოდ საქართველოს მთავრობის არჩევანი და მოგებიანია, მხოლოდ ადამიანთა გარკვეული ჯგუფებისთვის, განსაკუთრებით მათთვის, ვინც უფრო ახლოს ცხოვრობს თბილისთან.^x ეს მოსაზრებები ასევე გამოითქვა ფოკუსჯგუფების მიერ დისკუსიებისას. ახალქალაქის ფოკუსჯგუფის მონაწილემ (ქალი, 18 წლის) აღნიშნა, რომ „განსაკუთრებით უფროსი თაობის ადამიანებს არ სჯერათ შესაძლებლობების

(როგორცაა, მაგალითად, ევროკავშირში მოგზაურობის შესაძლებლობა).“ მეორე მონაწილემ მარნეულის ფოკუს-ჯგუფიდან აღნიშნა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში შეუძლებელია ევროკავშირის სტანდარტების დაკმაყოფილება და, შესაბამისად, ისინი „ვერასოდეს მოახერხებენ მათი პროდუქციის ექსპორტს“ (მამაკაცი, 31 წლის). ასევე აღნიშნა, რომ „მცირე შესაძლებლობების შემთხვევაშიც კი დახმარება მათთან ვერ მიაღწევს“ (ქალი, ახალქალაქი, 2020წ. 6 მარტი) და „ამით ისარგებლებენ ისინი, ვინც ახლოს არის ქალაქთან და უკეთესად არიან ინფორმირებული“ (ქალი, 37 წლის, ახალქალაქი, 2020წ. 6 მარტი). ამასთან, სხვა ფოკუს-ჯგუფების დისკუსიების მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ „ჩვეულებრივი ადამიანები ვერ მიიღებენ სარგებელს ევროკავშირის პროგრამებით, რადგან მათ არ იციან ენა“ და ასევე არ აქვთ ევროპაში მოგზაურობის საშუალება (მარნეული, 2020წ. 29 თებერ-

ვალი, მამაკაცი, 25 წლის) და „თუ ვინმე იღებს გრანტებს, ეთნიკური ქართველები და ვიზალიბერალიზაცია მხოლოდ ეთნიკური ქართველების პრივილეგიაა“ (მამაკაცი, ნინოწმინდა, 2020წ. 17 მარტი).


თუმცა, ეს არ გამოორიცხავს შესაძლებლობას, რომ მხარდაჭერის გარკვეულწილად არარსებობა ნამდვილად გამოწვეულია ევროკავშირის მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულებით. ევროკავშირის წევრობისადმი მათი, ძირითადად, დამოკიდებულების არაერთგვაროვნების მიუხედავად, ეთნიკური უმცირესობების ნაწილი ეწინააღმდეგება ევროკავშირის წევრობას (სომხების 28% და აზერბაიჯანელების 12%). სტერეოტიპები, რომლებიც ინფორმაციის განსხვავებული წყაროდან იკვებებიან, ხშირად უძღვის წინ სკეპტიკურ მიდგომებსა და ევროკავშირის წევრობისადმი მოსახლეობის ნაკლებ მხარდაჭერას.

ინფორმაციის ალტერნატიული წყაროების ზეგავლენა

ენის არცოდნა წარმოადგენს სხვა პრობლემის საფუძველსაც, რომელიც უკავშირდება ინფორმაციის ალტერნატიულ წყაროებს და რომლებიც ხშირად ევროსკეპტიკურია. გამომდინარე იქიდან, რომ ეთნიკური უმცირესობებისთვის ქართული მედია არ წარმოადგენს ინფორმაციის მთავარ წყაროს, ეთნიკური სომხები და აზერბაიჯანელები ინფორმაციას ევროკავშირის შესახებ, ძირითადად, რუსული მედიასაშუალებებით იღებენ, რომლებიც გაჯერებულია ანტიდასავლური პროპაგანდით.^{xi} მაშინ, როცა ეთნიკური უმცირესობები ცუდად საუბრობენ ქართულად ან ინგლისურად, რუსუ-

ლი ენა არის ის უცხო ენა, რომელსაც ეს ჯგუფები ყველაზე კარგად ფლობენ: სომეხი მოსახლეობის 79%-მა და აზერბაიჯანელების 42%-მა იცის რუსული ენა საშუალოდ ან სრულყოფილად (კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრები, 2019ა). საქართველოში მცხოვრები სომხები და აზერბაიჯანელები პოლიტიკურ მოვლენებს გაცილებით ხშირად ეცნობიან რუსულ სატელევიზიო არხებზე, ვიდრე ქართველები. თუ სომეხი მოსახლეობის 54% და აზერბაიჯანელების 13% ყოველდღიურად უყურებს რუსულ ტელეარხებს, ეს მაჩვენებელი ეთნიკურ ქართველებში არის 3% (იგივე).

დიაგრამა 5: ეთნიკური ჯგუფების მიერ რუსული ტელეარხების ყურების სიხშირე (CRRC, 2019)



Knowledge of and attitudes toward the EU in Georgia, 2019
Retrieved from <http://caucasusbarometer.org/>

ქვემო ქართლის ეთნიკური უმცირესობები ასევე უყურებენ აზერბაიჯანულ და თურქულ ტელეარხებს. გარდაბნელმა ჟურნალისტმა აღნიშნა, რომ ამ არხებზეც აქტიურად მიმდინარეობს ანტიდასავლური პროპაგანდა.^{xii} მეზობელი ქვეყნების ძლიერი ზეგავლენა, პირდაპირი თუ არაპირდაპირი, – ახალი ამბებით გამოწვეული, ასევე განსაზღვრავს მათ დამოკიდებულებას.^{xiii} იმის გათვალისწინებით, რომ არც აზერბაიჯანი და არც სომხეთი არ ისწრაფვის ევროკავშირთან ურთიერთობისაკენ და სომხეთი, პირიქით, აძლიერებს რუსეთთან კავშირს, საქართველოს ეთნიკური უმცირესობები განიცდიან ამ არჩევანის ზეგავლენას. მაგალითად, ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენელმა^{xiv} ინტერვიუში აღნიშნა, რომ ასოცირების შეთანხმებაზე აზერბაიჯანის პრეზიდენტის, ალიევის უარმა საქართველოში ეთნიკური აზერბაიჯანელების გარკვეულ ნაწილს ეჭვი გაუჩინა ასოცირების შეთანხმებით საქართველოს მიერ აღებულ ვალდებულებებზე. მეორე წარმომადგენელმა^{xv} აღნიშნა

სომხეთის პრორუსული პოლიტიკის ზეგავლენაც, თუმცა მოიყვანა სომხეთში ხავერდოვანი რევოლუციის მაგალითიც, რამაც ქართველი სომხების პროევროპული დამოკიდებულება გააძლიერა.

ინფორმაციის სხვადასხვა წყაროს ზეგავლენით, ეთნიკური უმცირესობები გაცილებით ადვილად ექცევიან ევროკავშირის შესახებ მცდარი ან ნეგატიური ინფორმაციის ზემოქმედების ქვეშ. ჩვენი რესპონდენტები და ევროინტეგრაციის პრობლემებზე მომუშავე ადამიანები ერთხმად აღიარებენ ამ რეგიონებში რუსული პროპაგანდის საფრთხეს, რომელიც უარყოფითად წარმოაჩენს დასავლეთს.

ევროკავშირის შესახებ დეზინფორმაცია, ძირითადად, განიხილავს ადგილობრივი ფასეულობების ევროპულ ფასეულობებთან შეუთავსებლობას, განსაკუთრებით ისეთ ფასეულობებს, როგორებიცაა: ოჯახი, რელიგია და ტრადიციები.^{xvi} ზოგიერთ შემთხვევაში, ახალგაზრდებმაც კი გამოხატეს

აზრი, რომ მათთვის მიუღებელია ზედმეტი თავისუფლების, რომელიც ევროკავშირშია (იგივე). კიდევ ერთ სტერეოტიპს წარმოადგენს ერთნაირსქესიანი ქორწინებების დაშვება, როგორც ევროკავშირის მოთხოვნა მასთან ურთიერთობის გასაღრმავებლად (იგივე). ამასთან, ზოგიერთი თვლის, რომ ევროპელები უფრო ინდივიდუალისტები არიან და შესაბამისად ოჯახზე ნაკლებად ორიენტირებულნი და რომ ევროკავშირში ოჯახის ცნება, როგორც ღირებულება, დაიკარგა.^{xvii} ახალქალაქის და ნინონმინდის ფოკუს-ჯგუფების დისკუსიების მონაწილეებმაც იგივე სტერეოტიპები დაასახელეს. ზოგიერთმა მონაწილემ, კითხვაზე, თუ რასთან ასოცირდება მათთვის ევროკავშირი, ჩამოთვალა: „განსხვავებული მენტალიტეტი“, „განსხვავებული აზროვნება“, „გეები“ და „განსხვავებული ადამიანური ურთიერთობები და ნაკლები სტუმარ-მასპინძლობა“. სხვა სტერეოტიპებს მიეკუთვნება წარმოდგენები ევროკავშირის ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებისა და საქართველოში მისი მატერიალური ინტერესების შესახებ^{xviii}. CRRC-ის მონაცემების მიხედვით, სომეხი მოსახლეობის 35% და აზერბაიჯანელების 17% თვლის, რომ ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოს იმის გამო, რომ მას სურს ქვეყანა თავისი ზეგავლენის ქვეშ მოაქციოს. იმ სომეხი მოსახლეობის 43% და აზერბაიჯანელების 29%, რომელიც მხარს არ დაუჭერდა ევროკავშირში განწევრიანებას, თვლის, რომ განწევრიანება გააუარესებს ცხოვრების პირობებს საქართველოში, რადგან ევროკავშირს თვითონ

აქვს ეკონომიკური პრობლემები (კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრები, 2019ა).

ინფორმაციის არარსებობის და დეზინფორმაციის პრობლემები გაცნობიერებულია როგორც სახელმწიფოს,^{xix} ასევე სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან. რამდენიმე მოქმედი პროგრამა მიზნად ისახავს ევროკავშირის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას. მაგალითად, 2017 წლიდან პროგრამა „ახალგაზრდა ევროპელი ელჩები“, რომლის ფარგლებშიც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ახალგაზრდებს ინვევენ ევროკავშირზე თემატურ სკოლებში, შემდგომ ისინი თავად მართავენ საინფორმაციო შეხვედრებს ადგილობრივებთან.^{xx} შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი და საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ ასევე მართავენ შეხვედრებს ეთნიკური უმცირესობების ჯგუფებთან და ავრცელებენ საინფორმაციო ბროშურებს. თუმცა, ის, რომ საინფორმაციო კამპანიები არ არის საკმარისი, დასტურდება ევროკავშირის შესახებ ინფორმაციის არარსებობით, რომელიც ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა.^{xxi} ამასთან, მთავრობის მიერ ბროშურების, საინფორმაციო კამპანიების ან საგანმანათლებლო ვიდეოების საშუალებით გავრცელებული ინფორმაცია ასევე ხშირად კრიტიკდება იმის გამო, რომ იგი არის ცალმხრივი და არ აძლევს ამ ჯგუფებს უკუკომუნიკაციის საშუალებას (იგივე).

დასკვნა და რეკომენდაციები

საქართველო მიზანმიმართულად მიჰყვება ევროპიზაციის კურსს და მნიშვნელოვანია ამ პროცესში მისი ყველა მოქალაქის მხარდაჭერა. ეთნიკური უმცირესობები უნდა ჩაერთონ ამ პროცესში, რათა მათ იგრძნონ,

რომ ისინი არიან გადანწყვეტილების მიღების პროცესის მონაწილეები. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ევროკავშირზე ორიენტირებულ საგარეო პოლიტიკას ამჟამად არ გააჩნია მნიშვნელოვანი მხარდაჭ-

ერა ყველაზე მრავალრიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების მხრიდან, მაინც არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ შეიცვალოს მათი დამოკიდებულება ევროპასთან ინტეგრაციის მიმართ. რეალურად, სომეხი და აზერბაიჯანელი მოსახლეობის უმრავლესობა ევროკავშირში განევრიანებას კი არ ენინააღმდეგება, არამედ არ აქვს ჩამოყალიბებული აზრი. თუ ევროკავშირის შესახებ უარყოფითი სტერეოტიპები ხელს უწყობს ევროსკეპტიციზმს, ამ მიმართულებით ინფორმაციის ნაკლებობით შეიძლება აიხსნას უმრავლესობის დამოკიდებულება. სიტუაციის დადებით მხარედ შეიძლება ჩავთვალოთ ის, რომ გამოკითხვისას ყოველმა მესამე ეთნიკურმა აზერბაიჯანელმა და თითქმის ყოველმა მეორე ეთნიკურმა სომეხმა აღნიშნა, რომ მათ სურთ მიიღონ უფრო მეტი ინფორმაცია ევროკავშირის, განსაკუთრებით, ევროკავშირი-საქართველოს სავაჭრო ურთიერთობების შესახებ (კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი, 2019ა). სტატიაში შემოთავაზებულია რეკომენდაციები ეთნიკურ უმცირესობებს შორის ინფორმაციის დეფიციტის პრობლემის გადასაჭრელად, არსებულ სტრატეგიებში ხარვეზების გათვალისწინებით.

რეკომენდაციები საქართველოს მთავრობისათვის:

- უზრუნველყოფა იმისა, რომ ასოცირების შეთანხმების სამოქმედო გეგმას აქვს სპეციფიკური მექანიზმები ევროკავშირის სარგებლის მისაღებად, როგორცაა ეთნიკური უმცირესობების მიერ თავისუფალი ვაჭრობითა და ვიზა-ლიბერალიზაციით სარგებლობა.
- ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ადგილობრივი მედიანყარობების შექმნის მხარდაჭერა და დაფინანსება;
- საინფორმაციო კამპანიების დახვეწა ეთნიკური უმცირესობების ჯგუფების მონაწილეობითა და უკუკავშირით;
- ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო კამპანიებისა და ღონისძიებების სიხშირის და ინტენსივობის გაზრდა;
- საინფორმაციო კამპანიების დროს, რაც შეიძლება დეტალური ინფორმაციის მიწოდება ეთნიკური უმცირესობების ენაზე იმის თაობაზე, თუ რა სარგებლის მიღება შეიძლება ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობებთან დაკავშირებული პროგრამებით.
- საინფორმაციო კამპანიებისა და ღონისძიებების სამიზნე ჯგუფის გაფართოება და უფროსი თაობის ჩართვა, რომელიც, როგორც წესი, ნაკლებ ინფორმაციას ფლობს ევროკავშირზე და უფრო სკეპტიკურად არის განწყობილი, ვიდრე ახალგაზრდები;
- ორიენტაცია რეგიონის არა მხოლოდ ცენტრალურ დასახლებებზე, არამედ ცენტრისგან დაშორებულ სოფლებზეც.

რეკომენდაციები ქართული მედიისათვის და განსაკუთრებით საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის:

- არსებული მედიაპროგრამების თარგმნის ნაცვლად, მეტი პროგრამის დაწყება სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობითა და მათგან უკუკავშირის გათვალისწინებით;
- ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ჟურნალისტების წახალისება

ჟურნალისტის თანამდებობაზე განაცხადების წარსადგენად.

რეკომენდაციები საქართველოში სამოქალაქო და საერთაშორისო საზოგადოებისთვის:

- ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებაში სასწავლო პროგრამების მხარდაჭერა და დაფინანსება ადგილობრივი ჟურნალისტებისათვის;
- ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობების შესახებ საინფორმაციო კამპანიებისა და ღონისძიებების სიხშირის და ინტენსივობის გაზრდა, ამ ჯგუფების უკუკავშირითა და მონაწილეობით.
- განსაკუთრებული ფოკუსირება ეთნიკურ უმცირესობებს შორის ყველაზე იზოლირებულ ჯგუფებზე, მაგალითად, ცენტრისგან განაპირა დასახლებულ პუნქტებში მცხოვრებ ადამიანებსა და უფროსი თაობის წარმომადგენლებზე.
- ხელშეწყობა და ინფორმაციის გავრცელება იმ ინსტრუმენტების

შესახებ, რომლითაც ეთნიკური უმცირესობები შეძლებენ ხმა მიანვდინონ ადგილობრივ ან ცენტრალურ ხელისუფლებას და მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკის შექმნის პროცესში.

რეკომენდაციები ადგილობრივი ხელისუფლებისათვის ეთნიკური უმცირესობების რეგიონებში:

- სახელმწიფოს ცენტრალური და ადგილობრივი პოლიტიკის შესახებ საინფორმაციო შეხვედრების რაოდენობის გაზრდა ადგილობრივებთან და მონაწილეების მხრიდან უკუკავშირის მიღება;
- ევროპიზაციის სფეროში მოღვაწე ექსპერტების მონვევა, ევროკავშირთან ურთიერთობით მიღებული სარგებლის გამოყენების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით;
- ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წახალისება და მხარდაჭერა ევროკავშირთან დაკავშირებულ პროგრამებში.

ⁱ სახალხო დამცველის ოფისთან არსებული ეთნიკურ უმცირესობათა საბჭო, პირადი კომუნიკაცია, 2020 წ., 19 მაისი

ⁱⁱ სახალხო დამცველის ოფისი, პირადი კომუნიკაცია, 2020წ. 19 მაისი; საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, პირადი კომუნიკაცია, 2020წ. 22 მაისი; 2020წ. 19 მაისი; Ifact მედია-წყარო, პირადი კომუნიკაცია, 2020წ. 20 ივნისი

ⁱⁱⁱ ევროპული დელეგაცია საქართველოში, პირადი კომუნიკაცია, 2020წ., 19 მაისი; ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრი, პირადი კომუნიკაცია, 2020წ., 21 მაისი

^{iv} სახალხო დამცველის ოფისი, პირადი კომუნიკაცია, 2020წ., 19 მაისი

^v სახალხო დამცველის ოფისთან არსებული ეთნიკურ უმცირესობათა საბჭო, პირადი კომუნიკაცია, 2020წ. 19 მაისი

^{vi} სახალხო დამცველის ოფისი, პირადი კომუნიკაცია, 2020წ., 19 მაისი

^{vii} „Ifact“ მედია-წყარო, პირადი კომუნიკაცია, 2020წ. 20 ივნისი

^{viii} ქვემო ქართლის ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, პირადი კომუნიკაცია, 2020წ. 21 ივნისი

^{ix} ჯავახეთის ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, პირადი კომუნიკაცია, 2020წ. 9 ივნისი; ჯავახეთის ადგილობრივი მმართველობა, პირადი კომუნიკაცია, 2020წ. 24 ივნისი

^x საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, პირადი კომუნიკაცია, 2020წ. 19 მაისი

^{xi} სახალხო დამცველის ოფისი, პირადი კომუნიკაცია, 2020წ., 19 მაისი

^{xii} „Ifact“ მედია-წყარო, პირადი კომუნიკაცია, 2020წ. 20 ივნისი

გამოყენებული ლიტერატურა

- ავალიშვილი ლევან, ლომთაძე გიორგი, ქვეციშვილი ალექსანდრე, 2016. *კრემლის საინფორმაციო ომი საქართველოს წინააღმდეგ: პროპაგანდასთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის აუცილებლობა*. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). <https://idfi.ge/public/upload/Meri/Giorgi%20Lomtadze/Policy%20Paper.PDF>
- კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრები (CRRC)., 2019ა. *კავკასიის ბარომეტრი 2019*. <https://caucasusbarometer.org/en/cb2019ge/>
- კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრები (CRRC)., 2019ბ. *საქართველოში ევროკავშირის შესახებ ინფორმირებულობა და მის მიმართ დამოკიდებულება 2019*. <https://caucasusbarometer.org/en/eu2019ge/>
- სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, 2019. *ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის კვლევა*. <https://osgf.ge/publication/etnikuri-umciresobebis-warmomadgenlebis-politikur-ckhovrebashi-monawileobis-kvleva/>
- მაია მიქაშავიძე, 2016. *ეთნიკური უმცირესობები საქართველოში: მედიის მეშვეობით ჩართულობიდან გაძლიერებამდე*. ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველო“. https://www.osgf.ge/files/2016/EU%20publication/Angarishi_A4_Media_GEO.pdf
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2016. *2014 მოსახლეობის საერთო აღწერა*. <https://www.geostatstat.ge/en>
- შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, 2015. *სამოქალაქო თანასწორობის და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია*. <https://smr.gov.ge/en/page/31/state-strategy-for-civic-equality-and-integration-and-action-plan>
- თეონა ფირანიშვილი, 2019. *ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა*. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი. http://ewmi-prolog.org/images/files/6310GEO_WEB_1552474567.pdf

^{xiii} ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრი, პირადი კომუნიკაცია, 2020წ. 21 მაისი

^{xiv} ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრი, პირადი კომუნიკაცია, 2020წ., 19 მაისი

^{xv} ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრი, პირადი კომუნიკაცია, 2020წ., 22 მაისი

^{xvi} საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, პირადი კომუნიკაცია, 2020წ., 19 მაისი; 2020წ., 22 მაისი

^{xvii} ქვემო ქართლის ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, პირადი კომუნიკაცია, 2020წ., 21 ივნისი

^{xviii} საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, პირადი კომუნიკაცია, 2020წ., 22 მაისი

^{xix} შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი 2015

^{xx} შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, პირადი კომუნიკაცია, 2020წ., 20 მაისი

^{xxi} ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრი, პირადი კომუნიკაცია, 2020წ., 21 მაისი

დანართი

კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების ჩამონათვალი

1. სახალხო დამცველის ოფისთან არსებული ეთნიკურ უმცირესობათა საბჭო, პირადი კომუნიკაცია, 2020წ., 19 მაისი
2. სახალხო დამცველის ოფისი, პირადი კომუნიკაცია, 2020წ., 19 მაისი
3. საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, პირადი კომუნიკაცია, 2020წ., 22 მაისი
4. საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, პირადი კომუნიკაცია, 2020წ., 19 მაისი
5. „Ifact“ მედიანწყარო, პირადი კომუნიკაცია, 2020წ., 20 ივნისი
6. ევროპის დელეგაცია საქართველოში, პირადი კომუნიკაცია, 2020წ., 19 მაისი
7. ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრი, პირადი კომუნიკაცია, 2020წ., 21 მაისი
8. ჯავახეთის ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, პირადი კომუნიკაცია, 2020წ., 21 ივნისი
9. ჯავახეთის ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, პირადი კომუნიკაცია, 2020წ., 9 ივნისი
10. ჯავახეთის ადგილობრივი ხელისუფლება, პირადი კომუნიკაცია, 2020წ., 24 ივნისი
11. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, პირადი კომუნიკაცია, 2020წ., 20 მაისი
12. ქვემო ქართლის ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, პირადი კომუნიკაცია, 2020წ., 21 ივნისი

კვლევის ფარგლებში ჩატარებული ფოკუს-ჯგუფი დისკუსიების ჩამონათვალი

სამცხე-ჯავახეთი

ახალციხე, შერეული, 6 მონაწილე, 2020წ., 22 მაისი
 ახალქალაქი, ქალები, 9 მონაწილე, 2020წ., 6 მარტი
 ნინოწმინდა, კაცები, 10 მონაწილე, 2020წ., 17 მარტი

ქვემო ქართლი

მარნეული, შერეული, 7 მონაწილე, 2020წ., 29 თებერვალი
 გარდაბანი, ქალები, 4 მონაწილე, 2020წ., 22 ივნისი
 დმანისი, კაცები, 4 მონაწილე, 2020წ., 27 ივნისი

**ეთნიკური უმცირესობები
საქართველოს ევროინტეგრაციის
კონტექსტში: არის თუ არა სივრცე
სკეპტიციზმისთვის?**

ნინო სამხარაძე¹

მოკლე შინაარსი

საქართველოში ეთნიკურ უმცირესობებს ევროინტეგრაციის პროცესისადმი ამბივალენტური დამოკიდებულება აქვთ: ერთი მხრივ, მათთვის მნიშვნელოვანი და იმედისმომცემია ის პრაქტიკული სარგებელი, რომელიც მათ სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობას გააუმჯობესებს. მეორე მხრივ კი, საზოგადოებრივი აზრის სხვადასხვა კვლევების მიხედვით, მათი დიდი ნაწილი სკეპტიკურად არის განწყობილი ევროინტეგრაციის პროცესის მიმართ, რაც ხელს უშლის მათ ჩართულობას, მათ შორის, ევროპეიზაციის შედეგად წარმოქმნილი სხვადასხვა შესაძლებლობებით – ვიზალიბერალიზაციით, საგანმანათლებლო და ეკონომიკური პროექტებით – სარგებლობის თვალსაზრისით. ამ კონტექსტში საინტერესოა, თუ რა სტრუქტურული და ღირებულებითი გამოწვევები უშლის ხელს უმცირესობებს ევროინტეგრაციის პროცესის სრულფასოვნად აღქმაში და შესაძლებელია თუ არა ევროინტეგრაციის მიმართ არსებული სკეპტიციზმის მართვა? ამ საკითხების სიღრმისეული კვლევის მიზნით საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის (GIP) კვლევის ფარგლებში ჩატარდა ინტერვიუები შესაბამისი სახელმწიფო უწყებების, სამოქალაქო საზოგადოების, მათ შორის,

ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და საკითხის ექსპერტებთან. გარდა ამისა, წინამდებარე პოლიტიკის ნარკვევი ეყრდნობა ჩიჭის მიერ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ორ რეგიონში – ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში ჩატარებულ ფოკუს ჯგუფების შედეგებს. ამ ფორმაციის დისკუსიები გაიმართა ექვს რაიონში – მარნეულში, გარდაბანში, დმანისში, ახალციხეში, ახალქალაქსა და ნინოწმინდაში. კვლევის შედეგად იკვეთება რამდენიმე ძირითადი მიგნება: ევროინტეგრაციის მიმართ დამოკიდებულება განსხვავებულია უმცირესობების ასაკობრივი, გენდერული და სოციალური სტატუსის მიხედვით. სკეპტიციზმი, ძირითადად, მიემართება არა უშუალოდ ევროპის იდეას, არამედ საქართველოს მხრიდან წარმატებული ინტეგრაციის პერსპექტივის რეალურობას, სტერეოტიპულ აღქმებს ევროკავშირისა და რუსეთის, როგორც „ისტორიული პარტნიორის“ მიმართ. ეს გამოწვევები ართულებს უმცირესობათა მნიშვნელოვანი ჯგუფების მიერ ევროპეიზაციის კონტექსტის სრულფასოვნად აღქმას და, შესაბამისად, ამ პროცესით სრულყოფილად სარგებლობას.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, ეთნიკური უმცირესობები, ევროინტეგრაცია, ევროსკეპტიციზმი.

¹ საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის (GIP) პოლიტიკის უმცროსი ანალიტიკოსი

შესავალი

ევროინტეგრაციის გზაზე საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, არსებობდეს ამ პროცესის შესახებ საერთო საზოგადოებრივი თანხმობა, რათა ევროპასთან დაახლოებამ მაქსიმალური სარგებელი მოუტანოს ქვეყანას და საქართველო-ევროკავშირს შორის ურთიერთობები ორივე მხარისთვის ეფექტიანი იყოს. ამ კონტექსტში საჭიროა, რომ საზოგადოების ყველა ფენას თანაბრად მიუწვდებოდეს ხელი ევროპასთან დაახლოების შედეგად წარმოქმნილ სხვადასხვა სარგებელზე, რასთან დაკავშირებითაც საქართველოში არაერთი გამოწვევა არსებობს. ამ თვალსაზრისით, ერთ-ერთი ყველაზე ყურადსაღები საკითხი არის საქართველოს ორ რეგიონში – ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში – კომპაქტურად მცხოვრები აზერბაიჯანელი და სომეხი მოქალაქეების ევროინტეგრაციის პროცესის მიმართ დამოკიდებულებები, რომელთა კვლევის მიზნით საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის (GIP) კვლევის ფარგლებში ჩატარდა ინტერვიუები შესაბამისი სახელმწიფო უწყებების, სამოქალაქო საზოგადოების, მათ შორის, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და საკითხის ექსპერტებთან.² გარდა ამისა, წინამდებარე პოლიტიკის ნარკვევი ეყრდნობა GIP-ის მიერ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ორ რეგიონ-

ში – ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში ჩატარებულ ფოკუს ჯგუფებს. ამ ფორმატის დისკუსიები გაიმართა ექვს რაიონში – მარნეულში, გარდაბანში, დმანისში, ახალციხეში, ახალქალაქსა და ნინოწმინდაში, და მოიცავდა ქალებით, მამაკაცებით და შერეული წესით დაკომპლექტებულ ჯგუფებს (თითოეულში საშუალოდ 8-10 მონაწილით). ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები საუბრობენ სტრუქტურულ, ბიუროკრატიულ, ენობრივ თუ სხვა პრობლემებზე, რომლებიც იკვეთება ქვეყანაში ევროინტეგრაციის კონტექსტში.

მნიშვნელოვანია, რომ ეთნიკური უმცირესობების დანარჩენ საზოგადოებასთან ინტეგრაციის დაბალი დონე სხვადასხვაგვარად აისახება საქართველოს ევროკავშირთან ორმხრივ ინტერაქციაზე: ერთი მხრივ, უმცირესობებს ექმნებათ წინააღობები, სრულყოფილად ისარგებლონ ევროკავშირისგან საქართველოსთვის გაცემული სარგებლით, მეორე მხრივ, ეს საკითხი, შესაძლოა, საზიანო ფაქტორი აღმოჩნდეს ქვეყნის ევროპეიზაციის პროცესში. წინამდებარე პოლიტიკის ნარკვევი ცდილობს, გააანალიზოს, თუ რა სტრუქტურული და ღირებულებითი გამოწვევები უშლის ხელს უმცირესობებს ევროინტეგრაციის პროცესის სრულფასოვნად აღქმაში და შესაძლებელია თუ არა ევროინტეგრაციის მიმართ სკეპტიციზმის მართვა?

² სრული ჩამონათვალი იხილეთ დანართში

ევროკავშირი ეთნიკური უმცირესობების აღქმით

კვლევის ფარგლებში ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ორივე რეგიონში ჩატარებული ფოკუს ჯგუფის ფორმატის დისკუსიების მიხედვით, მოსახლეობის გარკვეული ნაწილისათვის ევროკავშირთან, ძირითადად, დადებითი ან ნეიტრალური მოვლენები ასოცირდება: სოლიდარობა, თანასწორობა, დემოკრატია, უზრუნველყოფილი უფლებები, კარიერული განვითარების პერსპექტივის რეალურობა, ხარისხი (განათლების, ჯანდაცვის, ეკონომიკის, სოციალურ სფეროებში). ჩატარებული კვლევით გამოიკვეთა, რომ ევროკავშირში ეთნიკური უმცირესობების წინაშე ნაკლებად დგას იმ ხარისხის სიძნელები ყოველდღიურ ცხოვრებაში, როგორსაც ისინი საქართველოში აწყდებიან.


ფოკუს ჯგუფის მეთოდით ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილი დადებითად არის განწყობილი ევროპის მხრიდან საქართველოსთან ურთიერთობების გააქტიურებისადმი. უფრო მეტიც, ისინი აცნობიერებენ, თუ რა სარგებლის მოტანა შეუძლია ევროკავშირს ქვეყნისთვის და მისი მოქალაქეებისთვის ეკონომიკურად, დემოკრატიულობის ხარისხის ზრდის, საკუთრივ, ეთნიკური უმცირესობების მიმართ პოლიტიკის გაუმ-

ჯობესების მხრივ და ა.შ. ევროპის ფონდის 2019 წლის კვლევის მიხედვით, ეთნიკურ უმცირესობათა 78% დადებით მოლოდინს გამოხატავს ევროინტეგრაციის შედეგად ჯანდაცვის და უმაღლესი განათლების გაუმჯობესების მიმართ. ამავდროულად, მათი 53% აფასებს ევროკავშირის მიერ განეულ დახმარებას, როგორც „მნიშვნელოვანს“ ან „ძალიან მნიშვნელოვანს“ (ევროპის ფონდი, 2019). შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ევროკავშირის მიმართ დადებითი დამოკიდებულებების შესამჩნევი მოტივატორები და ხარისხი არსებობს.

თუმცა, ამგვარი განწყობის პარალელურად საჭიროა შევხედოთ სურათის შედარებით პესიმისტურ მხარეს – სკეპტიკურ დამოკიდებულებას ევროინტეგრაციის მიმართ, რომელიც დადებითი შეხედულებების პარალელურად არსებობს. აღსანიშნავია, რომ 2019 წლისთვის ასოცირების შეთანხმების შესახებ ეთნიკური უმცირესობების მხოლოდ 14%-ს სმენია (ევროპის ფონდი, 2019)³. ამასთანავე, სხვადასხვა, ოფიციალური მონაცემების მიხედვით, ეთნიკური უმცირესობების მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს ევროკავშირის წევრობის მხარდამჭერად არ მოიაზრება (იხ. გრაფიკი 1).

³ ასოცირების შეთანხმებას საქართველოსა და ევროკავშირს შორის ხელი 2016 წელს მოეწერა

ხვალ რომ რეფერენდუმი გაიმართოს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ, ხმას მხარდასაჭერად მისცემდით თუ საწინააღმდეგოდ? (%)



გრაფიკი 1: ევროპის ფონდი. <http://www.epfound.ge/wp-content/uploads/2019/09/2019-EU-Attitudes-Survey-IV.pdf>

ფაქტია, რომ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ერთდროულად თანაარსებობს ევროინტეგრაციის მიმართ დადებითი და უარყოფითი დამოკიდებულება. ეს შეიძლება აიხსნას სხვადასხვა საზო-

გადოებრივი ჯგუფების ყოველდღიური სოციალურ-კულტურული თუ ღირებულებითი გამოცდილებების თავისებურებით, რაც, ზოგ შემთხვევაში, უკავშირდება ადგილობრივ მოსახლეობის ეკონომიკური სარგებლის აღქმასაც.

ევროინტეგრაციის მიმართ განწყობის სტრატეგიკაცია საზოგადოებრივი ჯგუფების მიხედვით

ევროინტეგრაციის პროცესის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება დაკავშირებულია სხვადასხვა სოციალურ ჯგუფთან: სხვადასხვაობა თავს იჩენს ახალგაზრდებსა და ასაკოვან მოსახლეობას, ქალებსა და კაცებს, ქალაქისა და სოფლის მცხოვრებლებს შორის.

პირადი კომუნიკაციისას ორ რეგიონში მომუშავე ორგანიზაციების ადგილობრივი წარმომადგენლები ამბობენ, რომ შედარებით ასაკოვანი ჯგუფები, რომლებსაც ახსოვთ, როგორ ცხოვრობდნენ ახლო წარ-

სულში საბჭოთა კავშირში და ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე ურთიერთობდნენ რუსულ ენაზე, ეჭვის თვალით უყურებენ ევროკავშირს. ამას ისიც ემატება, რომ ახალგაზრდებთან შედარებით, ისინი ნაკლებად ახერხებენ სხვადასხვა ინტეგრაციული საგანმანათლებლო თუ ეკონომიკური პროგრამებით სარგებლობას, რომლებსაც საქართველოს ევროკავშირი სთავაზობს. მოსახლეობის ამ სეგმენტში მწირია ქართული ენის ცოდნა, რის გამოც სხვადასხვა კადრები ვერ ახერხებენ კვალიფიკაციის ამაღლებას და, შესაბამისად, მათთვის არც

სამოქალაქო ინტეგრაციის და შეხედულებების მიმოცვლის პრაქტიკაა აქტუალური. ამასთან, ახალციხეში გამართული დისკუსიისას გამოიკვეთა ისიც, რომ ასაკობრივ ჯგუფებს შორის ინტერაქციისას აზრთა სხვადასხვაობა განსაკუთრებით იჩენს თავს, მაგალითად, სკოლაში, – ასაკოვან, გადაუმზადებელ მასწავლებელსა და მოსწავლეთა ახალ თაობას შორის.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მამაკაცების აღქმა, შესაძლოა, განსხვავდებოდეს ქალთა დამოკიდებულები-საგან რამდენიმე მიზეზის გამო. ერთი მხრივ, ჯავახეთის რეგიონში ჩატარებული ფოკუს ჯგუფების მონაწილეები ყურადღებას ამახვილებენ პრაქტიკულ-ეკონომიკურ ფაქტორზე, რომლის მიხედვითაც, მაგალითად, სამცხე-ჯავახეთიდან რუსეთში სამუშაოდ, ძირითადად, კაცები მიდიან. ამასთან, მათ აქვთ უფრო გაძლიერებული მასკულიზირებული ნოსტალგია რუსული ბაზის მიმართ, რომელიც ბევრი ოჯახის ერთადერთი შემოსავლის წყარო იყო 2007 წლამდე, სანამ რუსეთი რეგიონიდან ბაზებს არ გაიყვანდა (ლიკლიკაძე, 2007). მეორე მხრივ, ქვემო ქართლის დისკუსიების ანალიზის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მოქმედებს კულტურული ფაქტორიც: ქვემო ქართლის რეგიონში ტრადიციული სოციალური კომუნიკაციის წერტილი არის ჩაიხანა, სადაც აზერბაიჯანელი ქალები არ დადიან, შესაბამისად, ისინი აკლდებიან დისკუსიების და ინფორმაციის გაცვლის იმ უმნიშვნელოვანეს ნაწილს, რომელმაც გავლენა უნდა იქონიოს მათ ცნობიერებასა და ცოდნის დონეზე.ⁱⁱⁱ როგორც მარნეულში ქალებს შორის გამართული ფოკუს ჯგუფის ერთ-ერთი მონაწილე ამბობს, „ჩვენთან ქალები ფიქრობენ, რომ ოჯახში პრობლემები შეექმნებათ, თუკი აქტიურები იქნებიან“.

ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინ-

ფორმაციო ცენტრის წარმომადგენლის დაკვირვებით, ყოველდღიური საჭიროებების სპეციფიკით გამოწვეული ევროსკეპტიციზმი შედარებით გავრცელებულია სოფლებსა და დაბის ტიპის ქალაქებში, ვიდრე რეგიონულ ცენტრებში.^{iv} ფოკუს ჯგუფის მეთოდით ჩატარებული კვლევებით ვლინდება, რომ ამის მიზეზი არის, ერთი მხრივ, სოფლებში განათლების და ინფორმირებულობის შესამჩნევად დაბალი დონე, სამოქალაქო სექტორის ინერტულობა და სოფლებთან დაკავშირებული პროექტების ნაკლებობა; მეორე მხრივ, სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას ბევრად უფრო მძლავრად აქვს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტით ვაჭრობასთან და საქონლის მიმოცვლასთან დაკავშირებული საჭიროებები, რომელთაც ევროპული პერსპექტივა შედარებით რთულად უკმაყოფილებს. ამასვე ადასტურებს ახალციხისა და დმანისის დისკუსიებზე გამოკვეთილი დაკვირვება, რომ „ქალაქში რაღაც ინფორმაცია [ევროინტეგრაციის] შესახებ მაინც არსებობს, სოფლებში საერთოდ არაფერი იციან ამის შესახებ“. ამგვარი განსხვავება შეინიშნება, პირობითად, დმანისის თემსა და მარნეულს, ან ახალციხესა და შემოგარენ სოფლებს შორის.

ამგვარად, ამ ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების სკეპტიკურ განწყობაზე კომპლექსურ გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა საბჭოთა ნოსტალგიით გამოწვეული პრორუსული დამოკიდებულებები, ენობრივი ბარიერის გამო ინფორმაციის ნაკლებობა, გავრცელებული დეზინფორმაცია, ეკონომიკური ფაქტორი და სოციალური კომუნიკაციის ინტენსიობის სხვადასხვა დონე. თუმცა, ამ რეგიონებში სკეპტიციზმი ხასიათდება სხვა თავისებურებებითაც, რომლებიც განსაზღვრავს ნეგატიურ დამოკიდებულებას.

ეთნიკური უმცირესობების თვითაღქმა საქართველოს სახელმწიფოს კონტექსტში და ევროპეიზაცია

საქართველოსთვის ევროპეიზაციის გზაზე საზოგადოების ერთსულოვნად დადებითი დამოკიდებულება მნიშვნელოვანია. ამისთვის აუცილებელია, თავად ამ საზოგადოების წევრებმა იგრძნონ საერთო ერთობის ნაწილად თავი. ეს საკითხი განსაკუთრებით მგრძობიარე სწორედ ეთნიკურ უმცირესობებშია. აღქმაზე დაფუძნებული გამონწვევები განსაკუთრებულად ყურადსაღებია, რადგან ამ მიმართულებით ცვლილები რთული და გრძელვადიანი პროცესია, ამავდროულად, უარყოფითი შედეგები შედარებით სწრაფად და ადვილად დგება.^v

ეთნიკურ უმცირესობებში მაღალია საქართველოს და ქართული საზოგადოების მიმართ კულტურულ-პოლიტიკური იდენტობის განცდა (სარეკომენდაციო დოკუმენტი, 2019). მაგალითისთვის, აზერბაიჯანელები გამოხატავენ ერთგვარ პროტესტს იმაზე, რომ მათ საუნივერსიტეტო განათლებას საქართველოში აზერბაიჯანული კომპანია „სოკარი“ უფინანსებს და განათლების დაფინანსების სხვა მექანიზმები შეზღუდული აქვთ. მაგალითისთვის, მარნეულის დისკუსიის მონაწილეების განწყობა გამოიხატება კომენტარში: „ჩვენ არ ვართ დიასპორა, სოკარმა არ უნდა გადაიხადოს ჩვენი სწავლის საფასური“. ამავდროულად, სამცხე-ჯავახეთის ფოკუს ჯგუფის მონაწილე ეთნიკურად სომხები სომხეთს „მეზობელ ქვეყნად“ მოიხსენიებენ, რაც ხაზს უსვამს მისწრაფებას, საქართველო სრულფასოვნად იქცეს „მათ ქვეყნად“.

ეთნიკური უმცირესობებისთვის სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემაა ის, რომ მათ არ აქვთ ურთიერთობა ქართულ საზოგადოებასთან და არ იცნობენ ქართულ კულტურას. სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია


(2015-2020) ორიენტირებულია როგორც ადგილობრივ კულტურულ დაცვაზე, ისე ინტეგრაციულ პროცესებზე (სტრატეგია, 2015). თუმცა რეალურად ეს ნაკლებად უწყობს ხელს ინტერკულტურულ კომუნიკაციას – თანაარსებობას და გაზიარებას: მარნეულის კულტურის ცენტრის პოლიტიკის შესახებ ანგარიშიდან ირკვევა, რომ ცენტრის წარმომადგენლებს კულტურული ინტეგრაცია ცალმხრივად, მხოლოდ ქართულის წინ წამოწევადაც ესმით და მათთვის ეს არ ნიშნავს ორმხრივ პროცესს, რაც ადგილობრივი კულტურების წარმოჩენასაც გულისხმობს (შალვაშვილი, 2019). თანაარსებობის თვალსაზრისით სახელმწიფო პოლიტიკის ხარვეზზე მიუთითებს 2019 წელს დმანისობის აზერბაიჯანული დღესასწაულის ქართულად გაფორმების მცდელობა (შალვაშვილი, 2019). გაზიარების თვალსაზრისით კი თვალშისაცემია შიდა მიმოსვლის არარსებობა, განსაკუთრებით კი თბილისიდან საკმაოდ მოშორებით მცხოვრები ეთნიკურად სომხებისთვის, რომელთა უმრავლესობა სამცხე-ჯავახეთის რეგიონის გარდა საქართველოს დანარჩენ ნაწილში საერთოდ არ არის ნამყოფი. შესაბამისად, ქართულ საზოგადოებასთან და რეალობასთან კონტაქტი პრაქტიკულად არ აქვს. სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლის დაკვირვებით, სწორედ ამიტომ ეს საზოგადოებები ჩაკეტილ თემებად ყალიბდებიან.^{vi}

ამასთან, საჭიროა ორმხრივი ინტეგრაციაც – ინფორმაციის მიმოცვლა როგორც ქართული კონტექსტის შესახებ ეთნიკურ უმცირესობებს შორის, ისე უმცირესობების შესახებ დანარჩენ საზოგადოებაში: როგორც მარნეულში გამართულ დისკუსიაში გამოჩნდა, ეთნიკურად აზერბაიჯანელები და სომხები ვერ ხედავენ საკუთარ თავს ქა-

რთულ სასკოლო თუ სხვა საგანმანათლებლო სახელმძღვანელოებში. ამასთან, კვლევისას ჩატარებული პირადი კომუნიკაციების შედეგად გამოიკვეთა პრობლემა, რომ მედიის მხრიდან ამ რეგიონების გაშუქება ხდება მხოლოდ ნეგატიურ ან პოლიტიკურ კონტექსტში, კრიზისული სიტუაციების შემთხვევაში. შედეგად, როგორც ფოკუს ჯგუფის მონაწილეები ამბობენ, თბილისში ყალიბდება წარმოდგენა, თითქოს ეს „ველური რე-

გიონებია“. ეს კი იმითაა გამოწვეული, რომ საზოგადოების ორ ნაწილს ერთმანეთთან ნაკლები ურთიერთობა აქვს და საზოგადოება აღიქვამს მათ, როგორც უცხო წარმონაქმნს. მართლაც, საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 20-25% ტრადიციულად არ ხვდება მონონებით საქმიან ურთიერთობებს ქვეყანაში მცხოვრებ ეთნიკურ სომეხთან და აზერბაიჯანელთან (იხ. გრაფიკი 2 და 3).


BUSINARG: საქართველოში მცხოვრებ სომეხთან საქმიანი ურთიერთობების მონონება/არმონონება (%)



კავკასიის ბარომეტრის დროითი მწკრივები – საქართველო
წყარო: <http://caucasusbarometer.org/>

გრაფიკი 2. საქართველოში მცხოვრებ სომეხთან საქმიანი ურთიერთობის მონონება/არმონონება. <https://caucasusbarometer.org/ge/cb-ge/BUSINARG/>

BUSINAZG: საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელთან საქმიანი ურთიერთობების მოწონება/არმოწონება (%)



კავკასიის ბარომეტრის დროითი მწკრივები – საქართველო
 წყარო: <http://caucasusbarometer.org/>

გრაფიკი 3. საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელთან საქმიანი ურთიერთობის მოწონება / არმოწონება. <https://caucasusbarometer.org/ge/cb-ge/BUSINAZG/>

ცხადია, რომ ეთნიკური უმცირესობების ქართულ საზოგადოებასთან ინტეგრირება ერთგვარი ამბივალენტურობით ხასიათდება: ერთი მხრივ, არსებობს გარკვეული წინსვლა მრავალკულტურულობისა და საერთო სამოქალაქო თვითშეგნების განვითარების მხრივ (ანგარიში, 2019), ხოლო, მეორე მხრივ, შესამჩნევია სახელმწიფოს მშენებლობის კონტექტში უმცირესობებისადმი უნდობლობაც და გარკვეულ შემთხვევებში აგრესიაც კი (სამხარაძე, 2020).

ამგვარად, ეთნიკური უმცირესობების სამო-

ქალაქო ინტეგრაციის გზაზე ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი გამოწვევები არსებობს, რომლებიც, თავის მხრივ, სამი მიმართულებით ავლენს ევროინტეგრაციასთან დაკავშირებულ რისკებს: პირველ რიგში, ადგილობრივ საზოგადოებას უნდობლობა უჩნდება სახელმწიფოს ხელშესახები და პრაქტიკული ნარმატების მიმართ ევროინტეგრაციის გზაზე, ასევე, უფრო რთული ხდება რუსულ ფაქტორთან გამკლავება ერთგვარ იზოლირებულ საზოგადოებებში და ბოლოს, შედარებით არაეფექტიანად მიმდინარეობს სტერეოტიპებთან ბრძოლის პროცესიც.

ვის მიმართ არსებობს (ევრო)საკავშირებო?


კვლევის ფარგლებში გამოვლენილ ტენდენციებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ ეთნიკური უმცირესობები, როგორც ქვემო ქართლის, ისე სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, მეტ-ნაკლებად ანალიზებენ სარგებელს, რომლის გამოყენებაც მათ

მომავალში შეუძლიათ: სამართლიანობა, წარმოების ხარისხის ზრდის შესაძლებლობა, სახელმწიფოს იძულება, გაატაროს შედეგიანი რეფორმები. თუმცა, ამ ეტაპზე ყველაზე პოპულარულ მიღწევებს შორის არის განათლების ხელმისაწვდომობა და

მოგზაურობის თავისუფლება (იხ. გრაფიკი 4). ერასმუსი და ვიზალიბერალიზაცია ის უმთავრესი საკითხებია, რომლებზეც

ფოკუს ჯგუფის დისკუსიების მონაწილეები თანაბრად ამახვილებდნენ ყურადღებას როგორც ერთ, ისე მეორე რეგიონში.

2017 წლის 28 მარტიდან საქართველოს მოქალაქეებს აქვთ ევროკავშირის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლის შესაძლებლობა. რამდენად დადებითად ხვდებით ამ შესაძლებლობას? (%)



გრაფიკი 4: ევროპის ფონდი. <http://www.epfound.ge/wp-content/uploads/2019/09/2019-EU-Attitudes-Survey-IV.pdf>

ამის ფონზე, როგორც უკვე ვნახეთ, ჯერ კიდევ არსებობს მომძლავრებული ევროსკეპტიკური განწყობები ეთნიკურ უმცირესობებს

შორის (ევროპის ფონდი, 2019). შესაბამისად, საინტერესოა, სინამდვილეში ვის ან რის მიმართ არსებობს დაბალი ნდობა.

არსებული სტერეოტიპები და უმცირესობების ნდობა

ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რაც, ზოგადად, საქართველოს მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ეთნიკური უმცირესობების სკეპტიციზმს განაპირობებს, არის სტერეოტიპები ევროპის შესახებ. ორივე რეგიონში ჩატარებული ფოკუს ჯგუფების შედეგად ყველაზე გავრცელებულ სტერეოტიპებს შორის გამოიკვეთა „მეტისმეტი თავისუფლება“, „გარყვნილება“, „ოჯახური ურთიერთობების არარსებობა“. თუმცა, ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენლები აღნიშნავენ,

რომ მოცემული დამოკიდებულებები შინაარსობრივად დიდად არ განსხვავდება დანარჩენ ქართულ საზოგადოებაში გავრცელებული დამოკიდებულებებისგან,^{vii} რაც იმას გვაფარაუდებინებს, რომ საქართველოს მოქალაქეებისთვის სტერეოტიპული მიდგომები საერთოა განურჩევლად ეთნიკური კუთვნილებისა, თუმცა, ეთნიკურ უმცირესობებში თავისებურებები არსებობს ამ სტერეოტიპებთან გამკლავების, მათი უარყოფისა და სწორი ინფორმაციით ჩანაცვლების მექანიზმების თვალსაზრის-

ით. ეს პროცესი კი ძირითად გამოწვევებს - სამოქალაქო ინტეგრაციისა და ინფორმაციის ნაკლებობის დაბრკოლებებს აწყდება.

ამასთან ერთად სინქრონულად თანაარსებობს დადებითი წარმოდგენები, რომლებიც, ძირითადად, დაკავშირებულია ეკონომიკურ კეთილდღეობასთან: როგორც დისკუსიებიდან იკვეთება, ესაა, ძირითადად, „მაღალი ხელფასები“, „მაღალი ხარისხი“, „სოციალური დახმარებები“. ამგვარად, სტერეოტიპულ მიდგომებზე დაკვირვება საშუალებას იძლევა ვივარაუდოთ, რომ ქართული საზოგადოების სხვადასხვა სეგ-

მენტს აქვთ მსგავსი დამოკიდებულება, რისი ილუსტრაციაც არის ის, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისა და დანარჩენი საზოგადოების მიერ დაფიქსირებული უნდობლობის ხარისხი ევროკავშირის მიმართ დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისგან (შესაბამისად, 13% და 16%). განსხვავება არსებობს ნდობის ხარისხში: ეთნიკური უმცირესობები ნდობის ბევრად უფრო დაბალ მაჩვენებელს აფიქსირებენ ქართულენოვან მოსახლეობასთან შედარებით - 36% და 45% შესაბამისად (ევროპის ფონდი, 2019).

სახელმწიფო პოლიტიკის შედეგები ევროინტეგრაციის გზაზე და უმცირესობების ნდობა

უმცირესობების მნიშვნელოვანი ნაწილი ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის გაცემულ სარგებელს ვერ იყენებს. მარნეულები ახალგაზრდების ახსნით, ეს განპირობებულია იმით, რომ საგანმანათლებლო პროექტებიც და უფიზო მიმოსვლაც გათვლილია მეტ-ნაკლებად შეძლებულ სოციალურ ფენაზე და, შესაბამისად, ძირითადად, ქართველებზე, რომლებსაც ისინი კონკურენციას ვერ უწევენ ენის არცოდნის ან ინფორმაციის ნაკლებობის გამო.

ფოკუს ჯგუფის ფორმატის დისკუსიების ანალიზით ცხადი ხდება, რომ დომინანტურია სკეპტიკური განწყობა არა საკუთრივ ევროპის ან ევროინტეგრაციის პროცესის მიმართ, არამედ სახელმწიფოს მიმართ. ნაკლებია ნდობა, ერთი მხრივ, სახელმწიფოს იმ შედეგების მიმართ, რომლებმაც ქვეყანა მეტი ინტეგრაციისთვის უნდა მოამზადოს, ასევე, სამომავლო წარმატების მიმართაც, ნევრობის შემთხვევაშიც კი. ორივე რეგიონში გამართულ დისკუსიებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, ძირითადად, ახასიათებდნენ, როგორც „წარმოსახ-

ვითობას“, ანუ ზერელე მიდგომას ამ ვალდებულებებისადმი.


განცდას, რომ საქართველოს მხრიდან სხვადასხვა სტანდარტები დაუკმაყოფილებელია, შესამჩნევად დიდი ადგილი უჭირავს ევროკავშირში განწევრიანების მიმართ სკეპტიციზმში, რომელიც სხვადასხვა კვლევებშია ასახული (ევროპის ფონდი, 2019). განსაკუთრებით თვალსაჩინოა ეს ფაქტორი მაშინ, როდესაც რესპონდენტები საუბრობენ ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო-კონვენციის პირობების პრაქტიკაში გატარებაზე (ჩარჩო-კონვენცია, 1995). ამ შემთხვევაში, სკეპტიციზმი მიემართება არა საკუთრივ ევროკავშირს, არამედ საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციისათვის მზაობას. ამავე კონტექსტში მოიხსენიება არა მხოლოდ სახელმწიფოში არსებული ხარვეზები, არამედ ქართულ საზოგადოებაში შესაბამისი განწყობების ნაკლებობა / არარსებობა, რის საილუსტრაციოდაც დისკუსიების ფარგლებში აქცენტი კეთდება სხვადასხვა კონსერვატიულ მიდგომებზე.

რუსეთის ფაქტორი, როგორც გამონაკვა

ქართულ საზოგადოებაში ევროინტეგრაციის პროცესზე მნიშვნელოვან გრძელვადიან გავლენას ახდენს რუსეთთან დაკავშირებული რამდენიმე ფაქტორი. კითხვაზე, ვისთან

უნდა ჰქონდეს საქართველოს მჭიდრო პოლიტიკური თანამშრომლობა, ეთნიკური უმცირესობების 57% სწორედ რუსეთს ასახელებს (იხ. გრაფიკი 5).

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა შემთხვევაში: მათი აზრით, საქართველოს ყველაზე მჭიდრო პოლიტიკური თანამშრომლობა უნდა ჰქონდეს (%)



გრაფიკი 5: ევროპის ფონდი. <http://www.epfound.ge/wp-content/uploads/2019/09/2019-EU-Attitudes-Survey-IV.pdf>

როგორც საკითხის ექსპერტები პირადი კომუნიკაციისას აღნიშნავენ, მოსკოვის ჩარევის გარეშეც კი საერთო კულტურულ-ისტორიული გამოცდილება მნიშვნელოვნად მოქმედებს კონკრეტულად ეთნიკურ უმცირესობებზე, რომელთაც გამოწვევად აქვთ როგორც ქართული, ისე ინგლისური ენის საკმაოდ სუსტი ცოდნის დონე.^{viii} იმის ფონზე, რომ მათ რუსული ენა კარგად იციან, ამავე დროს ეკონომიკური საქმიანობისთვის სწორედ რუსეთს მოიაზრებენ მარტივად მისაწვდომ ბაზრად, პრიორიტეტიზაციისას ეთნიკური უმცირესობების მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ რუსეთს აღიქვამს „შორეული“ ევროპის საპირწონედ. მათი მთავარი შიში არის კონკურენცია, რომელიც ევროპ-

ულ ბაზარზე ელით, რის გამოც თავს იკავებენ იმ აქტიურობისგან, რომელიც საჭიროა ევროკავშირის სტანდარტებთან მიახლოებისთვის, შესაბამისად, მათი ეს არაკომფორტული მდგომარეობა ბიძგს აძლევს ევროკავშირში ინტეგრაციის მიმართ ეჭვებს. ამას ისიც ემატება, რომ ახალგაზრდები, რომლებიც ენის ბარიერის ან გაუცხოვების ფაქტორის გამო თავს იკავებენ თბილისში უმაღლესი განათლების მიღებისგან, სასწავლებლად მიდიან სომხეთში ან რუსეთში, რაშიც მათ განსაკუთრებით ეხმარება რუსული პროექტი „ხალხთა მეგობრობის რუსული უნივერსიტეტი“ (ჩიჩუა, 2019), რომლის ფარგლებშიც, საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენლის თქმით, მხოლოდ

2019 წელს 100-ზე მეტი ახალგაზრდა წავიდა რუსეთში სასწავლებლად.^{ix} ამგვარად, რუსეთის მეტი მისაწვდომობა და ისტორიულ-გეოგრაფიული სიახლოვე მნიშვნელოვან როლს თამაშობს ევროინტეგრაციის პროცესის მიმართ ეჭვების გაღვივებაში.

შედეგად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სხვადასხვა კვლევებში ასახული სკეპტიციზმი არ მიემართება აუცილებლად ევროპას, ევროპული კავშირის იდეას. ეთნიკური უმ-

ცირესობების გარკვეული ჯგუფები ევროკავშირთან გაღრმავებული ურთიერთობის მომხრე არიან სხვადასხვა, პრაგმატულად სასარგებლო ფაქტორების გათვალისწინებით. სკეპტიციზმის მთავარი წყარო მათთვის არის ეჭვები საქართველოს მიერ მიღწეული შედეგების მიმართ ევროინტეგრაციის გზაზე, რუსეთის შედარებით ახლო გეოგრაფიულ-ისტორიული კონტექსტი და სტერეოტიპული მიდგომების დომინანტობა.

შესაძლებელია თუ არა (ევრო)სკეპტიციზმის მართვა?

საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისთვის ევროინტეგრაციის კონტექსტის აღქმა ამბივალენტურია: აქ დადებითი და უარყოფითი განწყობები ერთმანეთის გვერდიგვერდ ვითარდება, ეს უკანასკნელი კი მნიშვნელოვნად უშლის ხელს ადგილობრივი საზოგადოების გარკვეულ ფენებს, სრულფასოვნად ისარგებლონ ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის შეთავაზებული ეკონომიკური, სოციალური თუ საგანმანათლებლო შესაძლებლობებით. სკეპტიციზმის არაერთი კომპონენტი გულისხმობს არა პირდაპირ უნდობლობას ევროკავშირისადმი, არამედ ადგილობრივებში ეჭვის წარმომქმნელ ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა მართვადი სტერეოტიპები, რუსეთის, როგორც საპირწონე მოთამაშის ფაქტორი და უნდობლობა საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესში მიღწეული პრაქტიკული შედეგების მიმართ.

პოზიტიური განწყობებიდან ტოლერანტობა და სოლიდარობა ეთნიკური უმცირესობების წარმოდგენით ყველაზე მეტად ასოცირდება ევროკავშირთან, ეს სწორედ ის საკითხებია, რომლებიც მათ ყოველდღიურად ცხოვრებაში აწუხებთ. თავისუფალი მოგზაურობის და განათლების პერსპექტივა დადებით დამოკიდებულებას ქმნის. ეს კი ბადებს იმის

მტკიცების საფუძველს, რომ პროევროპული განწყობის გაძლიერებას ეთნიკურ უმცირესობებში რეალური საფუძველი აქვს.

როდესაც უმცირესობების კონკრეტული წარმომადგენლები საუბრობენ ევროკავშირის სარგებელზე, მათ აქვთ მომავლის იმედი მიუხედავად იმისა, რომ ისინი დღეს ვერ სარგებლობენ საგანმანათლებლო პროექტებით ან ვიზალიბერალიზაციით, რაც, თავისთავად, პოზიტიურ ტენდენციებზე მიუთითებს ევროპის მიმართ მიმდებლური დამოკიდებულების თვალსაზრისით. ყველა იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომლებიც (ევრო)სკეპტიციზმს წარმოშობს ეთნიკურ უმცირესობებში, ამ დამოკიდებულების მართვის სხვადასხვა მექანიზმი შეიძლება ამოქმედდეს. მათ შორის, უშუალოდ შეხვედრები სოფლის მოსახლეობასთან, ინტენსიური შიდა ინტერკულტურული კომუნიკაცია და მიმოსვლა, გამოცდილებით და პრაქტიკულ სოციალურ შედეგებზე დაფუძნებული საინფორმაციო პოლიტიკა, რითიც დაბალანსდება რუსეთის (resp. საბჭოთა კავშირის) მიმართ ნოსტალგია. სახელმწიფო მუდმივად უნდა გამოხატავდეს იმას, რომ ის მზადაა ევროინტეგრაციისთვის როგორც ზოგადდემოკრატიული, ისე უმცირესობებთან ურთიერთობის თვალსაზ-

რისით. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ნაბიჯი ხელს შეუწყობს ევროკავშირის შესახებ დადებით განწყობის გაძლიერებას, რაც

ნაბიჯ-ნაბიჯ შეამცირებს (ევრო)სკეპტიციზმით გაჯერებულ სივრცეებს.

დასკვნა და რეკომენდაციები

ეთნიკური უმცირესობების განწყობა ევროინტეგრაციის მიმართ მნიშვნელოვანია, რადგან ის ხელშესახებ გავლენას ახდენს, ერთი მხრივ, მათთვის ამ პროცესის სარგებლიანობაზე, მეორე მხრივ, საქართველოს სრულფასოვან და წარმატებულ ევროპეიზაციაზე. ამიტომ, ეს საკითხი სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან ყურადღებას საჭიროებს. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ეთნიკურ უმცირესობებს შორის ევროპეიზაციის მიმართ სკეპტიციზმის ერთ-ერთი გამოკვეთილი მახასიათებელი ამ პროცესში სახელმწიფოს მიერ მიღწეული შედეგებისადმი ნდობის ნაკლებობაა, რასაც ხელს უწყობს გაუცხოება უმცირესობებსა და დანარჩენ საზოგადოებას შორის და განწყობების გაზიარების ნაკლებობა. სახელმწიფოს, და, შესაბამისად, მისი საგარეო კურსის მიმართ საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების განწყობებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კულტურული ინტეგრაცია, რაც განსაკუთრებით აისახება წინამდებარე კვლევის შედეგად გამოვლინდ გამორჩეულად სენსიტიურ საზოგადოებრივ ფენებზე – სოფლად მცხოვრებლებზე, ქალებსა და ასაკოვან მოსახლეობაზე, რომლებიც განსაკუთრებით მოწყვლადი არიან საქართველოს ევროინტეგრაციული პროცესის მიმართ სკეპტიციზმის გავრცელების თვალსაზრისით. ამ ფაქტორების გაანალიზების შედეგად სხვადასხვა აქტორების მხრიდან შესაძლებელია (ევრო)სკეპტიციზმის მართვა და მისი ძირითადი მოტივაციების შერბილება და დაბალანსება ქვემოთ მოცემული შესაბამისი ნაბიჯების გადადგმით.

რეკომენდაციები შერიგების და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისთვის

- **სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის ახალ სახელმწიფო სტრატეგიაზე მუშაობაში აქტიურად ჩართოს ადგილობრივ თემებში მოქმედი სამოქალაქო თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციები**, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი გამონვევების, განწყობებისა და საჭიროებების ასახვა დოკუმენტში.
- **გაზარდოს ევროინტეგრაციის გზაზე სახელმწიფოს მიღწევებზე დაფუძნებული პრაქტიკული აქტივობების ინტენსიობა** უმცირესობებისთვის განსაკუთრებით მიმზიდველი ვიზალიზაციის, საგანმანათლებლო გაცვლითი პროექტებისა და საგრანტო შესაძლებლობების შესახებ, რათა ხელი შეეწყოს საქართველოს ევროპასთან დაახლოების პროცესის მიმართ ნდობის გაზრდას ადგილობრივ თემებში.
- **წახალისოს საქართველოს მასშტაბით გაცვლითი საგანმანათლებლო, პროფესიული თუ ინფორმაციული პროგრამები** ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისთვის, რათა უზრუნველყოს ევროინტეგრაციის შესახებ მოსაზრებების გაზიარება და გაუცხოებით გამოწვეული სკეპტიციზმის

შერბილება.

- უზრუნველყოს ეთნიკური უმცირესობების ყოველდღიური სოციალური, ინფრასტრუქტურული თუ კომუნიკაციური სიძნელეების შესახებ ინფორმაციის გაცვლა იმ სახელმწიფო ინსტიტუტებთან, რომლებსაც შეუძლიათ უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ორ რეგიონში ამ მიმართულებებით გაუმჯობესებისთვის საჭირო პროექტების დაგეგმვა, რათა ადგილობრივ მცხოვრებლებს გამართივებული წვდომა ჰქონდეთ ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის განკუთვნილ სხვადასხვა სარგებელზე.

რეკომენდაციები ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის

- ხელი შეუწყოს ადგილობრივი ტრადიციულ-კულტურული მარკერების წინ წამოწევის, **წაახალისოს ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს, რომ ეთნიკურმა უმცირესობებმა დაინახონ საკუთარი როლი ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობის კონტექსტში**, რაც წაახალისებს მათ ნდობას საკუთარი სახელმწიფოს მიღწევების მიმართ წარმატებულ ევროინტეგრაციულ პროცესში.
- წაახალისოს ადგილობრივი მცხოვრებლები, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობა, სხვადასხვა გაცვლით ბანაკებსა თუ პროფესიულ ვიზიტებში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს მასშტაბით, რაც დაეხმარება მათ, თავი ერთიანი საზოგადოების ნაწილად იგრძნონ.
- გაზარდოს წარმატებული წარმოების და ევროპაში ექსპორტის მაგალითების შესახებ უშუალო გაცნობითი ვიზიტების

ინტენსიობა სოფლად მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისთვის, რათა უფრო რეალური გახდეს მათთვის ევროპეიზაციის შედეგად წარმოქმნილი აგრარული წარმოების პერსპექტივა და სხვა ეკონომიკურ-სოციალურ შესაძლებლობებზე მისაწვდომობა.

- გაზარდოს კომუნიკაცია ადგილობრივი მოსახლეობის ასაკოვან სეგმენტთან ევროინტეგრაციის მიმართ საბჭოთა ნოსტალგიით გამონეული სკეპტიციზმის დაბალანსების მიზნით.
- მეტი ყურადღება მიექცეს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალებისთვის ალტერნატიული სადისკუსიო სივრცეების გაჩენას, რათა ადგილობრივი თემების კულტურული თავისებურებების მიუხედავად, მათთვისაც გაჩნდეს სრულფასოვანი კომუნიკაციის არეები ევროინტეგრაციული პროცესების შესახებ განწყობების გაზიარების მიზნით.

რეკომენდაციები სამოქალაქო საზოგადოებისა და ანალიტიკური ორგანიზაციებისთვის

- განვითარდეს კვლევითი აქტივობები ზემოთ ხსენებულ ჯგუფებში ევროინტეგრაციის მიმართ სკეპტიციზმის გამომწვევი მიზეზების – საბჭოთა ნოსტალგიის, სოციალური სიძნელეების და სტერეოტიპების – თავისებურებების შესახებ, რაც ხელს შეუწყობს კონკრეტულ შედეგზე ორიენტირებული სპეციფიკური პროექტების განვითარებას.
- პროექტების დაგეგმვისას გაიზარდოს ფოკუსი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ქალებზე, ასაკოვან ჯგუფებსა და სოფლად მცხოვრებ მოსახლეობაზე ორიენტირებულ გრ-

ძელვადიან პროექტებზე, რათა მოხდეს, ერთი მხრივ, განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფებზე დავინროება, მეორე მხრივ, მათთან სტაბილურად შედეგისმომტანი მუშაობა სკეპტიციზმის წყაროების შერბილების მიზნით.

- პროექტების დაგეგმვისას **მეტი აქცენტი გაკეთდეს წინამდებარე კვლევისა და სხვა კვლევების შედეგად ევროინტეგრაციის მიმართ დადებით განწყობებზე**, როგორცაა, მაგალითად, ვიზალიბერალიზაცია, ეკონომიკური სარგებელი და ევროპაში სწავლის შესაძლებლობები – მათი მისაწვდომობის გამარტივებაზე ეთნიკური უმცირესობების სპეციფიკური ენობრივი, უფლებრივი თუ სხვა საჭიროებების მიხედვით.
- სხვადასხვა პროექტების ფარგლებში **აქტიურად განხორციელდეს ადგილობრივი მოსახლეობისთვის სახელმწიფოს მიერ ევროინტეგრაციული მიღწევებისა და გამოწვევების მონიტორინგის გასაგებ ენაზე მინოდება**.
- **ადგილზე გრძელვადიანი პროექტების დაგეგმვის გზით განავითაროს სამოქალაქო საზოგადოების მიმართ ნდობა და სტაბილური კომუნიკაცია ადგილობრივ მოსახლეობასთან**, რაც ხელს შეუწყობს მათი ინტერესის გაზრდას

ორგანიზაციების საქმიანობის მიმართ და, შესაბამისად, კონკრეტული პროგრამების ეფექტიან განხორციელებას.

რეკომენდაციები საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დონორებისთვის

- საპროექტო განაცხადების განხილვისას **აქცენტი გაკეთდეს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ქალების საზოგადოებრივ-კულტურულ ინტეგრაციაზე გათვლილ იდეებზე**.
- ყურადღება მიექცეს სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონების **სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის გამიზნულ სოციალურ და ეკონომიკურ პროექტებს**.
- გააქტიურდეს იმ იდეების ხელშეწყობა, რომლებიც ორიენტირებულია **ეთნიკური უმცირესობების ასაკოვან ჯგუფებში საბჭოთა ნოსტალგიის დაბალანსებაზე**.
- ხელი შეეწყოს პროექტებს, რომლებიც აქცენტს გააკეთებს **ეთნიკური უმცირესობებისთვის ევროინტეგრაციული პროცესის მიმზიდველი მიღწევების – ვიზალიბერალიზაციის, საგანმანათლებლო პროექტებისა და უფლებრივი გაუმჯობესების – სრულფასოვან მინოდებაზე**.

ⁱ საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, პირადი კომუნიკაცია, 2020წ. 19 მაისი.

ⁱⁱ საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, პირადი კომუნიკაცია, 2020წ. 22 მაისი.

ⁱⁱⁱ სახალხო დამცველის ოფისთან არსებული ეთნიკურ უმცირესობათა საბჭო, პირადი კომუნიკაცია, 2020 წლის 19 მაისი.

^{iv} საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, პირადი კომუნიკაცია, 2020წ. 19 მაისი.

^v ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრი, პირადი კომუნიკაცია, 2020წ. 21 მაისი.

^{vi} სახალხო დამცველის ოფისთან არსებული ეთნიკურ უმცირესობათა საბჭო, პირადი კომუნიკაცია, 2020 წლის 19 მაისი.

^{vii} საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, პირადი კომუნიკაცია, 2020წ. 19 მაისი.

^{viii} ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრი, პირადი კომუნიკაცია, 2020წ. 21 მაისი.

^{ix} საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, პირადი კომუნიკაცია, 2020წ. 22 მაისი.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ევროპის ფონდი. საზოგადოებრივი აზრის კვლევა „ევროკავშირის მიმართ დამოკიდებულებებისა და ცოდნის შეფასება საქართველოში“, 2019. <http://www.epfound.ge/wp-content/uploads/2019/09/EU-2019-Final-GE.pdf> ბოლო წვდომა: 10 ივლისი, 2020
- ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენცია, 1995. <https://bit.ly/3ceAphh> ბოლო წვდომა: 17 ივლისი, 2020
- ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენციის მრჩეველთა კომიტეტის ანგარიში საქართველოზე. 24 სექტემბერი, 2019. <https://emc.org.ge/ka/products/erovnuli-umtsiresobebis-datsvis-she-sakheb-evropuli-charcho-konventsi-is-mrchevelta-komitetis-angarishi-sakartveloze> ბოლო წვდომა: 17 ივლისი, 2020
- ლიკლიკაძე, კობა. ახალქალაქი რუსეთის სამხედრო ტექნიკისგან საბოლოოდ გათავისუფლდა! რადიო თავისუფლება. 24 მაისი, 2007. <https://www.radiotavisupleba.ge/a/1552684.html>. ბოლო წვდომა: 10 ივლისი, 2020
- პოლიტიკის სარეკომენდაციო დოკუმენტი: ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების პოლიტიკური მონაწილეობის გაუმჯობესება, 2019 წ. ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო, 2019. <https://bit.ly/2TIFhbO> ბოლო წვდომა: 17 ივლისი, 2020
- სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და 2015-2020 წწ სამოქმედო გეგმა. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო სამინისტროს აპარატი, 2015. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2958879?publication=0> ბოლო წვდომა: 13 ივლისი, 2020
- სამხარაძე, ნინო. ქართული ტოლერანტობის ტესტი: რა ვიცით ეთნიკური უმცირესობების შესახებ და როგორ უნდა იმოქმედოს სახელმწიფო კრიზისის პირობებში? 13 აპრილი, 2020. <https://bit.ly/32A0vIS> ბოლო წვდომა: 17 ივლისი, 2020
- შალვაშვილი, მარიამ. მარნეულის კულტურის ცენტრის პოლიტიკის შეფასება. 20 ნოემბერი, 2019. <https://emc.org.ge/ka/products/marneulis-kulturis-tsentris-politikis-shefaseba> ბოლო წვდომა: 10 ივლისი, 2020
- შალვაშვილი, მარიამ. დმანისობა - გადანერილი დღესასწაული და კულტურული დომინაციის მექანიზმი. 1 ოქტომბერი, 2019. <https://emc.org.ge/ka/products/dmanisoba-gadatserili-dghesast-sauli-da-kulturuli-dominatsiis-mekanismi> ბოლო წვდომა: 13 ივლისი, 2020
- ჩიჩუა, ნინო. 2 პოტენციური საფრთხე რუსული კულტურის ცენტრისგან საქართველოში. ნეტგაზეთი. 6 დეკემბერი, 2019. <https://netgazeti.ge/news/412019/> ბოლო წვდომა: 13 ივლისი, 2020.

დანართი

კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების ჩამონათვალი

1. ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრი, პირადი კომუნიკაცია, 2020წ. 21 მაისი
2. საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, პირადი კომუნიკაცია, 2020წ. 22 მაისი
3. საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, პირადი კომუნიკაცია, 2020წ. 19 მაისი
4. სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი. პირადი კომუნიკაცია, 19 მაისი, 2020
5. „Ifact“ მედია-წყარო, პირადი კომუნიკაცია, 2020წ. 20 ივნისი
6. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი. პირადი კომუნიკაცია, 20 მაისი, 2020

კვლევის ფარგლებში ჩატარებული ფოკუს-ჯგუფი დისკუსიების ჩამონათვალი

სამცხე-ჯავახეთი

1. ახალციხე, შერეული, 6 მონაწილე, 2020წ. 22 მაისი
2. ახალქალაქი, ქალები, 9 მონაწილე, 2020წ. 6 მარტი
3. ნინოწმინდა, კაცები, 10 მონაწილე, 2020წ. 17 მარტი

ქვემო ქართლი

1. მარნეული, შერეული, 7 მონაწილე, 2020წ. 29 თებერვალი
2. გარდაბანი, ქალები, 4 მონაწილე, 2020წ. 22 ივნისი
3. დმანისი, კაცები, 4 მონაწილე, 2020წ. 27 ივნისი

**ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაცია
საქართველოში: პოლიტიკური
ჩართულობის ბარიერები**

სალომე კანდელაკი¹

მოკლე შინაარსი

საქართველოში ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური ინტეგრაცია კომპლექსური პროცესია, თუმცა ამ კუთხით საქართველოს, როგორც გარდამავალი დემოკრატიის ქვეყანას, ჯერ კიდევ ბევრი ნაბიჯი აქვს გადასადგმელი, მით უმეტეს იმ ფონზე, როდესაც ქვეყანას ოფიციალურად აქვს აღებული ევროპასთან ინტეგრაციის კურსი. ამ და სხვა გარემოებების მიუხედავად, კვლავ გამოწვევად რჩება ეთნიკურად აზერბაიჯანელი და სომეხი უმცირესობების ეროვნულ დონეზე ხარისხიანი პოლიტიკური მონაწილეობა. მინიმალურია ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში ეთნიკური უმცირესობების მხრიდან პოლიტიკურ გადანყვეტილებებზე ზეგავლენა. ამ მხრივ განსაკუთრებით უთანასწორო მდგომარეობაში იმყოფებიან შუახნის ასაკისა და უფროსი თაობის წარმომადგენელი ეთნიკური უმცირესობები, რომელთა უმეტესობაც არ ფლობს ქართულ ენას და არ აქვს საკმარისი ინფორმაცია არც ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე და არც მის საგარეო

პრიორიტეტებზე. ამ მიმართულებით აუცილებელია საქართველოს მთავრობის მხრიდან ევროკავშირის დელეგაციასთან და თემაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად პროაქტიური და უფრო მეტად კოორდინირებული მუშაობა, რათა ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკურად გასაძლიერებლად დაგადგმული ნაბიჯები პასუხობდეს მათ რეალურ საჭიროებებს.

პოლიტიკის დოკუმენტში არგუმენტები ეფუძნება ლიტერატურისა და ოფიციალური დოკუმენტების შესწავლას და ასევე ექსპერტ ინტერვიუებისა და ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში ჩატარებული ფოკუს ჯგუფების შედეგებს. ნაშრომი მოიცავს საქართველოს მთავრობის, პოლიტიკური პარტიების, ევროკავშირის დელეგაციისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისადმი რეკომენდაციებს, რომლებიც განერილია კვლევის შედეგად გამოვლენილი მთავარი გამოწვევების საპასუხოდ.

საკვანძო სიტყვები: ეთნიკური უმცირესობები, პოლიტიკური მონაწილეობა, ინტეგრაცია, წარმომადგენლობა, ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი.

შესავალი

ეთნიკური უმცირესობების ღირსეული პოლიტიკური ინტეგრაცია საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა. მიუხედავად ამისა, მათი პოლიტიკური ინტეგრაცია კვლავ გამოწვევად რჩება. განსაკუთრებით პრობლემურია ეთნიკურად აზერბაიჯანელი და სომეხი უმცირესობების პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდა, რაც

სხვადასხვა მიზეზით არის განპირობებული. ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში მცხოვრები ადგილობრივი თემის გასაძლიერებლად მიმართული სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ძალისხმევის მიუხედავად, ეთნიკური უმცირესობების უმეტესობა მთლიანად იგნორირებულია ადგილობრივი პოლიტიკური ელიტების მიერ. უკეთეს შემთხვევაში,

¹ საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის (GIP) უმცროსი ანალიტიკოსი

წინასაარჩევნოდ ხდება მათთან კომუნიკაცია, თუმცა ხშირად ამ ქმედების მიზანი მათი პოლიტიკურად ინსტრუმენტალიზებაა. ხოლო ეროვნულ დონეზე მათი ხმა, ფაქტობრივად, არ ისმის (ახალციხე, შერეული, 2020წ. 22 მაისი; მარნეული, შერეული, 2020წ. 29 თებერვალი). სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2015-2020 სამთავრობო გეგმის შემუშავებისა და ევროკავშირ-საქართველოს შორის ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების შედეგადაც არ შემუშავებულა ეფექტიანი ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფდა ეთნიკური უმცირესობების სრულუფლებიან მონაწილეობას პოლიტიკის შემუშავებაში. მნიშვნელოვანია გავცეთ პასუხი შეკითხვაზე, თუ რა არის ის ხელისშემშლელი ფაქტორები, რაც ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკურ ჩართულობას აფერხებს ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე? ასევე, რამდენად უწყობს სტრუქტურული ფაქტორები ხელს მათ პოლიტიკურ მონაწილეობას და რას აკეთებენ თავად ეთნიკური უმცირესობები მათი პოლიტიკური მონაწილეობის გასაზრდელად?

საქართველოს კონტექსტში, ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში კომპაქტურად დასახლებული ეთნიკური უმცირესობების

პოლიტიკური მონაწილეობის განხილვისას, ნაშრომში მოიაზრება როგორც პირდაპირი (სუბსტანციური), ისე ირიბი პოლიტიკური მონაწილეობა. პირდაპირი მონაწილეობის ნაწილში, ის ეყრდნობა პოლიტიკური მონაწილეობის კლასიკურ განმარტებას, რომლის მიხედვითაც „პოლიტიკური მონაწილეობა მოიცავს მოქალაქეთა აქტივობებს, როდესაც ისინი მეტ-ნაკლებად უშუალოდ ახდენენ ზეგავლენას მთავრობის არჩევაზე და/ან მათ ქმედებებზე“ (Verba and Nie, 1972). ხოლო პოლიტიკური მონაწილეობის უფრო ფართო გაგებით, რომელიც არა არჩევნების გზით გავლენის მოხდენას, არამედ არჩეული წარმომადგენლების ქმედებაზე ზეგავლენას და კონკრეტული პოლიტიკური შედეგის მიღწევაში წვლილის შეტანას გულისხმობს (McCloskey, 1968), შეიძლება განვმარტოთ უმცირესობათა ირიბი პოლიტიკური ჩართულობა. ნაშრომი მეთოდოლოგიურად ეყრდნობა 12 ექსპერტ ინტერვიუს, და 6 ფოკუს ჯგუფს სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონში. დამატებით გამოყენებულია ინფორმაცია ამავე რეგიონებში ჩატარებული ახალგაზრდული სამიტებიდან, რომელიც ახალგაზრდების პოლიტიკურ ჩართულობას ეხებოდა.¹

ეთნიკურ უმცირესობათა პოლიტიკური წარმომადგენლობა


2014 წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 13.2% ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელია, რომელთაგან ეთნიკურად აზერბაიჯანელი 6.2%-ია და, ძირითადად, ქვემო ქართლის რეგიონში არიან დასახლებულები, ხოლო 4.5% არის ეთნიკურად სომეხი, რომელთა უმრავლესობაც სამცხე-ჯავახეთში ცხოვრობს (ბუჯიაშვილი და სორდია 2018). იმი-

სათვის, რომ ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაცია და ღირსეული თანაცხოვრება იყოს უზრუნველყოფილი, აუცილებელია, ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის მსგავსად, ისინიც თანაბრად მონაწილეობდნენ სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ადგილობრივ თუ ეროვნულ დონეზე მათი საჭიროებებისა და ხედვების გასაუღრებლად და განვითარების თანაბარი შესაძლებლობების მისაღებად მნიშვნელოვანია

ისინი აქტიურად იყვნენ წარმოდგენილები თვითმმართველობებში, სახელმწიფო ორგანოებში და პარლამენტში. 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების მიხედვით, 64 მუნიციპალიტეტის საკრებულოებიდან 21-ში არიან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, რომელთა საერთო რაოდენობაც შეადგენს 165 ადამიანს (კახიშვილი, 2017).

თუმცა საგულისხმოა, რომ ეთნიკური უმცირესობების რაოდენობა საკმაოდ მცირეა სამი მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარდა (მარნეული, ახალქალაქი, ნინოწმინდა) ყველა იმ მუნიციპალიტეტში, (გარდაბანი, ბოლნისი, დმანისი, წალკა, ახალციხე) სადაც ძირითადად ეთნიკური უმცირესობები ცხოვრობენ (იხ. დიაგრამა 1).

დიაგრამა 1: ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობა საკრებულოებში, ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრი, კახიშვილი, 2017, ხელმისაწვდომია: http://csem.ge/wp-content/uploads/2018/06/Competing-for-Votes-of-Ethnic-Minorities_Geo.pdf



საგულისხმოა, რომ ქვემო ქართლისა და სამცხე ჯავახეთის ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენლების დაკვირვებით, მუნიციპალურ დონეზე, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობის მხრივ, პრობლემა ნაკლებად არსებობს, რადგან ისინი ადგილობრივ დონეზე „უმაღლეს პოზიციებსაც“ იკავებენ, რაც რეალურად მათ ხელს უწყობდეს


პოლიტიკურ გადანყვეტილებებზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენაში. თუმცა, მეორე მხრივ, „თანამდებობაზე წვდომა არ ახდენს ზეგავლენას ჩართულობის გაზრდაზე.“ⁱⁱ პოლიტიკურ გადანყვეტილებაზე ზეგავლენის მოხდენა და პოლიტიკურ პროცესებში მოქალაქეთა დემოკრატიული ჩართულობის ხელშეწყობა კი ევროკავშირის ერთ-ერთი პრიორიტეტია, რაც

რეალურად უზრუნველყოფს ინკლუზიურ და დემოკრატიულ მმართველობას. ეთნიკურ უმცირესობათა პოლიტიკური წარმომადგენლობის გაზრდისთვის, ევროკავშირი თავის უფლებამოსილების ფარგლებში ძირითადად რეკომენდაციებით შემოიფარგლება. ხოლო პოლიტიკური და სამოქალაქო მონაწილეების გასაზრდელად, ის სოლიდურ თანხას გამოყოფს სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ადგილობრივი ინიციატივების დასაფინანსებლად. თუმცა, ამ მიმართულებით სასურველია კიდევ უფრო ქმედითი ნაბიჯის გადადგმა, არა მხოლოდ ევროკავშირის დელეგაციისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან, არამედ, უმეტესწილად, პოლიტიკური

ელიტების მხრიდან.

მიზეზები, თუ რატომ ვერ ხდება ადგილობრივ დონეზე ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური ჩართულობის ნახალისება, შემდეგ თავებშია განხილული. რაც შეეხება მათ ეროვნულ დონეზე წარმომადგენლობას, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად პარლამენტში ეთნიკურმა უმცირესობებმა, რომელთაც არაქართული გვარი აქვთ, 11 მანდატი მოიპოვეს, რაც პარლამენტართა 7.3%-ს შეადგენს, რაც წინა მოწვევის პარლამენტებთან შედარებით მაღალი პროცენტული მაჩვენებელია (იხ. დიაგრამა 2).

დიაგრამა 2: 1990 წლიდან 2020 წლამდე * ეთნიკური უმცირესობების პროცენტული რაოდენობა საქართველოში და * მათი წარმომადგენლობა საქართველოს პარლამენტში, OSGF 2019, ხელმისაწვდომია: <https://osgf.ge/wp-content/uploads/2019/05/Analytical-Report-ISSA-GEO.pdf>



პარლამენტში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობის მიუხედავად, ეროვნულ დონეზე საკითხების ინიცირებისა და განწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის კუთხით მათი როლი ნომინალური

და მინიმალურიაⁱⁱⁱ. იმ გარემოებაზე, რომ პარლამენტში მათი პოლიტიკური წონა დაბალია, სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წარმომადგენელიც ამახვილებს ყურადღებას და ამ

ფაქტს იმაზე ხაზგასმითაც ამყარებს, რომ არც ერთი მათგანი არც კომიტეტის ხელმძღვანელის და არც მოადგილის პოზიციაზე არ არის წარმოდგენილი. სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლის თქმით, უშუალოდ საპარლამენტო სივრცეშიც კი გამოკვეთილა ეთნიკურ ნიადაგზე დისკრიმინაციის ფაქტები. მან მაგალითად მოიყვანა შემთხვევა, როდესაც ერთ-ერთმა დეპუტატმა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელს, რომელსაც თარჯიმანიც თან ახლდა, უსაყვედურა ენის არცოდნის გამო და მოუწოდა რომ თუ ენას არ ფლობდა, ჯობდა საერთოდ არ ელაპარაკა.^{iv} ამგვარი შემთხვევები არათუ აფერხებს ინტეგრაციის პროცესს, არამედ ახშობს მათი პოლიტიკურად გააქტიურების მოტივაციას. გარდა ამისა, ასეთი გამოხატულებები წინააღმდეგობაში მოდის ევროკავშირსა და საქართველოს შორის ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ფარგლებში საქართველოს მიერ მიღებულ ანტიდისკრიმინაციულ კანონთანაც (საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, 2014).

ზოგადად, სამინისტროების და უწყებების დონეზე გადანაცვების მიმღებ თანამდებობებზე ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები თითქმის საერთოდ არ არიან დასაქმებულნი.^v „დედაქალაქის საკრებულოში ათწლეულებია უკვე დეპუტატი არ არის წარმომადგენელი ეთნიკური უმცირესობებიდან“^{vi}. ეს იმ ფონზე, როცა თბილისის მოსახლეობის დაახლოებით 10%-მდე ეთნიკურ უმცირესობას მიეკუთვნება. კვლევის მონაცემების მიხედვით მაშინაც კი, როცა უმცირესობებს თანამდებობები უკავიათ, ისინი თავისი ფუნქციების შესრულებისას გუნდში თანაბარუფლებიანები არ არიან^{vii}. აქედან გამომდინარე, შესაძლოა ამ პრობლემის საფუძველი უფრო დაბალ დონეზე იყოს საძიებელი. კერძოდ, ამის განმაპირობებელი მიზეზი შეიძლება იყოს ადგილობრივ დონეზე სუსტი პოლიტიკური ჩართულობა, გაუმჭვირვალე და არაეფექტიანი პოლიტიკური მართვა, რაც შემდგომ შეუძლებელს ხდის ეროვნულ დონეზე ეთნიკური უმცირესობების ძლიერ პოზიციონირებას.

ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური მონაწილეობის მხარდაჭერის კუთხით სახელმწიფო პოლიტიკის (არა)ეფექტიანობა

ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური მონაწილეობის ხელისშემშლელი ფაქტორების გაანალიზების პარალელურად, აუცილებელია განხილული იყოს ის სახელმწიფო პროგრამები, სტრატეგიები და ინიციატივები, რომლებიც აღნიშნულ რეგიონებში მათი პოლიტიკური მონაწილეობის სტიმულირებისთვის და ეროვნულ დონეზე ინტეგრაციის ხელშესაწყობად ხორციელდება. ეროვნულ დონეზე ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაციის საკითხს კურირებს სახელმწიფო მინისტრის აპარატი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში, რომელიც თანამშრომლობს

როგორც ადგილობრივ თვითმმართველობებთან, ისე სახალხო დამცველის ოფისთან არსებულ ეთნიკურ უმცირესობათა საკონსულტაციო საბჭოსთან^{viii} და, ასევე, რიგ არასამთავრობო ორგანიზაციებთან. საქართველოს მთავრობის სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2015-2020 წლის სტრატეგიის ოთხი ძირითადი მიმართულებიდან პირველია „თანაბარი პოლიტიკური და სამოქალაქო ცხოვრების უზრუნველყოფა“ და მისი ერთ-ერთი ასპექტია „ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობის ნახალისება პოლიტიკურ გადანაცვლებების მიღების პროცესში“. გამომდინარე იქიდან, რომ სტრატეგიას ვადა 2020 წელს

ენურება, მისი თითქმის ყველა კომპონენტი წესით უკვე განხორციელებული უნდა იყოს და სამოქმედო გეგმის შეფასების ანგარიშიც უნდა გამოიცეს. ამიტომ, საინტერესოა, კონკრეტულად რა პროგრამები განხორციელდა. სტრატეგიის იმპლემენტაციის ხარისხით დაინტერესებულია ევროკავშირის დელეგაციაც, რადგან სახელმწიფო სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების წარმატებულად შესრულება, საქართველოს ევროინტეგრაციის პერსპექტივასაც განსაზღვრავს. ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ევროკავშირის დელეგაცია ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებულ საკითხებს, ძირითადად, სახალხო დამცველის ანგარიშებიდან ეცნობა. ევროკავშირის დელეგაციამ რამდენიმეჯერ მოიკითხა შესაბამისი სახელმწიფო უწყებისგან სახელმწიფო სტრატეგიის იმპლემენტაციის პროგრესის შესახებ, მაგრამ ინფორმაციის მიღება გაჭირდა.^{ix} ეს გარემოება ცხადყოფს, რომ აუცილებელია გაძლიერდეს ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციისკენ და თანასწორობისკენ მიმართული სახელმწიფო სტრატეგიის და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და უფრო კრიტიკული შეფასება როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან, რათა უზრუნველყოს ინკლუზიური მმართველობა და ღირსეული თანაცხოვრება.

სტაჟირების პროგრამა ეთნიკური უმცირესობებისთვის

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მხრიდან პოლიტიკური და სამოქალაქო ჩართულობის ხელშესაწყობად განხორციელებული სამი ყველაზე მნიშვნელოვანი პროგრამა გამოიკვეთა. პირველი ასეთი ინიციატივაა სტაჟირება 4+1-ის საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისთვის, რამაც საპილოტე ეტაპი 2017 წელს გაიარა. ის 2018 წლიდან

სრულფასოვნად ამოქმედდა და მოხდა ამ ინიციატივის ინსტიტუციონალიზაცია. 2020 წლის მაისამდე 3-დან 6 თვემდე ხანგრძლივობის სტაჟირების პროგრამა ეთნიკური უმცირესობის 294-მა წარმომადგენელმა ახალგაზრდამ გაიარა 20-მდე სხვადასხვა სახელმწიფო უწყებაში, მათ შორის, ადგილობრივ თვითმმართველობებში. როგორც რესპონდენტი აღნიშნავს, ეს პროგრამა ხელს უწყობს ახალგაზრდების ცოდნისა და უნარ-ჩვევების გაღრმავებას და შემდგომი კარიერის აწყობას. სახელმწიფოს წარმომადგენლების გადმოსახედიდან ეს პროგრამა ეთნიკურ უმცირესობებში დიდი პოპულარობით სარგებლობს და დადებითად არის მათ მიერ შეფასებული.^x ეთნიკური სომხებისა და აზერბაიჯანელების პოლიტიკური მონაწილეობის ხელშესაწყობად სახელმწიფოს მხრიდან კონკრეტულ ქმედებად სტაჟირების პროგრამის ჩანერას არაღამაჯერებლად და სანახევროდ ეფექტიანად აფასებს სახალხო დამცველის ოფისთან არსებული ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოს წარმომადგენელი, რადგან ეს სტაჟირების პროგრამა მხოლოდ სტუდენტთა გარკვეულ სეგმენტზეა გათვლილი. ხოლო ეთნიკურ უმცირესობათა დაახლოებით 80%-ს ამ შესაძლებლობით სარგებლობა არ შეუძლია,^{xi} რადგან არ მიუღიათ მონაწილეობა 4+1 პროგრამაში, არ ფლობენ ქართულ ენას, ან ასაკი არ უწყობთ ხელს. კვლევისას ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ახალგაზრდებთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფებისა და ახალგაზრდული სამიტების მონაწილეებიდან რამდენიმე იყო 4+1 პროგრამის მონაწილე, თუმცა, საგულისხმოა, რომ ახალგაზრდებიდან არავის გახსენებია სტაჟირების პროგრამა, რომელიც წარმატებულ პროექტებს შორისაა სახელმწიფოს მხრიდან მოხსენიებული (მარნეული, შერეული, 29 თებერვალი, 2020; ახალციხე, შერეული, 22 მაისი, 2020). იმ შემთხვევაში, თუ სტაჟირების პროგრამა უფრო ფართო ახალგაზრდობაზე იქნება გათვლილი, შეს-

აძლოა მისი შედეგები უფრო ხილული და ხელკმეხსახები იყოს.

საზოგადოებრივ-საკონსულტაციო საბჭოები

სახელმწიფოს მხრიდან წარმატებულ მაგალითად მოყვანილი მეორე ინიციატივა არის ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო რწმუნებულის, გუბენატორის ადმინისტრაციებთან საზოგადოებრივ-საკონსულტაციო საბჭოების ჩამოყალიბება. ამ საბჭოში შედიან როგორც ადგილობრივი თვითმმართველობების, ისე სამხარეო ადმინისტრაციის, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ეთნიკური უმცირესობები. სახელმწიფოს წარმომადგენლების შეფასებით, „ამგვარი კონსულტაციის ფორმატი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მათი ჩართულობა ადგილობრივ დონეზე გადანყვეტილების მიღების პროცესში გაიზარდოს და გაუმჯობესდეს.“^{xiii} აღნიშნული საბჭოს ობიექტურად ფუნქციონირებას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს სამცხე-ჯავახეთის არასამთავრობო სექტორი, რადგან რეგიონში ფართოდ გავრცელებული მოსაზრებით საბჭოს წევრები ძირითადად თანამდებობის პირების ახლობლები არიან.“^{xiii} სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლის შეფასებით, ორივე რეგიონში სოფლის კრებებს და საბჭოს შეხვედრებს უყურებენ ფორმალურად, რადგან „იციან რომ ყველაფერი მაინც ისე გადანყდება, როგორც კონკრეტულ ჯგუფს უნდა, უფრო ზუსტად კი – კონკრეტულ „კაცთა“ ჯგუფს.“^{xiv} საკონსულტაციო საბჭოების მუშაობის ხარისხთან დაკავშირებით, ალტერნატიული მოსაზრებები აქვთ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს და თვლიან, რომ ადგილობრივი დეპუტატები რეგულარულად ხვდებიან მოსახლეობას კონსულტაციისთვის. ერთ-ერთი მათგანი აკონკრეტებს, რომ ეს ხდება წელიწადში ორჯერ – გაზაფხულზე და შემოდგომით

ზე და ასახელებს მათი გუნდის სლოგანს „არა არჩევნიდან არჩევნებამდე, არამედ არჩევნებს შორის.“^{xv} აქედან იკვეთება მნიშვნელოვანი გარემოება, რომ მხარეებისთვის ეფექტიანი პოლიტიკური ჩართულობისა თუ კონსულტაციის ფორმატის სხვადასხვაგვარი აღქმა არსებობს. სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის ადგილობრივი არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების გადმოსახედიდან, სამოქალაქო საზოგადოებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების ხედვები პოლიტიკური მონაწილეობის შესახებ ერთმანეთთან თანხვედრაში არ არის და, გარკვეულწილად, მათ შორის არსებობს გამართული კომუნიკაციის პრობლემა. ადგილობრივი ხელისუფლება კი ხალხთან თანამშრომლობის პასიურ ფორმას ირჩევს.^{xvi} ეს ფაქტი მოწმობს, რომ ადგილობრივი ხელისუფლების ხალხთან კომუნიკაციის ფორმა, ინტენსივობა და ხარისხი გასაუმჯობესებელია.

საინფორმაციო კამპანიები

მესამე მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რაც შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ხელშეწყობით ხორციელდება, არის ეთნიკური უმცირესობების აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე ინფორმირება. სამინისტროს ოფიციალური პოზიციაა, რომ, „მათ ენის არცოდნის პირობებში არ ჰქონდეთ შეფერხება ინფორმაციაზე წვდომის კუთხით.“^{xvii} თუმცა საგულისხმოა, რომ ენის ბარიერისა და ინფორმირებულობის პრობლემა ერთ-ერთ ყველაზე დიდ და კომპლექსურ გამოწვევად სახელდება თავად ეთნიკური უმცირესობების მხრიდან. ერთი მხრივ, შესაბამისი სამინისტროს ეგიდით ტარდება საინფორმაციო კამპანიები სახელმწიფო პროგრამებზე, სახელმწიფო სერვისებზე და ასევე ევროინტეგრაციის და ევროატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ ნატოსა და ევროკავშირის

საინფორმაციო ცენტრთან აქტიური თანამშრომლობით. ხოლო, მეორე მხრივ, ადგილობრივი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის მთავარ გამოწვევად კვლავ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა რჩება. თავად ეთნიკური უმცირესობების გადმოცემით, ადგილობრივი ხელისუფლებები შეხვედრების დაგეგმვისას მუდმივად მერიის თანამშრომლებს ან მასწავლებლებს იბარებენ, რათა მოაჩვენონ მოსახლეობას, თითქოს აზრს მათაც ეკითხებიან. რეალურად კი „ჩვეულებრივ მოსახლეობამდე ინფორმაცია არ მიდის“ (მარნეული, შერეული, 7 მონაწილე, 2020წ. 29 თებერვალი). კვლევის შედეგები მოწმობს, რომ ეთნიკური უმცირესობების დიდ ნაწილს არ აქვს ინფორმაცია საბაზისო საკითხებზე, ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე, რაც კოვიდ-19-ის პანდემიით გამოწვეულმა კრიზისმაც აჩვენა. ამიტომ რთულია ამ ფონზე საუბარი იმაზე, რომ ეთნიკურმა უმცირესობებმა თანაბრად და თავისუფლად ისარგებლონ როგორც სახელმწიფო პროგრამებით, ისე ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული სიკეთეებით.

კვლევის შედეგად ისიც გამოიკვეთა, რომ ზოგჯერ თავად ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია სახელმწიფო პროგრამებისა და სხვა შესაძლებლობებთან დაკავშირებით. მეტიც, ისინი ამ პროგრამებზე ინფორმაციას ზოგჯერ ჟურნალისტებისგან იგებენ და კანონებსაც არ იცნობენ სრულყოფილად (ახალქალაქი, ქალები, 9 მონაწილე, 2020წ. 6 მარტი). იგივე აზრი განავითარეს მარნეულის ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმაც (მარნეული, შერეული, 7 მონაწილე, 2020წ. 29 თებერვალი). რამდენიმე ფოკუს ჯგუფის მონაწილისგან ინფორმირებაზე წვდომის პრობლემის ერთ-ერთ მიზეზად ცენტრიდან შორს ყოფნა დასახელდა (ნინოწმინდა, კაცები, 17 მარტი, 2020), რაც ცენტრსა და პერიფერიას შორის არსებულ ნაპრალებზე მი-

ანიშნებს.


პარტიების როლი უმცირესობების პოლიტიკურად გააქტიურებაში

პოლიტიკურ პარტიებში ეთნიკური უმცირესობები მცირე რაოდენობით არიან წარმოდგენილები. 2015-2020 სტრატეგიის 1.4. პუნქტის თანახმად, სახელმწიფოს მხრიდან უნდა მომხდარიყო პოლიტიკურ პარტიებში ეთნიკური უმცირესობების ჩართვით პარტიების დაინტერესება. ერთ-ერთი ხელშესახები მექანიზმი, რითაც შერიგებისა და სამოქალაქო ინრეგრაციის სამინისტრო ამის მიღწევას ცდილობს, არასამთავრობო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობაა. ერთ-ერთი ასეთი ინიციატივაა ახალგაზრდების სტაჟირების პროგრამა პოლიტრიკურ პარტიებში, რასაც თვითონ სახელმწიფო ახორციელებს, თუმცა იმავდროულად მხარს უჭერენ ინიციატივას და დადებითად აფასებენ პროექტებს, რომლებიც არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ხორციელდება. სამინისტროს, სახალხო დამცველის აპარატისა და საქართველოს საერთაშორისო პარტნიორების ხედვები ამ კონკრეტულ საკითხში იმ მხრივაც თანხვედრაშია, რომ ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკურ პარტიებში გააქტიურებას თვითონ პარტიების პასუხისმგებლობადაც მიიჩნევენ. გარდა ამისა, სახელმწიფოს მიზანი არ არის საკანონმდებლო ორგანოებში მხოლოდ მათი რაოდენობის გაზრდა, არამედ ძალიან „მნიშვნელოვანია ხარისხიანი ჩართულობაც და უკვე არსებული ჩართულობის გაუმჯობესებაც.“^{xviii} ქართული პოლიტიკური პარტიები დიდ ძალისხმევას არ ავლენენ ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკურ პროცესებში ჩასართავად, ამას ისიც მოწმობს, რომ პარტიულ სივრცეში უმცირესობათა წარმომადგენლობა ან საერთოდ არ არის, ან სიმბოლური ხასიათისაა. მაგალითად, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე სულ 850 მაჟორიტარი კანდი-

დატი იყო ჯამში ყველა პარტიიდან წარდგენილი და მათგან მხოლოდ 34 იყო ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი. ხოლო პარტიულ პროპორციულ სიებში კი ჯამში დეპუტატობის 12 კანდიდატი (ამირხანიანი, 2017). რაც შეეხება 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური პარტიების მხრიდან კანდიდატებად დასახელებას, საგულისხმოა, რომ 4796 მა-

ჟორიტარი კანდიდატიდან მხოლოდ 399 იყო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი (კახიშვილი, 2017). თვითმმართველობის არჩევნებში ეთნიკური უმცირესობებიდან მაჟორიტარი კანდიდატების პროცენტული გადანაწილება ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ ქვემო ქართლში 38.4%, ხოლო სამცხე-ჯავახეთში 35.7% იყო (იხილეთ დიაგრამა 3).

დიაგრამა 3. 2017 წლის თვითმმართველობის არჩევნებში მაჟორიტარი კანდიდატების გადანაწილება ეთნიკურობისა და რეგიონების მიხედვით, კახიშვილი 2017. ხელმისაწვდომია: http://csem.ge/wp-content/uploads/2018/06/Competing-for-Votes-of-Ethnic-Minorities_Geo.pdf



აშკარაა, რომ ქართული პოლიტიკური პარტიები რესურსებს არ ხარჯავენ ეთნიკური უმცირესობების პარტიულ პოლიტიკაში მოსაზიდად.^{xix} ეს შეიძლება განპირობებული იყოს პარტიების რესურსების ნაკლებობით; ასევე, პოსტ-საბჭოთა მენტალიტეტის გავლენით;^{xx} ბევრ მათგანზე შეიძლება გავლენას ახდენდეს ეთნიკური უმცირესობებისადმი სტერეოტიპული დამოკიდებულებები, როგორც არის მათი უსაფრთხოების პრიზმაში განხილვა და მათდამი კულტურული გაუცხოება. რესპონდენტთა ნაწილის დაკვირვე-

ბით, პარტიები ხშირად თავს პროფესიონალი კადრების არარსებობით იმართლებენ,^{xxi} თუმცა მათ მოსამზადებლად და გასავითარებლად არაფერს აკეთებენ. არსებობს ასეთი მოსაზრებაც, რომ თვითმმართველობასა და საკრებულოში უმცირესობების მაღალი წარმომადგენლობა აიხსნება არა იმით, რომ სახელწიფო ან პოლიტიკური პარტიები ახდენენ ამის სტიმულირებას, არამედ იმით, რომ ზოგიერთ მუნიციპალიტეტში ეთნიკური უმცირესობების მაღალი კონცენტრაციაა. ასევე საგულისხ-

მოა, რომ წლების მანძილზე ტენდენციად იქცა, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები მმართველ პარტიას უჭერენ მხარს და ამბობენ: „ჩვენ იქ ვართ, სადაც არის ხელისუფლება და სადაც არის სახელმწიფო.“^{xxii} აქედან გამომდინარე, პრობლემურია ის გარემოებაც, რომ ეთნიკური უმცირესობები, ფაქტობრივად, ხელისუფლებასა და სახელმწიფოს აიგივებენ. შესაძლოა, ოპოზიციური პარტიები სწორედ ამ ღრმად გამჯდარი შეხედულებების გამო არ ცდილობენ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში წინასაარჩევნოდ დიდი ძალისხმევასა და რესურსის გაღებას. მეორე მხრივ, წინასაარჩევნო პერიოდამდე მათ უამრავი დრო აქვთ ამ სტერეოტიპული დამოკიდებულების შესაცვლელად და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ამომრჩევლების გულის მოსაგებად. თუმცა, ფაქტია, ამაზე დროს, ფინანსურ და ადამიანურ რესურსს არ ან ვერ ხარჯავენ. ხელისუფლების სტაბილური მხარდაჭერის მიზეზად ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა სხვა ფაქტორებიც დაასახელეს, მაგალითად, როგორცაა ამომრჩევლის მოსყიდვა ან სოციალური დახმარებით მანიპულირება. ეთნიკური უმცირესობების მხრიდან, გადმოცემის თანახმად, როდესაც ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან საჭიროებების მოკვლევა ხდება, მოსახლეობას არჩევანის წინაშე აყენებენ და ეკითხებიან, მაგალითად, წყლის პრობლემის მოგვარება ურჩევნიათ, თუ გარე განათების, რაც რეალურად ფორმალობას წარმოადგენს (მარნეული, შერეული, 7 მონაწილე, 2020წ. 29 თებერვალი). შესაძლოა, მოსახლეობას სხვა, უფრო მწვავე საჭიროებები ედგას დღის წესრიგში,

მაგრამ ამას არ ითვალისწინებენ. მეტიც, სოციალურ დახმარებას ხსნიან თუ ხელისუფლების მიერ შემოთავაზებულ არჩევანს არ დაეთანხმებიან (მარნეული, შერეული, 7 მონაწილე, 2020წ. 29 თებერვალი). ნაწილმა ყურადღება გაამახვილა საჯარო მოხელეებსა და მასწავლებლებზე ზენოლის ფაქტებზე. მაგალითად მოყვანილ იქნა მასწავლებლების ხელისუფლების მიერ დაგეგმილ აქციებზე იძულებით წაყვანის და წინააღმდეგ შემთხვევაში სამსახურის დააკარგვით დამუქრების ფაქტებიც. ასევე გაჟღერდა არჩევნების დროს ნაცნობების მობილიზება მანქანების ჩამოვლით და კონკრეტულ პოლიტიკურ სუბიექტებზე ხმის მიცემის მოთხოვნით (ახალქალაქი, ქალები, 9 მონაწილე, 2020წ. 6 მარტი), რაც ელექტორალური პოლიტიკის მანკიერ პრაქტიკაზე მიანიშნებს. ამის მიუხედავად, როგორც თითოეულ ფოკუს ჯგუფში გაჟღერდა, ბოლო წლების მანძილზე ეთნიკურად სომხურ და აზერბაიჯანულ მოსახლეობაში ხელისუფლებისადმი უკმაყოფილებამ იმატა. 2017 წელს ეთნიკური უმცირესობების მხოლოდ 17% აფასებდა ხელისუფლების მუშაობას უარყოფითად, ხოლო 2019 წლისთვის იგივე საკითხზე 39%-მა უპასუხა უარყოფითად (კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (ჩლჩ), ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტი, საქართველო 2017-2019). ყურადსაღებია, რომ განსაკუთრებული კრიტიკულობით გამოირჩევიან ახალგაზრდები, რომელთაც მიღებული აქვთ უმაღლესი განათლება და საშუალოდ ან კარგად ფლობენ ქართულ ენას, შესაბამისად, წვდომა აქვთ შიდა პოლიტიკურ ინფორმაციაზე.

რას აკეთებს სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის მოსახლეობა ადგილობრივი პრობლემების მოსაგვარებლად?

მედია და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები არის ორი ძირითადი ტიპის აქტორი, რომლებსაც ადგილობრივები მიმართავენ თავიანთი პრობლემების გასაჭლერებლად და ხელისუფლების წინაშე ადვოკატირებისთვის (ქვემო ქართლი, 18-დან 35 წლამდე ახალგაზრდების სამიტი, 2020წ. 5 ივლისი). ხოლო, ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა უმრავლესობისთვის საქართველოს ევროკავშირთან მჭიდრო ურთიერთობის ქონა მათი გადწყვეტილების მიღების პროცესში ღირსეული ჩართულობის წინაპირობაა. ყურადსაღებია, რომ ევროკავშირს მათი უმეტესობა მიიჩნევს თანასწორობის, დემოკრატიის, კარგი მმართველობისა და განვითარების გარანტიად. ხოლო თვითინიცირებას რაც შეეხება, ისინი აღნიშნავენ, რომ მოსახლეობას, განსაკუთრებით უფროს და საშუალო თაობას, მოტივაცია აქვს დაკარგული. ისინი სკეპტიკურად არიან განწყობილი ქვემოდან წამოსული აქტივიზმის, თუ ინიციატივისადმი, რადგან მიიჩნევენ, რომ შედეგი მინიმალური იქნება. ზოგიერთი პოლიციის შიშის გამო პასიურად ყოფნას ამჯობინებს. მაგრამ ნაწილი მაინც მიმართავს გარკვეულ ძალისხმევას. განსაკუთრებით ახალგაზრდები აქტიურობენ. არიან ჯგუფები, რომლებიც მოხალისეთა რანგში ეხმარებიან უფროს თაობას სახელმწიფო სერვისების მიღებაში, რაც, ძირითადად, თარჯიმნობის განევით შემოიფარგლება. ფოკუს ჯგუფებისას დასახელებული ინიციატივები, რისთვისაც ონლაინ პეტიცია შექმნეს და 5000-მდე ხელმოწერა

შეაგროვეს (გარდაბანი, ქალები, 4 მონაწილე, 2020წ. 22 ივნისი); თვითმობილიზაციის წყალობით ქვემო ქართლის რეგიონის სხვადასხვა სოფლებში შეიქმნა სათემო ცენტრები, რომელთა მეშვეობითაც კოვიდ-19-ის გამო გამოცხადებული კარანტინის დროს აქტიურად ავრცელებდნენ ინფორმაციას მოსახლეობაში და ფინანსურ დახმარებას უწევდნენ ოჯახებს. ზოგიც ბუნების დაცვისა და სოციალური მოთხოვნებით აქციებს მართავს. ნაწილი საკრებულოს სხდომებს ესწრება (ახალციხე, შერეული, 6 მონაწილე, 2020წ. 22 მაისი). საგულისხმოა, რომ ყველა ამგვარი ინიციატივის ავტორი ფოკუს ჯგუფების ახალგაზრდა მონაწილე იყო. ყოველივე ზემოთხსენებულიდან გამომდინარე, ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური მონაწილეობის ხარისხის გასაუმჯობესებლად ჩანს, რომ რეალური პერსპექტივა უმაღლესი განათლების მქონე და ქართული ენის მცოდნე ახალგაზრდებს გააჩნიათ. თუმცა აბსოლუტურ ვაკუუმში რჩებიან შუახნის და ასაკოვანი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები, რადგან არ ფლობენ სახელმწიფო ენას. ამჟამინდელი სიტუაცია ცხადყოფს, რომ ისინი მხოლოდ ახალგაზრდების დახმარების კეთილ ნებაზე არიან დამოკიდებული ელემენტარული სერვისების მიღებისა თუ პრობლემების გაჭლერებისას. მნიშვნელოვანია, ისინი არ დარჩნენ სახელმწიფო ინსტიტუტებისა და პოლიტიკური პარტიების ყურადღების მიღმა.

უმცირესობების პირსაკმეტივიდან დანახული პოლიტიკური მონაწილეობის ბარიერები

ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო და პოლიტიკური ინტეგრაციის ხელისშემშლელი თვალსაჩინო ფაქტორებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ცენტრსა და პერიფერიას შორის უთანასწორობის არსებობა. ეთნიკურად ქართველ და ეთნიკურ უმცირესობათა შორის არსებულმა „ჩვენ და მათ“ ისტორიულმა მტრულმა პოლარობამ და ეთნიკური უმცირესობების დანარჩენ საზოგადოებასთან კულტურული და ემოციური ბმის არარსებობამ დააზიანა ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის პერსპექტივა. ეროვნულ დონეზე წარმომადგენლობის ამაღლება ვერ მოხერხდება, თუ ჯერ ადგილობრივ დონეზე არ მოგვარდა პრობლემები და ეთნიკური უმცირესობების ღირსეული პოლიტიკური ჩართულობის უზრუნველყოფა. ადგილობრივ დონეზე პოლიტიკურ პროცესებში მათი უშუალო ჩართულობის ბარიერებზე და მის მიზეზებზე კონკრეტულად საუბრობენ თავად ეთნიკური უმცირესობების თემის წევრები. უკლებლივ ყველა ფოკუს ჯგუფის მონაწილე მთავარ გამოწვევად ასახელებს ენის ბარიერს, რაც მათ დაბრკოლებებს უქმნის ყველა ნაბიჯზე, დაწყებული სახელმწიფო სერვისების მიღებიდან (ახალქალაქი, ქალები, 9 მონაწილე, 2020წ. 6 მარტი), დამთავრებული ცენტრალურ დონეზე ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციისა და წახილების გააქტიურებამდე. მათი გადმოსახედიდან, სახელმწიფო ენის ცოდნის გარეშე არათუ ეროვნულ დონეზეა რთული პოზიციონირება, არამედ რაიონულ დონეზეც კი რთულია ეფექტიანი პოლიტიკური ჩართულობა. ეს გარკვეულწილად იქიდან გამომდინარეობს, რომ გადანყვეტილებები ცენტრში მიიღება, რაც დეცენტრალიზაციის პრობლემაზეც მიუთითებს. პოლიტიკური ჩართულობა მხოლოდ სოფლის დონეზეა ქართული ენის

ცოდნის გარეშე შესაძლებელი, ისიც იქ, სადაც ძირითადად უმცირესობები ცხოვრობენ (დმანისი, კაცები, 4 მონაწილე, 2020წ. 27 ივნისი; ნინოწმინდა, კაცები, 10 მონაწილე, 2020წ. 17 მარტი; გარდაბანი, ქალები, 4 მონაწილე, 2020წ. 22 ივნისი). ენის პრობლემა დღემდე გამოწვევად რჩება სხვადასხვა გარემოებების გამო, მათ შორის, საკვანძო ადგილზე ქართული ენის კარგი სპეციალისტების დეფიციტი და ამ მიმართულებით ფინანსური რესურსების არასათანადო გამოყოფა (სამცხე-ჯავახეთი, ახალგაზრდების სამიტი, 2020წ. 4 ივლისი). ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები საჭიროდ მიიჩნევენ თბილისიდან ჩასული მასწავლებლების რეგულარულ მონიტორინგს (მარნეული, შერეული, 7 მონაწილე, 2020წ. 29 თებერვალი). მეორე ძირითადი პრობლემა, რაც ენის ბარიერთან არის გადაჯაჭვული, უკავშირდება ინფორმირებულობის პრობლემას. პოლიტიკური მონაწილეობის კუთხით საკითხი საკმაოდ მწვავედ დგას, რადგან არის შემთხვევები, როდესაც ამომრჩეველი ტყუვდება ან ბრმად აძლევს ხმას (ახალქალაქი, ქალები, 9 მონაწილე, 2020წ. 6 მარტი); პრობლემურია ხალხსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის ხარისხიანი კომუნიკაცია. ახალგაზრდებსაც კი, რომლებმაც ქართული ენა იციან, არ აქვთ ინფორმაცია მათი პოლიტიკურ პარტიებში ჩართვის შესაძლებლობაზე (სამცხე-ჯავახეთი, ახალგაზრდების სამიტი, 2020წ. 4 ივლისი). გარდა ამისა, უფასო სერვისების შესახებ ინფორმაციის არქონის გამო ხშირად მოსახლეობა მოტყუებული რჩება და დამატებით ფულის გადახდა უწევთ, რაც კორუფციაზე მიუთითებს. ეს განსაკუთრებით ეხება უფასო ჯანდაცვის სერვისებს (ახალქალაქი, ქალები, 9 მონაწილე, 2020წ. 6 მარტი; ნინოწმინდა, კაცები, 10 მონაწილე, 2020წ. 17 მარტი).

ადგილობრივებისთვის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა, ნეპოტიზმი, სახელმწიფო უწყებებში არაკვალიფიციური პირების აყვანა და უთანასწორობაა (იგივე). საგულისხმოა, სწორედ ასეთი შემთხვევების გამო ჩნდებო-

დეს საზოგადოებაში უნდობლობა და ნიჰილიზმი, როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციური პოლიტიკური პარტიებისადმი.

დასკვნა და რეკომენდაციები

საქართველოში ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური ინტეგრაცია კვლავ გამოწვევად რჩება. არსებული სახელმწიფო პროგრამები და მათ მიერ მხარდაჭერილი ინიციატივები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ სახელმწიფო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა სრულფასოვნად შესრულდეს და გაიზარდოს ეთნიკურ უმცირესობათა ხარისხიანი პოლიტიკური მონაწილეობა. კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ეთნიკური უმცირესობების როლი ფორმალურია. ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის მხოლოდ იმ სოფლებში ახერხებენ ეთნიკური უმცირესობები პოლიტიკურად აქტიურობას, სადაც ისინი უმრავლესობაში არიან, ხოლო რეგიონალურ და ეროვნულ დონეზე მათი პოლიტიკური წარმომადგენლობა და მონაწილეობის ხარისხი ნომინალურია. ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკურად გასაძლიერებლად მინიმალური ნაბიჯები იდგმევა პოლიტიკური პარტიების მხრიდანაც და საკმაოდ სუსტია მათი კომუნიკაცია ეთნიკურ უმცირესობებთან. საქართველოში ეთნიკურად აზერბაიჯანელი და სომეხი უმცირესობების პოლიტიკური მონაწილეობის მთავარი ბარიერი ენის არცოდნა და ინფორმაციის ნაკლებობაა, რაც, თავის მხრივ, აღრმავებს უთანასწორობისა და გარიყულობის პრობლემას. გარდა ამისა, ჯერაც ღრმად გამჯდარია პოსტ-საბჭოთა მტრული მეხსიერება, რის დასაძლევადაც საქართველოსთვის მნიშვნელოვანი იქნება, ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის ქრილში, სხვა ევროპული ქვეყნების

საუკეთესო გამოცდილებების გაზიარება. ამ კუთხით კი, ევროკავშირის დელეგაციას და სხვა საერთაშორისო პარტნიორებს ღირებული წვლილის შეტანა შეუძლიათ.

რეკომენდაციები საქართველოს მთავრობას

- საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს ქართული ენის კვალიფიციური მასწავლებლების რაოდენობის გაზრდა ქვემო ქართლისა და სამხე-ჯავახეთის ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში. ქართული ენის სწავლებისთვის დაიხვეწოს და შეიქმნას კურსები არა მხოლოდ ახლგაზრდებისთვის, არამედ შუახნის ასაკისა და უფროსი თაობის ეთნიკური უმცირესობებისთვისაც, რათა მათ და ახალგაზრდა თაობას ჰქონდეთ თანაბარი შესაძლებლობები;
- ენის სწავლების პარალელურად, საქართველოს მთავრობამ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში აწარმოოს პროაქტიური საინფორმაციო კამპანია ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე მათი პოლიტიკური მონაწილეობის უფლებებზე, შესაძლებლობებზე და მონაწილეობის შესაძლო ფორმებზე მათი ცნობიერების ამაღლების მიზნით. საინფორმაციო კამპანიის წარმოებისას, ცენტრალურმა ხელისუფლებამ აწარმოოს ადგილობრივი ხელისუფლებების მხრიდან მოსახლეობისთვის ინფორმაციის

მინოდების ხარისხის მონიტორინგი. ეს რეკომენდაცია გამომდინარეობს იქიდან, რომ მოსახლეობასთან კომუნიკაციამ ცხადყო, რომ სახელმწიფო პროგრამებზე და პოლიტიკური ჩართულობის შესაძლებლობებზე მათი ინფორმირებულობის დონე დაბალია. გარდა ამისა, გამოიკვეთა, რომ ზოგჯერ თავად ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებსაც არ აქვთ სრულყოფილი ინფორმაცია სახელმწიფო ინიციატივებზე, პოლიტიკური მონაწილეობის შესაძლებლობებზე და ასევე კანონებზე/რეგულაციებზე;

- იმისათვის, რომ ქვემო ქართლში და სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ხმა ეროვნულ დონეზე ისმოდეს, **მნიშვნელოვანია მათთან ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლების უშუალო პერიოდული შეხვედრების ორგანიზება.** ეს რეკომენდაცია გამომდინარეობს იქიდან, რომ ფოკუს ჯგუფებისას ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებმა უკმაყოფილება გამოთქვეს ადგილობრივი ხელისუფლების ხალხთან კომუნიკაციისა და კონსულტაციის ხარისხზე და ეჭვი შეიტანეს იმაში, რომ მათი წუხილების შესახებ ცენტრალური ხელისუფლება არ არის საკმარისად ინფორმირებული.

რეკომენდაციები პოლიტიკურ პარტიებს

- **მნიშვნელოვანია, პოლიტიკურმა პარტიებმა იკისრონ საარჩევნო პროგრამების სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე თარგმნის ვალდებულება,** რათა ეთნიკურ უმცირესობებს შესაძლებლობა ჰქონდეთ სურვილის შემთხვევაში გასაგებ ენაზე წაიკითხონ დაპირებები და ისე გააკეთონ არჩევანი;

- **სასურველია, პოლიტიკურმა პარტიებმა ექსპერტებთან ერთად შეიმუშავონ საგანმანათლებლო არაფორმალური პროგრამები** პოლიტიკურ, სამართლებრივ და სამოქალაქო საკითხებზე. ამის საფუძველზე შეიქმნება ტრენინგების პროგრამა პარტიის წევრი ან პოტენციური წევრი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდებისთვის, რათა მოხერხდეს მათი პოლიტიკური ცნობიერების გაზრდა და პოლიტიკური მონაწილეობის ნახალისება. როგორც ეთნიკური უმცირესობების მხრიდან ფოკუს ჯგუფებისას და ახალგაზრდული სამიტების დროს გაჟღერდა, პარტიები ხშირად თავს პროფესიონალი კადრების არარსებობით იმართლებენ, თუმცა მათი თქმით მათ მოსამზადებლად და გასავითარებლად არაფერს აკეთებენ. ამიტომ, აღნიშნული პროგრამის განვითარების შედეგად კრიტიკული დისკურსის გამყარების შემთხვევაში, გამორიცხული არ არის, რომ დროთა განმავლობაში ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური მონაწილეობის ხარისხი გაიზარდოს და მათი ელექტორალური ქცევაც შეიცვალოს;

- წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება, თუ **პოლიტიკური პარტიები ეთნიკურ უმცირესობებთან აქტიური კომუნიკაციის მეშვეობით შეიმუშავებენ თავიანთ ხედვას და კომპლექსურ სამოქმედო გეგმას ეთნიკური უმცირესობების ეროვნული ინტეგრაციისა და პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდის ხელშესაწყობად.** ამის დოკუმენტირება გამოკვეთს ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციისადმი პარტიების დამოკიდებულებას და მათი ხედვების შესახებ ამომრჩევლის უკეთ ინფორმირებას.

რეკომენდაციები ევროკავშირის დელეგაციას და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს

- საჯარო, ბიზნესის, თუ არასამთავრობო სექტორისთვის გამოცხადებული საგრანტო კონკურსების ის განცხადებები, რომლებიც ქართულ ენაზეც არის ხელმისაწვდომი, სასურველია პარალელურად სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზეც ითარგმნოს მანამ, სანამ ენის ფლობის პრობლემა სრულად არ დაიდგევა. აღნიშნულზე პასუხისმგებლობა შეიძლება სამოქალაქო სექტორმა აიღოს ევროკავშირის დელეგაციასთან წინასწარი შეთანხმებით, რათა დროულად მოხერხდეს განაცხადების თარგმნა და ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო თუ პოლიტიკური გააქტიურების ხელშეწყობა;
- პოლიტიკურ პარტიებსა და ეთნიკურ უმცირესობებს შორის კომუნიკაციის გასაუმჯობესებლად არასამთავრო-

ბო სექტორმა ევროკავშირის დელეგაციასთან თანამშრომლობით კოორდინაცია გაუწიოს წელიწადში ორჯერ პარტიის ლიდერების ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან შეხვედრას და საერთო დებატების ორგანიზებას ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე;

- ეფექტიანი იქნება, თუ ევროკავშირის დელეგაციის ინიციატივით ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები შექმნიან ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებულ სწრაფი რეაგირების საერთო სპეციალურ ორგანოს, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ინფორმაციაზე წვდომის ნაკლებობით გამომწვეული შეფერხებების დროულად აღრიცხვაზე და შემდეგ ამის ევროკავშირის დელეგაციაში, პარლამენტში თუ ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ორგანიზებში გაუქმდებარებაზე.

ⁱ ახალგაზრდული სამიტები საქართველოს ათ რეგიონში ჩატარდა საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტისა და გერმანული ორგანიზაცია POLIS180-ის მიერ, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანადაფინანსებით. მასში მონაწილეობას იღებდნენ ახალგაზრდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებიც.

ⁱⁱ საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, პირადი კომუნიკაცია, 2020წ. 22 მაისი; საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, პირადი კომუნიკაცია, 2020წ. 19 მაისი.

ⁱⁱⁱ ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრი, პირადი კომუნიკაცია, 2020წ. 21 მაისი.

^{iv} სახალხო დამცველის ოფისი, პირადი კომუნიკაცია, 2020წ. 19 მაისი.

^v სახალხო დამცველის ოფისთან არსებული ეთნიკურ უმცირესობათა საბჭო, პირადი კომუნიკაცია, 2020წ. 19 მაისი.

^{vi} სახალხო დამცველის ოფისთან არსებული ეთნიკურ უმცირესობათა საბჭო, პირადი კომუნიკაცია, 2020წ. 19 მაისი.

^{vii} სახალხო დამცველის ოფისთან არსებული ეთნიკურ უმცირესობათა საბჭო, პირადი კომუნიკაცია, 2020წ. 19 მაისი.

^{viii} სახალხო დამცველის ოფისთან არსებული ეთნიკურ უმცირესობათა საკონსულტაციო საბჭო 2005 წლიდან ფუნქციონირებს.

^{ix} ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში, პირადი კომუნიკაცია, 2020წ. 19 მაისი.

^x შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, პირადი კომუნიკაცია, 2020წ. 20 მაისი.

^{xi} სახალხო დამცველის ოფისთან არსებული ეთნიკურ უმცირესობათა საბჭო, პირადი კომუნიკაცია, 2020წ. 19 მაისი.

^{xii} შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, პირადი კომუნიკაცია, 2020წ. 20 მაისი.

^{xiii} ჯავახეთი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, პირადი კომუნიკაცია, 2020წ. 21 ივნისი.

^{xiv} სახალხო დამცველის ოფისი, პირადი კომუნიკაცია, 2020წ. 19 მაისი.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ამირხანიანი, გიორგი. ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის პრობლემა ქართულ პოლიტიკაში. 2017. ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/tavisupali-sivrtse-giorgi-amirkhaniani-etnikuri-umciresobebis-chartuloba/28856016.html>
- ველოი მატეუ, სანდრა. სომეხი უმცირესობა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში: სამოქალაქო ინტეგრაცია და მისი ბარიერები. 2016. ხელმისაწვდომია: <https://grass.org.ge/wp-content/uploads/2016/11/somekhi-umtsiresoba-samtskhe-javakhethis-regionshi.pdf>
- კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (CRRC), ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტი, საქართველო. 2017. ხელმისაწვდომია: <https://caucasusbarometer.org/en/nd2017ge/RATE-GOV-by-ETHNOCODE/>
- კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (CRRC), ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტი, საქართველო. 2019. ხელმისაწვდომია: <https://caucasusbarometer.org/en/nj2019ge/RATE-GOV4-by-ETHNOCODE/>
- კახიშვილი, ლევან. კონკურენცია ეთნიკური უმცირესობების ხმებისთვის საქართველოში. 2017. ხელმისაწვდომია: http://csem.ge/wp-content/uploads/2018/06/Competing-for-Votes-of-Ethnic-Minorities_Geo.pdf
- ნიდერლანდების ინსტიტუტი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის (NIMD). ეროვნული უმცირესობების ინტეგრაცია საქართველოში. 2017. ხელმისაწვდომია: http://eecmd.org/wp-content/uploads/2017/08/Policy_Papers_GEO.pdf
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. მოსახლეობის აღწერა და დემოგრაფია. ხელმისაწვდომია: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/124/methodologia-mosakhleobis-aghtsera-da-demografia>
- საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ. 2014. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2339687?publication=3>

^{xv} ჯავახეთის ადგილობრივი ხელისუფლება, პირადი კომუნიკაცია, 2020წ. 24 ივნისი.

^{xvi} ჯავახეთი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, პირადი კომუნიკაცია, 2020წ. 21 ივნისი; ქვემო ქართლი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, პირადი კომუნიკაცია, 2020წ. 21 ივნისი.

^{xvii} შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, პირადი კომუნიკაცია, 2020წ. 20 მაისი.

^{xviii} იგივე.

^{xix} სახალხო დამცველის ოფისთან არსებული ეთნიკურ უმცირესობათა საბჭო, პირადი კომუნიკაცია, 2020წ. 19 მაისი.

^{xx} საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, ქვემო ქართლი, პირადი კომუნიკაცია, 2020წ. 19 მაისი.

^{xxi} ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრი, პირადი კომუნიკაცია, 2020წ. 21 მაისი.

^{xxii} საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, სამცხე-ჯავახეთი, პირადი კომუნიკაცია, 2020წ. 22 მაისი.

სორდია, გიორგი. მულტიკულტურალიზმის კონცეფცია და კულტურული მრავალფეროვნების იდეის განხორციელება საქართველოში. 2018. ხელმისაწვდომია: <https://www.ug.edu.ge/storage/disertations/October2019/JOT-ZEAvVpb8KwIwqgdBi.pdf>

სოციალური კვლევისა და ანალიტიკის ინსტიტუტი & ფონდი ღია საზოგადოება საქართველო. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის კვლევა. 2019. ხელმისაწვდომია: <https://osgf.ge/wp-content/uploads/2019/05/Analytical-Report-ISSA-GEO.pdf>

შალვაშვილი, მარიამ. მარნეულის კულტურის ცენტრის პოლიტიკის შეფასება. 20 ნოემბერი, 2019. ხელმისაწვდომია: <https://emc.org.ge/ka/products/marneulis-kulturis-tsentrisk-politikis-shefaseba> ბოლო ნვდომა: 10 ივლისი, 2020;

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი. 2015. სამოქალაქო თანასწორობის და ინტე-

გრაციის სახელმწიფო სტრატეგია. ხელმისაწვდომია: <https://smr.gov.ge/en/page/31/state-strategy-for-civic-equality-and-integration-and-action-plan>

Montereo, Jose Ramon. Citizenship and Involvement in European Democracies. 2007. ხელმისაწვდომია: https://books.google.ge/books?hl=en&lr=&id=uIoHKa1ZfmGC&oi=fnd&pg=PA334&dq=what+is+political+participation&ots=ieP6a8Z-Th8&sig=b553Ob19hdhcXy3sbQCDUBIDsZc&redir_esc=y#v=onepage&q=what%20is%20political%20participation&f=false

Verba, S., & Nie, N. H. Participation in America: Political democracy and social equality. New York: Harper & Row. (1972). https://books.google.ge/books?hl=en&lr=&id=uIoHKa1ZfmGC&oi=fnd&pg=PA334&dq=what+is+political+participation&ots=ieP6a8Z-Th8&sig=b553Ob19hdhcXy3sbQCDUBIDsZc&redir_esc=y#v=onepage&q=what%20is%20political%20participation&f=false

დანართი

კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების ჩამონათვალი

1. სახალხო დამცველის ოფისთან არსებული ეთნიკურ უმცირესობათა საბჭო, პირადი კომუნიკაცია, 2020წ. 19 მაისი
2. სახალხო დამცველის ოფისი, პირადი კომუნიკაცია, 2020წ. 19 მაისი
3. საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, პირადი კომუნიკაცია, 2020წ. 22 მაისი
4. საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, პირადი კომუნიკაცია, 2020წ. 19 მაისი
5. „Ifact“ მედია-წყარო, პირადი კომუნიკაცია, 2020წ. 20 ივნისი
6. ევროპის დელეგაცია საქართველოში, პირადი კომუნიკაცია, 2020წ. 19 მაისი
7. ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრი, პირადი კომუნიკაცია, 2020წ. 21 მაისი
8. ჯავახეთი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, პირადი კომუნიკაცია, 2020წ. 9 ივნისი
9. ჯავახეთის ადგილობრივი ხელისუფლება, პირადი კომუნიკაცია, 2020წ. 24 ივნისი
10. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, პირადი კომუნიკაცია, 2020წ. 20 მაისი
11. ქვემო ქართლი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, პირადი კომუნიკაცია, 2020წ. 21 ივნისი
12. ჯავახეთი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, პირადი კომუნიკაცია, 2020წ. 21 ივნისი

კვლევის ფარგლებში ჩატარებული ფოკუს-ჯგუფი დისკუსიების ჩამონათვალი

სამცხე-ჯავახეთი


1. ახალციხე, შერეული, 6 მონაწილე, 2020წ. 22 მაისი
2. ახალქალაქი, ქალები, 9 მონაწილე, 2020წ. 6 მარტი
3. ნინოწმინდა, კაცები, 10 მონაწილე, 2020წ. 17 მარტი

ქვემო ქართლი

1. მარნეული, შერეული, 7 მონაწილე, 2020წ. 29 თებერვალი
2. გარდაბანი, ქალები, 4 მონაწილე, 2020წ. 22 ივნისი
3. დმანისი, კაცები, 4 მონაწილე, 2020წ. 27 ივნისი

ახალგაზრდული სამიტები

- სამცხე-ჯავახეთი, 18-დან 35 წლამდე ახალგაზრდების სამიტი, 2020წ. 4 ივლისი
- ქვემო ქართლი, 18-დან 35 წლამდე ახალგაზრდების სამიტი, 2020წ. 5 ივლისი



ISBN 978-9941-480-81-2



9 789941 480812